ჟან ჟიროდუ

ხელოვნება № 7, 1990 წ.

# ამფიტრიონ, 38

მკითხველს ვთავაზობთ ცნობილი ფრანგი მწერლის, დრამატურგის, დიპლომატისა და მოღვაწის ჟან ჟიროდუს პიესის თარგმანს. ჟიროდუს სახელი უცხო არ არის ქართველი მკითხველისათვის. რამოდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა ბ-ნ გივი გეგეჭკორის მიერ თარგმნილი „ტროას ომი არ იქნება“, გამოქვეყნდა აგრეთვე წერილები ჟიროდუს შემოქმედებისა (ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 10, 1985) და ჟუვე—ჟიროდუს თანამშრომლობის შესახებ (ალმ. „თეატრალური მოამბე“ № 4, 1986). მიუხედავად ამისა უპრიანია რამოდენიმე სიტყვით შევეხოთ კონკრეტულად პიესას და მისი შექმნის ისტორიას.

„ამფიტრიონ, 38“, ჟიროდუს დრამატურგიაში რიგით მეორე პიესა, დაიწერა 1929 წელს ცნობილი ფრანგი რეჟისორისა და მსახიობის ლუი ჟუვეს თეატრისთვის. როგორც სათაურიდან ჩანს, დრამატურგი ჰერაკლეს დაბადების 38-ე ვერსიას გვთავაზობს და, თუ ფრანგული თეატრის განვითარების ისტორიას შევავლებთ თვალს, სავსებით ბუნებრივად მივიჩნევთ ანტიკური სიუჟეტებისადმი ინტერესს, მით უფრო, რომ 30-იან წლებში ფრანგული თეატრის აღორძინების მცდელობა სწორედ ანტიკურ სიუჟეტებზე შექმნილი პიესებით დაიწყო (კლოდელი, მონტერლანი, ჟიდი და სხვ.). ფროიდის თეორიით გატაცებული კოქტოს, ჟიდისა და სხვა ფრანგი დრამატურგებისაგან განსხვავებით, რომლებმაც ძველ-ბერძნული ტრაგედიის ბედისწერა გმირთა თავისუფლების შემზღუდველი და ნებისყოფის განმსაზღვრელი ირაციონალური ვნებებითა და მიდრეკილებებით შეცვალეს, ჟიროდუმ უარი თქვა მითის ანალიტიკურ გადააზრებაზე და მის უნივერსალურ მოდელში პიროვნების თავისუფლება წარმოაჩინა. დრამატურგი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ადამიანს უნარი შესწევს თავად განაგებდეს საკუთარ ბედ-იღბალს და შეებრძოლოს კიდეც მას. სწორედ ასეთია ალკმენეც, რომელიც სიყვარულშიაც არ თმობს არჩევანის თავისუფლებას და ქალღმერთის ნეტარ უკვდავებას უბრალო მოკვდავის „უბადრუკ სიცოცხლეს“ ამჯობინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამფიტრიონ, 38“ ფრანგული ინტელექტუალური დრამის ერთ-ერთი პირველი მერცხალია. იდეას, სიტყვას, დიალოგს, დისკუსიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასში. დრამატურგი მოხერხებულად უთავსებს ერთმანეთს ფილოსოფიურ დიალოგსა და მოხდენილ სალონურ საუბარს, ოსტატურად იყენებენ ფარსისა და ვოდევილის, სატირული კომედიისა და მელოდრამის ელემენტებსაც კი, მაგრამ ამას ისეთი შესაშური ზომიერებით ანონასწორებს, რომ არც პიესის ჟანრულ სიზუსტეს არღვევს და არც იდეურ-კომპოზიციურ ერთიანობას. ანდრე მორუამ ჟიროდუს პირველი პიესის „ზიგფრიდ ფონ კლაისტის“ შესახებ აღნიშნა, რომ ჟიროდუმ თავის მხატვრულ მეთოდში მოხერხებულად და ბუნებრივად შეუთავსა ერთმანეთს ფრანგის კარტეზიანული ბუნება და გერმანელის მეტაფიზიკური, რომანტიკული სულისკვეთება. ამ მოსაზრების გაშიფვრას და ფართოდ გამოყენებას თუ მოვისურვებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ კარტეზიანული გონება ნაწარმოების პრობლემის დასმის სიზუსტესა და მისი მტკიცების ლოგიკაში წარმოჩნდა, ხოლო გერმანული რომანტიკული სულისკვეთება — შემოქმედების განსაკუთრებულ, უჩვეულო სტილისტიკაში. ჟიროდუს შემოქმედების სტილისტური თავისებურებანი უდავოდ ძირფესვიან კვლევას მოითხოვს. კონკრეტულად „ამფიტრიონის“ შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მისი სალიტერატურო სტილი — ფრაზის უჩვეულო წყობა, მდიდარი მეტაფორები, მოულოდნელი ეპითეტები, სიტყვათა თამაში, ლიტერატურული კლიშეები, მრავალრიცხოვანი ანაქრონიზმები და მსუბუქი, წმინდა ფრანგული იუმორი — ავტორის ბრწყინვალე ერუდიაციას და კულტურას ადასტურებს, პიესის პრობლემატიკას ათანამედროვებს და პერსონაჟთა ზუსტ დახასიათებასაც უწყობს ხელს.

ჟუვე „ამფიტრიონ, 38“-ის შესახებ წერდა: „ორასი საღამოს განმავლობაში მაყურებელი აღფრთოვანებით ხვდებოდა მანამდე 37-ჯერ გადააზრებულ „ამფიტრიონის“ თემას. ჩვენ გვიხაროდა თეატრის ჭეშმარიტ ჯადოქართან შეხვედრა, რომელსაც ღვთის მიერ ნაბოძები სიტყვის ფლობის ნიჭი გააჩნდა“.

„ამფიტრიონ,-38“ თითქმის ორი წლის წინ ითარგმნა. ბ-ნი მიხეილ თუმანიშვილი დიდი შთაგონებით შეუდგა მის სცენურ ხორცშესხმას. ჩანაფიქრი და გადაწყვეტა მეტად საინტერესო ჩანდა, მაგრამ დრომ ცხოვრებასა და თეატრში სხვა გასაჭირი, სხვა საზრუნავი, სხვა თემატიკა მოიტანა და დააკანონა. არადა სამწუხაროა, რადგან სიყვარული და სისპეტაკე, ზეცისა და მიწის, ღვთიურისა და ამქვეყნიურის ერთგულება — სწორედ ის უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო და მუდმივი ეტალონებია, რომლებთანაც თვით მარადისობაც კი უძლური აღმოჩნდა.

მთარგმნელი

## კომედია სამ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

იუპიტერი, ოლიმპოს მთავარი ღმერთი.

მერკური, ვაჭრობის ღმერთი, იუპიტერის თანმხლები.

სოზია, ამფიტრიონის მსახური

მებუკე

მეომარი

ალკმენე, თებეს დედოფალი

ამფიტრიონი, მისი ქმარი, თებეს მეფე

ეკლისეა, ალკმენეს ძიძა

ლედა, სპარტის დედოფალი

ექო

## მოქმედება პირველი

### სცენა I

ზღვისპირა ტერასა სასახლის მახლობლად. იუპიტერი, მერკური.

იუპიტერი. იქ არის, იქ! მერკური ძვირფასო!

მერკური. სად იქ, იუპიტერ?

იუპიტერი. ხედავ იმ განათებულ ფანჯარას, ზღვის სიო რომ ფარდებს ურხევს, ალკმენეც იქ არის. არ გაინძრე! ორიოდ წუთი და მის ჩრდილს მოჰკრავ თვალს.

მერკური. ჩემთვის ჩრდილიც იკმარებს. მაოცებთ, იუპიტერ! თქვენი შესაძლებლობის პატრონი ღამეს ამ ბარდნარში უნდა ატარებდეს? თანაც რისთვის? იმისთვის, რომ ალკმენეს ჩრდილს შეავლოთ თვალი. არა და რა იოლია ღვთიური მზერით გაჭვრეთოთ მისი ოთა-

ხის კედელი... საცვლებზე ხომ არცა მაქვს ლაპარაკი.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. როგორ! მის სხეულს უჩინარი ხელით შევეხო და ისე ჩავიკრა გულში, რომ არაფერი ვაგრძნობინო?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ქარს სჩვევია ასეთი სიყვარული და, თუ მის ნაყოფიერებას გავითვალისწინებთ, ურიგო არ უნდა იყოს.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მიწიერი სიყვარულისა აბა რა გესმის, მერკური?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. როგორ თუ რა. ხშირად კი მაიძულებდით კაცის იერი მიმეღო. თქვენი შემყური, მეც ვეტრფოდი უბრალო მოკვდავს, მაგრამ რად მინდა? ქალის გული რომ მოიგო, ჯერ უნდა თავი მოაწონო, მერე გახადო, მერე ჩააცვა, დაბოლოს თვითონ რომ მიგატოვოს საყვარელმა, თავიც უნდა შეაძულო. დიდი ხათაბალა რამეა ეს სიყვარული!

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ადამიანთა ტრფობისა არაფერი გცოდნია, ჩემო მერკური. ზუსტი და უცვლელია მისი წესები.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. კარგად ვიცნობ, ამ წესებს.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ქალს ჯერ კვალდაკვალ მიჰყვები, თანაც ნაბიჯს აუწყობ ისე, რომ შენმა სხეულმა და სულმა მისი სხეულის რითმი და სულისთქმა შეისისხლხორცოს.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. თავისთავად ცხადია. ეს არის წესი პირველი.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მერე, ერთი ნახტომი და მარცხენა ხელს მკერდზე შეავლებ — ხომ იცი, სწორედ ქალის მკერდშია მოთავსებული უბიწოებისა და სისუსტის უხილავი სიმების კვანძი. ამასობაში მარჯვენა ხელს თვალზე ააფარებ, რადგან ქუთუთომ, — ქალის სხეულის ყველაზე მგრძნობიარე, ნაზმა ნაფლეთმა — ხელისგულის სიმხურვალით ამოიცნოს შენი ნდომა და ბედ-იღბალი, შენი ცხოვრება და შორეული აღსასრული. ჰო, აღსასრულიც! ქალს რომ გული მოსტაცო, თავი უნდა შეაცოდო კიდეც!

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ესეც წესი მეორე. ზეპირად ვიცი.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ამის შემდეგ უკვე მორჩილი, თვინიერ ქალს შეუხსნი საკინძეს, ქამარს და საწოლზე მიაწვენ. სიტუაციისა და ტემპერამენტის გათვალისწინებით ბალიშით, ან უბალიშოდ.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ესეც მესამე და უკანასკნელი წესია.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მერე რაღას გრძნობ?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ისეთს არაფერს. თითქმის იგივეს, რაც ვენერასთან გამომიცდია.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მაშ, რატომ ესტუმრები ხოლმე დედამიწას?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. უსაქმურობის და სიზარმაცის გამო. ამ პლანეტის მკვრივი ატმოსფერო და ფაფუკი ბალახი საშუალებას მაძლევს რბილად დავეშვა და კარგი დროც გავატარო. თუმცა, უნდა გამოვტყდე, რომ მანქანებს, ბენზინს, სულიერს — ყველაფერს კარგა მყრალი სუნი ასდის. ისე, დედამიწა გარეული ნადირით გაძღძგილი ერთადერთი ცის მნათობია და...

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ფარდას შეხედე! შეხე, ჩქარა!

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ვხედავ, ალკმენეს ჩრდილია.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ჩრდილი კი არა, მისი ლანდის ანარეკლია, ამიტომაც მიიღო ფარდის ქსოვილმა ასეთი ზღაპრული და მიმზიდველი იერი.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ჩრდილი ორად გაიყო! ორი ერთმანეთს ჩახუტებული ადამიანი ყოფილა! თურმე იუპიტერის ვაჟს კი არ გაუსუქებია ალკმენეს ტანწერწეტა ლანდის ანარეკლი, არამედ მისი ქმრის აჩრდილს! ალბათ ქმარია. ის გოლიათი, ქალს რომ უახლოვდება და კოცნის კიდეც. თუ ქმარი არაა, მეწყინება და თქვენს მაგივრად შურსაც ვიძიებ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ამფიტრიონია! ალკმენეს ერთადერთი სიყვარული.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ახლა კი მივხვდი, რატომ უარყავით ღვთიური მზერა, სჯობს უცქირო ლანდების ციმციმს, ვიდრე ხორცსა და ფერში დაინახო ცოლ-ქმრის ალერსი.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ის არის, ის, ჩემი ალკმენე — მხიარული, შეყვარებული...

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ეტყობა მორჩილიცაა.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ანთებული, გულმხურვალე.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. კმაყოფილიც ჩანს.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ერთგული...

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ერთგული ქმრის თუ საკუთარ თავის — საკითხავი აი ეს არის.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ჩრდილი გაქრა. ღონემიხდილი ალკმენე ალბათ საწოლზე მიესვენა და ამ ბედნიერი ბულბულის გალობას უსმენს.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ჩიტებზე ნუღარ ექვიანობთ, იუპიტერ! თქვენთვის კარგადაა ცნობილი მათი სისპეტაკე ქალების მიმართ. რამდენადაც მახსოვს, ქალის გულისთვის ხარად ქცეულხართ. მაგრამ ბულბულად არასდროს. არა! საფრთხე ამ მშვენიერი ქერა ქალის ქმრიდან მოგველის.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რა იცი, რომ ქერაა?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ქერა და ვარდისფერია, პირისახე მზეს შეუფაკლავს, გულმკერდი აისს, ხოლო იქ, სადაც საჭიროა, ღამე გარჯილა.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ამას იგონებ, თუ დაინახე?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ეხლახან, აბაზანაში რომ შედიოდა, ჩემი ღმერთის თვალი დავიბრუნე და... ნუ მიბრაზდებით, უკვე დავბრმავდი.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ცრუობ, არარავ! გატყობ, რომ ეხლაც ხედავ. ღმერთის სახეც ირეკლავს ქალის ელვარე სხეულს. სთქვი რას აკეთებს.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. გამოგიტყდებით, რომ მართლაც ვხედავ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მარტოა?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. საწოლზე გართხმული ამფიტრიონის თავთან დახრილა, მაცდური ღიმილით, თავს უწევს, შეხე, აკოცა და იმდენად გაათბა ამ ვნებიანმა ამბორმა, რომ ქმარს ხელი უშვა! მობრუნდა, ეხლა პირისპირ ვხედავ. ეჰე! შევმცდარვარ! ხულ, ხულ ქერა ყოფილა.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ქმარი, ქმარი მეთქი!

მერკური. მთლად შავგვრემანია, მხოლოდ ძუძუსთავები აქვს გარგრის ფერი.

იუპიტერი. რასა იქმს, მეთქი, ქმარი?

მერკური. ეფერება, როგორც ახალგაზრდა ფაშატ ცხენს. ალბათ იცით, ამფიტრიონი განთქმული მხედარია.

იუპიტერი. ალკმენე, ალკმენე რაღას აკეთებს?

მერკური. ქმარს მოსცილდა, ოქროს სურაილი, მიეპარა და თავზე წყლის გადასხმას უპირებს... წყალი ხომ არ გავყინოთ?..

იუპიტერი. და ამფიტრიონს ვნება მოვგვაროთ?

მერკური. მაშ მდუღარედ აქციეთ.

იუპიტერი. ალკმენეც დაიმდუღრება, ქმარი მისი სხეულის ნაწილია.

მერკური. რას უპირებთ ალკმენეს იმ ნაწილს, რომელიც არაა ამფიტრიონი?

იუპიტერი. დაუფლებას, მის სხეულში ჩემი ნაყოფის შექმნას.

მერკური. როგორ, რა ხერხით? პატიოსანი ქალის შეცდენა ძნელი არ არის, თუ მას მოყუჩებულ ადგილას შეიტყუებთ და კარ-ფანჯარას მაგრად ჩარაზავთ. სათნოება ნახევრადღია კარის მიღმაა მოფარებული.

იუპიტერი. როგორია შენი გეგმა?

მერკური. გეგმა ღვთიური, თუ ადამიანური?

იუპიტერი. რა განსხვავებაა?

მერკური. ღვთიური გეგმა ასეთია: ალკმენე ჩვენთან ამოიყვანეთ, ღრუბლებზე მასთან ერთად მოთავსდით და ორიოდ წუთის შემდეგ, მომავალი გმირით დამძიმებული, დედამიწაზე დაუშვით.

იუპიტერი. ასე სიყვარულის უნეტარესი წამი მომაკლდება.

მერკური. მაინც რომელი? ასე ბევრია უნეტარესი წამები?

იუპიტერი. რომელი და ქალის თანხმობა, ურთიერთსიყვარული.

მერკური. მაშ, მოკვდავთა გზას დაადექით: შეაღეთ კარი, გადაუარეთ საწოლს, გადით ფანჯრიდან.

იუპიტერი. ალკმენეს ქმრის გარდა არავინ უყვარს.

მერკური. ქმრის იერსახე მიიღეთ.

იუპიტერი. როგორ? ამფიტრიონი სასახლიდან ფეხს არ იცვლის. ვეფხვზე უარესი შინაყუდა ყოფილა ნებიერი, დასვენებული მეომარი.

მერკური. უნდა მოაშოროთ აქაურობას. მეომრის სახლიდან გასაგდები მშვენიერი საშუალება არსებობს.

იუპიტერი. ომი გექნება მხედველობაში.

მერკური. დიახაც. თებეს ვინმემ ომი გამოუცხადოს...

იუპიტერი. შეუძლებელია. თებე რახანია დაზავებულია თავის მეზობლებთან.

მერკური. დიდი ამბავი! მეზობელ ქვეყანას წაეზრძოლოს. ამგვარ სამსახურს მეგობრები ხშირად უწევენ ხოლმე ერთმანეთს. ნუ იქმნით ილუზიებს, იუპიტერ! ჩვენ ხომ ღმერთები ვართ! ჩვენს თვალწინ არ ტრიალებს ადამიანთა ბედის ბორბალი. ალკმენემ რომ ერთი მზერა გესროლოთ, ასი და ათასი სასწაული უნდა მოიგონოთ. არა და რა იოლად გააკეთებს ამას მოხერხებული მოკვდავი! ერთი პატარა წარბის შეთამაშება და, ქალი ხელთა ჰყავს! არა, ადამიანურ ხრიკებს ჩვენ ვერ გავწვდებით, ვერა! ამიტომ გააჩინეთ ერთი პირამდე შეიარაღებული მეომარი, რომელიც თებეში მოვა და ომს გამოაცხადებს. ამფიტრიონი მოქმედი ჯარის მთავარსარდლად გაუშვით, თქვენ მისი იერი მიიღეთ, მე კი ამფიტრიონის მსახურის სოზიას გარეგნობა მიბოძეთ — ამფიტრიონი რომ წავა, ვინმემ ხომ უნდა ამცნოს ალკმენეს, შენი ქმარი სალაშქროდაა წასული, მაგრამ ღამეს შენთან გაატარებსო, ჰოდა... ჩუ!, ვიღაც მოდის! დავიმალოთ! არა იუპიტერ, არ გვინდა საგანგებო ღრუბელი? ამ პლანეტაზე ადვილად დავემალებით ყველას: კირვეულ მოვალეს, ეჭვიან ქმარს, გულისწამღებ ყოველდღიურობას. ვერ მიხვდით როგორ? ჩვენ გაგვაქრობს დედამიწის ერთადერთი დემოკრატიული ალმოჩენა — ის დიდი მიღწევა, რომელსაც ღამე ეწოდება.

სცენა II

*სოზია, მებუკე, მეომარი*

სოზია. მებუკე, შენა ხარ მორიგე?

მებუკე. თქვენის ნებართვით მე გახლავარ. შენ ვინ ხარ? რაღაც მეცნობი?

სოზია. არა მგონია. მე სოზია ვარ. რას ელოდები? მიდი ჩაბერე!

მებუკე. არ ჩავბერავ თუ არ მეტყვი რაშია საქმე.

სოზია. რა მნიშვნელობა აქვს შენთვის? მაგ საყვირს ერთი ბგერის მეტი მაინც არა გააჩნია რა.

მებუკე. ჩემი საყვირი ერთბგერიანია, მაგრამ ეს ერთადერთი ბგერა — მთელი ჰიმნია. მე კი ჰიმნებს ვქმნი.

სოზია. ერთბგერიანი ჰიმნი პირველად მესმის. იჩქარე, ორიონი უკვე ამოდის.

მებუკე. ორიონი კი ამოდის, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ; მე განთქმული ვარ ერთბგერიან საყვირზე დამკვრელთა შორის მხოლოდ იმიტომ, რომ სანამ ჩემს საყვირს ჩავბერავ, მე მთლიანობაში წარმოვიდგენ იმ მელოდიას, რომელსაც ჩემი ერთადერთი ბგერა დააგვირგვინებს. ამიტომაცაა ჩემი საყვირი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და მნიშვნელოვნად განსაკუთრებული.

სოზია. იჩქარე, ქალაქს თითქმის ჩაეძინა.

მებუკე. ქალაქს ჩაეძინება, აბა რას იზამს. ისე, უნდა გაუწყოთ, რომ ჩემი კოლეგები შურით სკდებიან. ისიც კი მითხრეს, რომ ამ ბოლო დროს მუსიკალურ სკოლებში პაუზის და სიჩუმის დაცვის ხელოვნების შესწავლას უფ-

რო დიდ დროს უთმობენ, ვიდრე ბგერის და ჟღურადობის დაყენებას. ეხლა მითხარი, რას ეხება შენი განცხადება და მე ისეთ მუნჯ არიას შევქმნი, რომ გაოცებისაგან პირი დააღო.

**სოზია.** მშვიდობაზე უნდა ვილაპარაკო.

**მებუკე.** რომელ მშვიდობაზე?

**სოზია.** არ იცი, რა არის მშვიდობა? ინტერვალი ორ ომს შორის!! ამფიტრიონმა მიბრძანა, ყოველ ღამე თებელებს თითო დეკლარაცია წაუკითხეთო. ომისგან შემორჩენილი თვისებაა ყველაფრის ყირამალა დაყენება, თორემ ვის გაუგია დღის ღამედ ქცევა და ღამის დღედ. დეკლარაციის მოსმენა დილით, დასვენებულ გონებაზე არა სჯობია? მოკლედ, ასე ღამ-ღამობით ვკითხულობ ხოლმე ჩემს მოწოდებას. თემას თვითონ ამფიტრიონი მაწვდის, ურბანიზმი, მაგალითად, ან ქარიშხლისაგან, ხლოკინისაგან და მწერებისაგან თავდაცვის წესები. ხშირად ღმერთებზეც ვსაუბრობ ხოლმე. დღეს მშვიდობაზე საუბარი მაქვს ნაბრძანები.

**მებუკე.** გასაგებია. ესე იგი ჩვენ დაგვჭირდება რაღაც პათეტიკური და ამაღლებული.

**სოზია.** მარტივი და მორიდებული თანხლება მერჩივნა.

(მებუკე საყვირს იღებს, ხელით ტაქტს ითვლის და ჩაბერავს.)

**სოზია.** ეხლა ჩემი ჯერია!

**მებუკე.** სიტყვას რომ ამბობ, მსმენელს უნდა მიმართო და არა ავტორს.

**სოზია.** როგორ შევაქციო ზურგი ავტორს, თუ ის სახელმწიფო მოღვაწეა, თანაც ყველას ხძინავს, ერთი სანთელიც არ ანთებულა. არ გაჰრა შენმა საყვირმა.

**მებუკე.** ისიც კმარა, თუ ჩემი უჰანგო ჰიმნი გაიგეს.

**სოზია.** მაინც ვიტყვი! ო, თებელებო! მე იმ ერთადერთი მოწოდებით მოგმართავთ, რომლის მოსმენა ძილ-ბურანში, თბილი ლოგინიდან აუდგომლად შეიძლება. ჩემი ბატონი, სარდალი ამფიტრიონი თქვენ მშვიდობაზე გესაუბრებათ. განა რა არის მშვიდობაზე უფრო უტკბესი? განა ვინ არის მშვიდობაზე მოსაუბრე სარდალზე უფრო მშვენიერი? განა ვინ არის მშვიდობიანი ღამის სიჩუმეში მიყუჩებული, მშვიდობიანი იარაღის შესახებ მოსაუბრე მშვიდ სარდალზე უფრო სანატრელი?

**მებუკე.** ერთ სარდალზე უფრო სანატრელი?

**სოზია.** გაჩუმდი!

**მებუკე.** მშვიდობაზე მოსაუბრე, ორი მშვიდი სარდალი უფრო სანატრელია. (სოზიას ზურგს უკან გამოჩნდება შეიარაღებული, მაღალი მეომარი, რომელიც ნელა ამოდის კიბეზე).

**სოზია.** ძილი ნებისა თებელებო! თქვენ კარგად იცით, რა სიკეთის მომტანია ძილი, როცა კანონი არ ირღვევა და მშობლიურ მიწას სამხედრო სანგრები არ ამახინჯებს. თქვენ კარგად იცით, რა მშვიდია ძილი, თუ თქვენი ქვეყნის ყვავებსა და ძაღლებს, კატებსა და ვირთხებს ადამიანის ხორცის გემო არ გაუსინჯიათ. თქვენ კარგად იცით რა სასიამოვნო და საამაყოა თქვენი ეროვნული ხარის ტარება, რომელიც სხვა ჯიშისა და ფერის ა[...] შის ზარს კი არა, სანდომიან ღიმილს ჰგვრის მხოლოდ. თქვენ კარგად იცით, რა ბედნიერება მიაღწიოთ მორფევსის მშვიდ სასუფეველს არა საალყო კიბით, არამედ საუზმის, სადილისა და ვახშმის ფაფუკი საფეხურებით. თქვენ კარგად იცით, რა ბედნიერებაა სინდისის ქენჯნის და სისხლიან მოგონებათა გარეშე, საკუთარ თავთან შეგრძნებების, ოცნებების, ზმანებების სამამულო ომი გააჩაღო. იძინეთ თებელებო! რომ იცოდეთ, რა სიამის მომგვრელია თქვენი შიშველი, ნებიერად გაშოტილი სხეულების ხილვა, სხეულებისა, რომლებსაც ამ მშვიდობიან ღამეს ერთადერთი რაინდული საჭურველი ამშვენებს... არასდროს არ ყოფილა ღამე ასე წყნარი... ასე სურნელოვანი, ასე ჩუმი, ასე ნაზი...

იძინეთ!

**მებუკე.** დავიძინოთ!

(შეიარაღებული მეომარი უკანასკნელ საფეხურს გადალახავს და სოზიას უახლოვდება.)

**სოზია** (იღებს გრაგნილს და კითხულობს). მოისმინეთ უკანასკნელი ცნობები. ილისოსსა და მის შენაკადს შორის დავატყვევეთ თრაკიიდან გამოქცეული ერთადერთი ვაცი. ოლიმპოს მთასა და ტაიგეტონის მთაგრეხილს შუა მოხერხებულად გავაშენეთ პურის ყანები, რომელიც მალე ხორბლად იქცევა; ჟასმინის წალკოტში ფუტკრის ორი მძლავრი ნაყარი შევუშვით. ეგეოსის ზღვა ჩაწყნარდა, ტალღების და ციურ მნათობთა განლაგება არავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენს. არქიპელაგზე დავიპყრეთ უცნობ ნიშანთა ათასამდე ნაკადი, რომლებიც ტაძრიდან ციური მნათობისაკენ, ხიდან სახლისაკენ, ცხოველიდან ადამიანისაკენ მიედინებოდა. ამ საოცრების ამოცნობას ჩვენი ფილოსოფოსები არა ერთ საუკუნეს მოანდომებენ. ჩვენ არაფერი გვემუქრება მშვიდობიან საუკუნეთა გარდა... წყეულიმც იყოს ომი... (მეომარი სოზიას უკან ჩერდება).

**მეომარი.** რათ, რას ამბობ?

**სოზია.** ვამბობ იმას, რაც უნდა მეთქვა: წყეულიმც იყოს ომი!

**მეომარი.** იცი, ვის მიმართავ ამ სიტყვებით?

**სოზია.** არა!

**მეომარი.** მეომარს.

**სოზია.** მერე რა მოხდა? ომი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს.

**მეომარი.** მეომარი ყველა ერთნაირია. სად არის შენი ბატონი?

**სოზია.** აი, იმ ერთადერთი განათებული ფანჯრის მიღმა.

**მეომარი.** მამაცი სარდალი გყოლიათ! ის უთუოდ საბრძოლო გეგმებს უკირკიტებს.

**სოზია.** რა თქმა უნდა, იგი მათ ეფერება, ეფოფინება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**მეომარი.** დიდი სტრატეგოსი ყოფილა!

**სოზია.** ის მათ გვერდით იწვენს, კოცნის კიდეც.

**მეომარი.** გეგმის შესწავლის ახალი მეთოდი უნდა იყოს. ეხლავ წაუღე ეს პატაკი! ჩაიცვას, იჩქაროს! იარაღი წესრიგში აქვს?

**სოზია.** ცოტა ჟანგი შეეპარა, მაგრამ ახალ ლურსმანზე აქვს დაკიდებული.

**მეომარი.** რატომ აყოვნებ?

**სოზია.** ხვალამდე ვეღარ მოიცდი? შეხე რა უშფოთველი ღამეა. ცხენები გვერდზე მიწოლილან ადამიანებივით, ძაღლებს ხვრინვა ამოუშვიათ, ჰოტსაც კი სძინავს.

**მეომარი.** საწყალი ცხოველები! ადამიანის მიერ დაწესებულ მშვიდობას ვინღა ენდობა?

**სოზია.** უსმინე! სოფლიდან, ზღვიდან, მთიდან — ყოველი მხრიდან ღუღუნი ისმის. მოხუცები ამ ღუღუნს მშვიდობის ექოს უწოდებენ.

**მეომარი.** სწორედ ასეთ დროს ჩაღდება ომი.

**სოზია.** ომი?!

**მეომარი.** ათენელებმა ჯარი შეკრიბეს და საზღვარი გადმოლახეს.

**სოზია.** სტყუი, ისინი მოკავშირენი არიან.

**მეომარი.** ჰოდა, ჩვენმა მოკავშირეებმა ალყა შემოგვარტყეს, მძევლებს დაეძებენ და სიკვდილით სჯიან. გააღვიძე ამფიტრიონი.

**სოზია.** ჩემს ბატონს ძილს კი არა, ბედნიერებას წავართმევ. მშვიდობის ჰიმნის მერე ომი ვაუწყო?

**მეომარი.** შენი ჰიმნი არავის გაუგია. წადი აქედან! შენ კი, მებუკე, დარჩი და საყვირს ჩაბერე!

სოზია გადის.

**მებუკე.** რა ჩავბერო? რაშია საქმე?

**მეომარი.** ომია, ომი!

**მებუკე.** გასაგებია. ესე იგი ჩვენ ისევ რაღაც პათეტიკური და ამაღლებული დაგვჭირდება.

**მეომარი.** არა, ახალგაზრდული.

მებუკე უკრავს, მეომარი გადაეკიდება მოაჯირს და ყვირის.

**მეომარი.** გაიღვიძეთ თებელებო! ეს ის ერთადერთი მოწოდებაა, რომლის მოსმენა ლოგინში არ შეიძლება. ყველამ, ვისაც ძლიერი და ჯანსაღი ხნეული აქვს, ისმინოს ჩემი ლაღადი და გამოეყოს ღამის წყვდიადით გათანაბრებულ, ოფლიან, უძლურ ბრბოს. აღსდექით! იარაღი აისხით! აბჯრითა და მუზარადით დაიმძიმეთ სხეული. მხოლოდ იარაღი, მხოლოდ ძალის შეგრძნება შეგძენთ სიმამაცეს და თავდადებას. რა მოხდა, მეკითხებით? ომია, ომი!

**მებუკე.** რას გაჰყვირიან!!!

**მეომარი.** ძმობა, ერთობა, თავისუფლება — აი, რა არის ომი! თქვენ, უილბლო, უბადრუკო დატაკნო, ბედის მაგიერ მტერს შეებრძოლეთ! მდიდრებო, ძლიერნო ამა ქვეყნისა, დაიბანწეთ სამშობლოს სამსახურში თქვენი სიმდიდრე, სიხარული, საყვარლებიც კი. ეჭვით მოთამაშენო! გაითამაშეთ კიდევ ერთხელ თქვენი სიცოცხლე! თქვენ კი, უღმერთო წამებულნო, ომი ყველაფრის უფლებას გაძლევთ! წმინდა ტაძრებზე ალესეთ თქვენი დანები, შეჰქმენით ახალი კანონები, აირჩიეთ ლამაზი ქალები! აბა, ზარმაცებო — სირბილით სანგრებში! ომი — სიზარმაცის გვირგვინია! საქმოსნებო — უფროსობა და პატივი გელით! ადექით, ლამაზი ბავშვების მოყვარულნო, ადექით, ჩქარა! ხომ გსმენიათ — ომის შემდეგ სასწაული ხდება! ვაჟები უფრო იბადებიან, ვიდრე ქალები... ამორძალების ქვეყანას არა ვგულისხმობ... აბა, პირველი ჩირაღდანი, მეორე, მესამეც. ო, რა საამოა ომის პირველი ხანძარი. ადექით, შეერთდით! გაბედავს ვინმე ომში მოპოვებული დიდების ნაცვლად შიმშილით მოკვდეს, ან წყურვილით დაიხრჩოს თავი, ან წუმპეში ამოიგანგლოს, ომის ქარცეცხლს გამოაკლდეს და სიამეში ჩაძაღლდეს?

**მებუკე.** მე, მე გავბედავ!

**მეომარი.** მხოლოდ ყეყეჩი აზვიადებს ომის სიძნელეს; გარწმუნებთ, ეხლა აღსრულდება ომში მიმავალი ჯარისკაცის ნეტარი ოცნება: ღმერთთა ნებართვით არ იქნება არც ერთი მსხვერპლი, თქვენ ყველანი, ცაციების გარდა, დაიჭრებით მარცხენა ხელში! აბა, დაეწყვეთ მწკრივში! შეჰკარით ასეულები! ომისა და სამშობლოს მიღწევად ჩაითვლება თუ ჩემი მოწოდება დაქსაქსულ მილიონობით პიროვნებას ერთიან ძალად აქცევს და ბრძოლის ველზე გაიწვევს, ო, რა სამარცხვინოა მშვიდობა, რომელიც უძლურების, მოხუცების და ხეიბრების სიკვდილს კმარობს, ხოლო ახალგაზრდებს ნანატრი უკვდავების მოპოვების საშუალებას ხელიდან აცლის. მთავარია, ომში წასვლის წინ კარგად დანაყრდეთ. ერთი ორად გემრიელია კურდღლის პაშტეტი და თეთრი ღვინო, თუ გვერდს მოტირალი ცოლი გიმშვენებთ, ხოლო ბავშვები, ასაკის მიხედვით ჩამწკრივებულნი, უკანასკნელ ამბორს გითვლიან. ამით ვამთავრებ! კურთხეულ იყავ, ომო!

**მებუკე.** აი, სოზიაც!

**მეომარი.** ბატონი მზადაა?

**სოზია.** დიახ, მზადაა, მაგრამ ქალბატონი ვერა და ვერ მორჩა მზადებას. კაცი ომის ფარაჯით უფრო იოლად შეიმოსება, ვიდრე განშორების სამოსით.

**მეომარი.** ქალბატონი ტირის ხოლმე განშორებისას?

**სოზია.** არა, იღიმება. ასეთ ღიმილს, ტირილი სჯობია. აი ისინიც.

**მეომარი.** აბა, გავწიოთ!

## სცენა III

ალკმენე, ამფიტრიონი

**ალკმენე.** ო, ჩემო ამფიტრიონ, მიყვარხარ!

**ამფიტრიონი.** მეც მიყვარხარ, ჩემო ალკმენე!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. სწორედ ესაა უბედურება! ოდნავ მაინც რომ გვძულდეს ერთმანეთი, განშორების წამი ასე მძიმე არ იქნებოდა.

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. ერთმანეთი მართლაც არ გვძულს, ჩემო სალოცავო ხატო!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. შენ ისეთი დაბნეული და გულმავიწყი ხარ, შენ გვერდზე როცა ვარ, შემოხედვაც კი გავიწყდება. შემომფიცე, რომ განშორებისას უფრო ხშირად გაგახსენდება შენი ალკმენე.

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. უკვე მახსენდება, ძვირფასო!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ვარსკვლავი ამოვარჩიოთ, ყოველ ღამე ზუსტად ერთ დროს შევხედოთ ხოლმე და ერთმანეთს ტკბილი სიტყვა შემოუთვალოთ

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. თანახმა ვარ. აი ვენერა — ჩვენი საერთო მეგობარი.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ვენერას ვერ ვენდობი. ჩემს სიყვარულს მე თვითონ მოვუვლი.

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. მაშ იუპიტერი — მშვენიერი სახელია!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. უსახელო ვარსკვლავი არ არსებობს ამხელა ცაზე?

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. ხედავ იმ პაწაწინა მნათობს? ასტრონომები მას უსახელოს უწოდებენ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ესეც ნათლობის სახელია. შენი გამარჯვების ვარსკვლავი რომელია? ერთი მითხარი როგორ იმარჯვებ? გაანდე შენს ერთგულ ცოლს ეს საიდუმლო. როგორ ამარცხებ მტერს — იერიშით, ჩემი სახელის მადლით თუ შენს უკან მიტოვებული სახლების, ბავშვების და ცოლების დაკარგვის შიშით?

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. არა, ძვირფასო.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. აბა როგორ, ამიხსენი?

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. მაშ ასე! ჩემს მარცხენა ფრთას ვკრავ მარჯვენა ფრთასთან, მერე მოულოდნელად ვიჭრები მტრის მარჯვენა ფრთაში ჩემი მარცხენა ფრთის სამი მეოთხედი ნაწილით. ხოლო დარჩენილი ერთი მეოთხედით იერიშით მივდივარ მოწინააღმდეგის უკვე შეთხელებულ რიგებზე. ასე ვიმარჯვებ!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. რა მშვენიერი ყოფილა ფრინველთა ბრძოლა! ასე რამდენჯერ გაიმარჯვე, ჩემო არწივო!

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. ერთადერთხელ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. როგორ იგერიებ მტერს, როგორ კლავ მას?

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. ჯერ მახვილს ჩავცემ და შუბით მიწას მივაკრავ, მერე ყელს გამოვჭრი და გასისხლიანებულ ხანჯალს შიგ ჭრილობაში ჩავტოვებ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. თითოეული მოკლულის მერე უიარაღოდ რჩები, როგორც ფუტკარი კბენის შემდეგ. ღმერთებო, შველა! ეს რა სახიფათო ხერხი გცოდნია! ამის გამგონე ვერც დავიძინებ. ისე, ამ წესით ბევრი თუ მოგიკლავს?

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. ერთადერთი.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მეფე იყო, თუ სარდალი ვინმე?

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. არა, უბრალო ჯარისკაცი.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. თავმდაბალიც ხარ გეტყობა. შენთვის სიკვდილშიც ყველა თანაბარი ყოფილა. იმ საცოდავს, შუბსა და ხანჯალს შორის, თუ შეარჩინე ერთი წამი, შენი სახელი რომ იცნო და გაეაზრა რა პატივი არგუნა ბედმა!

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. რა თქმა უნდა. საწყალმა ჩემს მედუზას შეხედა, გასისხლიანებულ ტუჩებზე მოკრძალებული ღიმილი დაეტყო და ისე დალია სული.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. სახელი თუ გითხრა სიკვდილის წინ?

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. უცნობ ჯარისკაცად დარჩა, ცის მნათობთაგან განსხვავებით, ომში მრავლადაა უსახელო ჯარისკაცები.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ო, ჩემო ძვირფასო! რა ბედნიერი ვარ, რომ ერთი გამარჯვების და ერთი მსხვერპლის გმირი ხარ! რატომ ვარ ბედნიერი? იმიტომ რომ ერთადერთი ქალი გეყვარება... აი, შენი ცხენები! აბა, მაკოცე!

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. არა მე იორლა ცხენები მყავს, თოხარიკით მოჭენდებიან, მაგრამ მაინც გაკოცებ. როგორც იქნა გამიღიმე! იცი რას ვფიქრობ — ომის მოულოდნელმა გამოცხადებამ. თითქოს რაღაც ფარული კავშირი გაგიფანტათ. აბა გამოტყდი, რაშია საქმე?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ამას წინათ, დილაადრიან, ფანჯარასთან ბავშვი ატირდა. ბავშვის ტირილი ავის მომასწავებელი ნიშანია.

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. ავის მომასწავებელია მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილი და სამჯერადი გაელვება.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ცა მოწმენდილი იყო და ბავშვი ტიროდა. უარესი წინასწარმეტყველება მე არც ვიცი და არცა მსმენია.

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. ნუ ხარ ცრუმორწმუნე. ოფიციალურ სასწაულთა სია იქმარე. შენს პირისფარეშს მაზინჯი ბავშვი ხომ არ გაუჩენია?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. არა! ძილში გაღვიძებაც ვცადე, მაგრამ გული შემეკუმშა და თვალთაგან ცრემლი წამსკდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენს ბედნიერებას რაღაც საშინელი საფრთხე ემუქრებოდა... ღმერთების მადლით ათენელებმა ომი გამოგვიცხადეს. ამაზე გადატყდა ჩემი შიში და უგუნებობა. ომი მაინც ყველაზე პატიოსანი გასაჭირია, ხმლითა და შუბით შეიარაღებული ალალი მტერი მირჩევნია ყველა დანარჩენს. დიდება ღმერთებს, რომ ომი ჰქმნეს და არა სხვა რაღაც სასწაული უბედურება.

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. ერთი მითხარი, ომის გარდა რა გვემუქრება? ჩვენ ახალგაზრდები ვართ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა პლანეტაზე ვცხოვრობთ — დანაშაულიც კი მარტივი და ალალი ვიცით — ძალადობა, მამისმკვლელობა, სისხლის აღრევა. მახლობელთა სიყვარული დავიმსახურეთ. სიკვდილიც ვერ დაგვაშორებს, აბა რა უნდა გვემუქრებოდეს?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ისევ ჩვენი სიყვარული! სულ მეშინია, რომ მიღალატებ. სულ მეჩვენება, რომ სხვა, უცხო ქალი გეფერება და გიალერსება.

ამფიტრიონი. უცხო ქალი, თუ უცხო ქალები?

ალკმენე. ადრე ქალღმერთებზე უფრო ვეჭვიანობდი. აბა წარმოიდგინე, რა შთამბეჭდავია ღრუბლიდან ან წყლიდან ნორჩი ქალღმერთის აღმოცენება, რა მშვენიერია მისი მოვარდისფრო კანი, რომელსაც ფერუმარილი არასდროს შეხებია, რა ფაფუკი და მიმზიდველია მისი ბულმკერდი და ღვთიური მზერა. აბა დაუდექ, თუ ვაჟკაცი ხარ, ქალღმერთის თოვლივით ქათქათა, ძლიერი ხელის შეხებას, ან ახსლეტილი, შიშველი წვივის შეთამაშებას. აბა, ჩაფიქრდი? ძნელია, არა?

ამფიტრიონი. ვიღაც გადამთიელისათვის რაღა თქმა უნდა ძნელია, ჩემთვის არა.

ალკმენე. ისე ქალღმერთები ადვილად განრისხდებიან ხოლმე, მათ სულ სიყვარული სწყურიათ და გაუთავებელ თაყვანისცემას მოითხოვენ. არა, შენ მათ სიყვარულს ვერ გაუძლებდი.

ამფიტრიონი. არც უცხოელზე მიმიწევს გული.

ალკმენე. ამას ნუ იტყვი! შენ არ მიგიწევს — ის გადაირევა შენზე. უცხოელს ნებისმიერი კაცი აგიჟებს, ოღონდ ეს კაცი ვინმეს ან რამეს უნდა ეკუთვნოდეს. მაგალითად ცოლს, მეცნიერებას, ან დიდებას. მათთვის ხომ წართმევაა მთავარი! აბა, გაიხსენე, ძვირფასად ჩაცმული უცხოელი ქალი რომ ჩამოდის, რა ხდება ხოლმე ჩვენს ქალაქში? თანაც სულერთია, ბეწვეულსა და აბრეშუმში გახვეული მზეთუნახავი ჩამოვიდა, თუ ამაყად თავაწეული გონჯი გომბიო, რომელიც ამ თავის სიმახინჯეს ისე მოგართმევს, როგორც უცხო ხილს! მოდა, როგორც კი ჩამოვა ვინმე მსგავსი — მორჩა, გათავდა ყველაფერი — ჯარი, ხელოვნება, ოჯახური სიამტკბილობა ყირაზე დგება და ასე ქვავდება. მშობლიური კერის კვამლზე მამაკაცს უცხოური სურნელი უფრო იზიდავს. ღრუბელივით შეიწოვს და შთანთქავს უცხოელი ქალი ძვირფას ქვებს, უძველეს ხელნაწერებს, იშვიათ ყვავილებს, მამაკაცთა ხელებს — ყველაფერს, ყველაფერს.. არ დაგავიწყდეს უცხოელები მხოლოდ თავის თავს სცემენ თაყვანს, ალბათ იმიტომ რომ თავის ძალას უცხო თვალით აფასებენ. აი, რატომ ვშიშობდი, ჩემო მეუღლევ, როცა ავისმომასწავებელ ნიშანს ვამჩნევდი. აი, რატომ გავურბოდი ყველაფერს— წელიწადის დროის ცვალებადობას, ახალ ხილს უჩვეულო სიამოვნებას, უცხო სურნელს და ზედმეტად თამამ სიყვარულსაც კი. ძალიან მეშინოდა უჭხო ქვეყნიდან მოსული ქალის. მის ნაცვლად მხსნელად ომი მოგვევლინა. ეხლა ომის წყალობით ვიღაც გადამთიელის თვალწინ თავს არ დავიმცირებ და აღარ ვიტირებ.

ამფიტრიონი. ო, ალკმენე, მშვიდად იყავი. გჯერდეთ რომ მყავხარ, ჩემი უცხოელი მხოლოდ შენა ხარ, ომში წავალ და ცოლად მოგიჩნევ, პატივისცემით გაგიხსენებ! დამელოდე! ნუ გეშინია! მეზობლებს შორის ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელდება. კიდევ რას [illegible]

ალკმენე. უკვე გითხარი ჩემი სათქმელი. არც ვიცი კიდევ რას ამბობენ განშორების ჟამს.

ამფიტრიონი. ხუმრობენ ხოლმე. ან ქმარს იარაღს აწოდებენ და ეუბნებიან: გამარჯვება, ან სიკვდილი! ხშირად არიგებენ: „თავზე ჩამოქცეული ცის გარდა არაფერმა შეგაშინოს"! რა ვიცი კიდევ რა! ნუთუ მეუღლე თავად ვერ მოძებნის მღელვარე სიტყვებს?

ალკმენე. არ მეხერხება! შთამომავლობას ჩემს სათქმელს ვერ გავანდობ! მხოლოდ ერთს გეტყვი, თანაც ისეთს, რომ შენს გულშივე ჩაკვდეს და ჩაიმარხოს: ამფიტრიონ მიყვარხარ! მალე დაბრუნდი! სხვა რა სიტყვები ჩავატიო წინადადებაში, რომელსაც ამ სიგრძე სახელით ვიწყებ?

ამფიტრიონი. სახელი ბოლოს მოაქციე, მშვიდობით, ალკმენე!

ალკმენე. ამფიტრიონ!!!

(ერთ წუთს, სანამ ცხენების ფეხის ხმა მიყუჩდება, გაოგნებულია, მერე ბრუნდება და სახლისაკენ გაემართება. გამოდის მერკური სოზიას სახით.)

### სცენა IV

მერკური. ალკმენე, ჩემო ქალბატონო!

ალკმენე. რა გინდა, სოზია?

მერკური. ბატონმა ორიოდ სიტყვა დამაბარა.

ალკმენე. რას ამბობ? ეხლა აქ არ იყო.

მერკური. სწორია! მაგრამ, ჩუ! არავინ გაიგოს! ბატონი თვალის ახახვევად წავიდა ომში და როგორც კი საჭირო ბრძანებებს გასცემს, მაშინვე თქვენთან დაბრუნდება.

ალკმენე. ვერაფერი გამიგია, სოზია.

მერკური. ბატონმა გადმოგცათ, დედოფალო, რომ ის სხვების თვალის ახახვევად წავიდა ბრძოლის ველზე..

ალკმენე. რა სულელი ხარ, სოზია, არცა გცოდნია რა არის საიდუმლო ან, ითვალთმაქცე, რომ არაფერი იცი, ან დაივიწყე, თუ მართლა იცი რამე.

მერკური. კარგი ნათქვამია, დედოფალო.

ალკმენე. ვერ გავიგე, რა გინდოდა ჩემგან?

მერკური. იყავით მზად, დედოფალო, და ბატონს ელოდეთ, მეფემ გადმოგცათ, რომ...

ალკმენე. თავი დამანებე, სოზია, დავიღალე, მეძინება.

(ალკმენე გადის. მერკური იუპიტერს ანიშნებს და სცენაზე შემოჰყავს.)

### სცენა V

იუპიტერი ამფიტრიონად არის გადაცმული მერკური — სოზიად.

მერკური. ყველაფერი კარგად მოისმინეთ, იუპიტერ?

იუპიტერი. ვინაა იუპიტერი? მე ამფიტრიონი ვარ!

მერკური. ვერ მომატყუებთ! ღმერთის ნაბიჯს შორიდანვე ვცნობ.

იუპიტერი. ნამდვილად ამფიტრიონის ტანსაცმელი მაცვია.

მერკური. რაღა გვიჭირს, კაცის თავი მარტო ტანსაცმელში რომ იყოს დამარხული, თუმცა ტანსაცმელიც შევამოწმოთ. შენიშვნა პირველი: სად გაგონილა, ადამიანი ისე გამოვიდეს ბუჩქნარიდან, რომ მის მოსასხამს არც ერთი ეკალი არ წამოედოს. შენიშვნა მეორე: არც ნაკეცს ვხედავ, არც ლაქას, არც ამოძენძილ ძაფს. არადა საუკეთესო ქსოვილიდან დამზადებულ ნაწარმსაც უნდა ჰქონდეს მსგავსი ხარვეზები. აქედან დასკვნა: თქვენი სამოსელი მარადიულია. ეს მოსასხამი ალბათ წყალგაუმტარია და არც ხუნდება. მასზე ზეთის წვეთიც არ დატოვებს კვალს. ამით გინდათ ალკმენე გააცუროთ? ის ხომ კარგი დიასახლისია და ასეთ საეჭვო სასწაულს ადვილად შეამჩნევს. აბა, შებრუნდით?

იუპიტერი. შევბრუნდე? ე. ი. შევტრიალდე?

მერკური. მამაკაცები ისევე, როგორც ღმერთები, დარმწუნებულნი არიან, რომ ქალები მათ მხოლოდ წინახედით აფასებენ. ამიტომაც მარტო ფასადს იმშვენებენ ხოლმე ულვაშით, პლასტრონებით, ათასნაირი საკიდით... კაცებმა არც იციან, რომ ქალი თავს იკატუნებს, როცა ამბობს — შენი თვალების ციმციმმა მომხიბლაო, სინამდვილეში ქალი ზურგს აკვირდება ფარული ყურადღებით. როცა მამაკაცი საწოლიდან დგება, ბრუნდება და მიდის, დედაკაცი უმალ ამოიცნობს საყვარლის უგუნებობას, ან დაღლას. თქვენ კი ზურგი უფრო წარმოსადეგი გაქვთ, ვიდრე გულმკერდი, ეს შეცდომა უნდა გამოვასწოროთ!

იუპიტერი. ღმერთები არავის არასდროს ზურგს არ აქცევენ. თანაც, ღამე იქნება, მერკური!

მერკური. აბა რა ვიცი! რომელი ღამის წყვდიადი გაუძლებს თქვენს ღვთიურ ბრწყინვალებას? ასეთ იმპოზანტურ, ადამიანისმაგვარ ციცინათელას რა საერთო აქვს ალკმენეს ქმართან?

იუპიტერი. აქამდე ყველა ქალს ვატყუებდი და...

მერკური. ატყუებდით, ნამდვილად ატყუებდით, სანამ თავს რაიმე პაწაწუნა სასწაულით არ გაამხელდით. გახსოვთ, ერთხელ ისე გააკაშკაშეთ თქვენი ისედაც ხხივმოსილი სხეული, რომ მათი აქოთებული ზეთის ლამფები სულ შურით დასკდნენ. ისე თუ დამიჯერებთ, არც ერთი არ მოტყუებულა.

იუპიტერი. ნუთუ არ შეიძლება ღმერთი ისე, უბრალოდ შეიყვაროს ვინმემ?

მერკური. ვინმემ კი, მაგრამ ალკმენე ამ სიამოვნებას არ გაღირსებთ, არა! ისევ ქმრის პარამეტრებზე აიღეთ ორიენტაცია.

იუპიტერი. ჯერ ასეც მოვიქცევი, მერე კი ვნახოთ. ვერც წარმოიდგენ, ჩემო მერკური, რა სიურპრიზების თავი აქვთ ეგრეთ წოდებულ ერთგულ ცოლებს. ყოველთვის მერჩივნა ერთგულ ცოლებთან არშიყი, მე სამართლიანობის ღმერთიც ვარ და მიმაჩნია, რომ ამ საცოდავებსაც სჭირდებათ ცოტა ნუგეში და კომპენსაცია, რომელსაც, ბუნებრივია, ჩემგან ითხოვენ. მოღალატე ქალები ტკბობას საყვარლისაგან მოელიან, ერთგულები კი გაზაფხულს, საინტერესო წიგნს, სუნამოს, მიწისძვრასაც კი იყენებენ ამ თვალსაზრისით. მოკლედ, ერთგული ცოლი ქმარს, კაცთან კი არა, მთელ სამყაროსთან ღალატობს. ალკმენეც არ უნდა იყოს გამონაკლისი. ამიტომ ჯერ ქმრის მოვალეობას კარგა ლაზათიანად შევასრულებ, მერე ალკმენეს გავესაუბრები ყვავილებზე, ცხოველებზე, ძვირფას ქვებზე და გავარკვევ, თუ რა აღელვებს მის წარმოსახვას. ამის შემდეგ დავიბრუნებ ღვთაებრივ იერს, ამგვარად ალკმენე შემიყვარებს მე, როგორც ღმერთს! ტანსაცმელი წესრიგში მაქვს?

მერკური. პირველ რიგში სხეული მოვაწესრიგოთ! მოდით, მოიწიეთ ერთი სინათლისკენ, კარგად მოგარგოთ ადამიანის გარეკანი.... უფრო ახლოს, ვერაფერს ვხედავ..

იუპიტერი. თვალები როგორია?

მერკური. ერთი შევხედო... ძალიან ბრწყინავს. ზამბახისფერი, კარგი მოფიქრებაა, მაგრამ თვალის გარსი სადღაა? არც საცრემლე პარკი გაქვთ — რას იზამთ გული რომ აგიჩუყოთ ალკმენემ და წატირება მოგინდეთ? აუჰ! ეხლა ისე მომანათეთ თვალები, თითქოს მარტივი ოპტიკური ნერვის ნაცვლად, კარგა ძლიერი პროჟექტორი გედოთ თავის ქალაში. მზე მოაკელით, მზე, თქვენს გამოხედვას! როგორ აგიხსნათ? ადამიანის მზერა ჩვენი ოლიმპოს უკუნეთსა ჰგავს. ეხლა თვალის ბადურას მივხედოთ! რაო, ადრე არ დაგჭირვებიათ თვალის კაკალი?

იუპიტერი. არასდროს! არც მახსოვს როგორია. ასე ივარგებს?

მერკური. არა, არა, ფოსფორი საჭირო არაა! კატის თვალები რად გინდათ? არ მომწონს! თვალს რომ შეათამაშებთ, ქუთუთოს მიღმა ზამბახისფერი გუგები მოსჩანს. სიღრმე შესძინეთ გამოხედვას, თორემ ალკმენეს შიგ ჩახედვა გაუჭირდება.

იუპიტერი. ავანტურინის ბზინებიც მომიხდებოდა!

მერკური. კარგია, ახლა კანს მივხედოთ!

იუპიტერი. მაინც რა არ მოგწონს?

მერკური. ზედმეტად კრიალა და ნაზია. ჩვილის კანსა ჰგავს. ჩვენ კი ისეთი კანი გვჭირდება, რომელსაც აგერ უკვე ოცდაათი წელიწადი ქარი აშრობს და ზღვა ამარილებს. მას ხომ გემოს გაუსინჯავენ, ქალებს ადრე არაფერი უთქვამთ, თქვენი ბავშვივით ჩვილი კანით პირს რომ იტკბარუნებდნენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუპიტერი. დედაშვილური არ ყოფილა მათი ალერსი და... აბა რა ვიცი.

მერკური. ამ კანის სინაზე ორ სასიყვარულო მოგზაურობასაც ვერ გაუძლებს. ტომარასავით კიდია, შიგ ცურავთ პირდაპირ. ცოტაც რომ დაგვექიმა ურიგო არ იქნებოდა.

იუპიტერი. როგორ დავიღალე! გული ამიძგერდა, ვენები და არტერიები დამებერა, სისხლით გაჟღენთილ ღრუბლად ვიქეცი. გალიაში მომწყვდეული ჩიტივით, ამიფართხალდა სხეულში სიცოცხლე. ნუთუ, სულ ამ განსაცდელში მყავს ყველა მოკვდავი?

მერკური. ყოველთვის არა. მხოლოდ ორჯერ: დაბადების და სიკვდილის ჟამს.

იუპიტერი. რა საზარელი ყოფილა დაბადების და სიკვდილის ერთდროულად განცდა. მგონი გადავრჩი! ვგავარ ახლა ადამიანს?

მერკური. ჯერ არა! ცოცხალ ადამიანს რომ შევცქერი, იცით რას ვხედავ? — ვხედავ, რომ ის გამუდმებით იცვლება, ბერდება, ნელ-ნელა მხედველობაც უსუსტდება...

იუპიტერი. მოდი ვცადოთ. რომ შევეჩვიო, გავიმეორებ: მალე მოვკვდები, მალე მოვკვდები, მალე მოვ......

მერკური. ე, ე. ცოტა ნელა, თორემ საოცარი სისწრაფით წამოგეზარდათ თმა და ფრჩხილები... ნაოჭებიც დაგეღარათ, უფრო ნელა... მაჯისცემის რეგულაცია ნუ დაივიწყეთ! ასეთი სისწრაფით მხოლოდ ძაღლებსა და კატებს უძგერთ გული.

იუპიტერი. ეხლა როგორაა?

მერკური. [illegible] დაამუხრუჭეთ! თევზების რითმზე გადახვედით. აი, აი კარგია... ზუსტად ეს ზომიერება დაიცავით... სწორედ ამ თოხარიკით ცნობს ამფიტრიონი თავის ცხენებს, ალკმენე კი ქმრის მაჯისცემას.

იუპიტერი. აბა, უკანასკნელი დარიგებაც...

მერკური. თქვენი გონება!

იუპიტერი. ჩემი გონება?

მერკური. დიახ, დიახ, თქვენი. სასწრაფოდ უნდა შეცვალოთ ღვთაებრივი აზროვნება ადამიანურით. რას ფიქრობთ? რა გწამთ? როგორია თქვენი თვალსაწიერი, ეხლა როცა ადამიანად იქეცით?

იუპიტერი ჩემი თვალსაწიერი ე. ი. ჩემი აზრი სამყაროს შესახებ, ანუ, ჩემი თვალთახედვა მე მგონია... მე ვფიქრობ, რომ ეს ბრტყელი დედამიწა მართლაც ბრტყელია, წყალი მხოლოდ წყალია და სხვა არაფერი, ჰაერი — ჰაერია. მე მჯერა, რომ ბუნება კარგად არის მოწესრიგებული, ხოლო გონება მარადიულია. მორჩა?

მერკური. ისე, თმის გვერდზე გაყოფა და ბრიოლინით მისი შელამაზება ხომ არ მოგინდათ?

იუპიტერი. მართლაც მომინდა!

მერკური. ხომ არ დაგებადათ აზრი, რომ თქვენ სხვა არაფერში ხართ დარწმუნებული, გარდა საკუთარი არსებობისა?

იუპიტერი. დამებადა! ცოტა უცნაურია ასეთი თავჩაკეტილობა, მაგრამ რას იზამ.

მერკური. ხომ არ გგონიათ, რომ ერთ დღეს მოკვდებით კიდეც?

იუპიტერი. არა. დაე, ჩემი მეგობრები მოკვდნენ. რას იზამ, საწყლები! მე სიცოცხლე მირჩევნია!

მერკური. თუ დაივიწყეთ ყველა ის ქალი, ადრე რომ ეტრფოდით?

იუპიტერი. მე? ვინმეს ვეტრფოდი? არასდროს არავინ მყვარებია, ალკმენეს გარდა.

მერკური. ძალიან კარგი. ამ ცაზე რაღას იტყვით?

იუპიტერი. ეს ცა დღეს უფრო ჩემია, ვიდრე მაშინ, როცა იუპიტერი ვიყავი. მზის სისტემა უმნიშვნელოდ მცირე ყოფილა, ხოლო დედამიწა უზარმაზარი. მე აპოლონზე ლამაზი ვარ, სიყვარულში კი მარსზე უფრო ძლიერი და მოხერხებული, მწამს, ვხედავ და ვგრძნობ, რომ ახლა მართლაც ღმერთთა ღმერთი ვარ.

მერკური. ჭეშმარიტი ადამიანი ხართ! მიდით, იმოქმედეთ! *მერკური ქრება.*

## სცენა VI

*შემოდის იუპიტერი. ალკმენე აივანზე გამოდის. ეტყობა, არც დაწოლილა.*

ალკმენე. ვინა ხარ? რატომ დამიფრთხე ძილი?

იუპიტერი უცნობი, რომელსაც სიამოვნებით გაიცნობ.

ალკმენე. უცნობებს არ ვცნობ.

იუპიტერი. ერთი სარდალი ვარ...

ალკმენე. ამ შუაღამეს სარდლები რად დაეხეტებიან? იქნებ დამარცხდნენ ან ბრძოლის ველიდან გამოიქცნენ?

იუპიტერი. ეს სარდალი სიყვარულმა დაამარცხა.

ალკმენე. თუ ბრძოლის ქარცეცხლს გამოექეცი, ახია შენზე. ვინა ხარ?

იუპიტერი. შენი მიჯნური.

ალკმენე. ალკმენეს მიმართავთ ბატონო, თუ მის პირისფარეშს. მე მიჯნური არა მყავს. რა გაცინებთ?

იუპიტერი. აბა, ფანჯარა ვინ გამოაღო, იმედით ღამეს ვინ ჩააშტერდა?

ალკმენე. მე ჩავაშტერდი და გეტყვი კიდეც როგორია: თბილი და მშვენიერი.

იუპიტერი. ამას წინად ნებიერად მიწოლილ სარდალს ყინულივით ცივი წყალი ვინ გადაასხა ოქროს სურით?

ალკმენე. წყალი ყინულივით ყოფილა! მით უკეთესი! ალბათ მე ვიყავი, აღარ მახსოვს.

იუპიტერი. ერთი კაცის სურათს ვინ უჩურჩულა: „სანამ შორსა ხარ, ნეტავ მეხსიერება დამეკარგოსო?“

ალკმენე. რაღაც ვერ ვიხსენებ. ისე....

იუპიტერი. ამ ნორჩი ვარსკვლავების შემყურე, ნუთუ ვერა გრძნობ, როგორ ცოცხლდება შენი სხეული, როგორ გეკუმშება გულ-

მკერდი? ნუთუ არ ფიქრობ იმ სულელ, უშნო მამაკაცზე, რომელიც გამოგიტყდები, მართლაც შორს არის?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ყველაზე ლამაზი და ჭკვიანია ის მამაკაცი. მას რომ ვიხსენებ, სულ ვითაფლები. ოქროს სურაც გამახსენდა. ამ მწუხრში სწორედ იმ მამაკაცს მოველოდი. ახლა რა გინდა ჩემგან?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ახლა მაინც გამოტყდი, რომ საყვარელი გყოლია. ჰოდა, ის ეხლა აქ არის.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მე მყავს ქმარი, ის კი შორსაა. ჩემი ქმრის მეტი ვერავინ შემოვა ამ ოთახში. ქმარსაც არ შემოვუშვებ თუ ჩემს საყვარლობას დაიჩემებს და ნამდვილ სახელს დამიმალავს.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ამ სიბნელეში ცაც დამალულია.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ვერ ყოფილხარ გამჭრიახი, ჩემო უცნობო, თუ გჯერა, რომ მზე შენიღბული დღეა, მთვარე—ყალბი მზე, ხოლო ცოლქმრული სიყვარული უბადრუკი სიამოვნების მომტანია და სხვა არაფერი.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ცოლქმრული სიყვარული, ჩემის აზრით, მოვალეობას უფრო წააგავს, მოვალეობა იძულებად აქცევს სიყვარულს, ხოლო იძულება ტკბობის პირველი მტერია.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. რა თქვი? რა სიტყვა ახსენე?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ტკბობა და სიამოვნება — ნახევარღმერთების სახელები.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ჩემს სავანეში მხოლოდ სრულ ღმერთებს ვცნობთ. ნახევარღმერთი ნახევრად ქალიშვილის და ნახევრადშეუღლებულების მფარველი უნდა იყოს.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ნუ მკრეხელობ, ღმერთები არ გაგირისხდნენ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მეტსაც გეტყვი. ბედნიერი ვარ, რომ ოლიმპოზე ცოლქმრული სიყვარულის ღმერთი არ არსებობს. მე ღმერთების რიგგარეშე ქმნილება ვარ. ჩემი სიყვარული მხოლოდ კრიალა ცას ემორჩილება. თუ მხოლოდ საყვარელი ხარ ჩემი, სამწუხაროა, მაგრამ გაგაგდებ, ისე ლამაზი და მიმზიდველი ხარ. შენი ხმაც მატკბობს, მაგრამ შენ თუ მხოლოდ სიამტკბილობას მოელი ჩემგან, ერთგულებას კი უარყოფ, წადი აქედან. არა და როგორ მინდა შენი ხელები ჩემს წელს შეეხოს! თუმცა, მგონი, ხელების ნაცვლად ნადავლს დახარბებული ორი ცოცხალი მახე გაქვს მიბმული... ქორფა და მხურვალე მეჩვენება შენი ტუჩებიც... არა, ნდობას მაინც არ იმსახურებ. საყვარელს კარს არ გავუღებ-მეთქი! ეხლა კი მითხარ, ვინა ხარ?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მაინც, რატომ არ გინდა, რომ საყვარელი გაიჩინო?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. იმიტომ, რომ საყვარელი სიყვარულს უფრო ეალერსება, ვიდრე საყვარელს, იმიტომ, რომ ჩემი სიხარული უსაზღვრო უნდა იყოს, სიამოვნება უზომო, თავდავიწყება კი შეუზღუდავი, იმიტომ, რომ არც მონა მინდა მყავდეს და არც ბატონი, იმიტომ, რომ ფართოდ გაღებული ფანჯრები და სუფთა თეთრეული მიყვარს. არა, ისე რა საკადრისია ქმრის ქმართანვე ღალატი?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ქალის კვალობაზე [illegible]რიანად ასაბუთებ ყველაფერს. მომილოცავს! ეხლა კი გააღე!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. თუ შენ ის არ ხარ, ვის გვერდითაც ყოველ დილით ვიღვიძებ და, ვისაც კიდევ ათიოდ წუთს ძილ-ბურანში ყოფნას ვანებებ; თუ შენ ის არ ხარ, ვისაც ჩემი მზერა მზესა და სუფთა წყალზე ადრე ხვდება სახეზე; თუ შენ ის არ ხარ, ვის ნაბიჯსაც კარგად ვიცნობ და ვხვდები, რას აკეთებს იმ წამს: იცმევს, ფიქრობს, თუ, დროს უქმად აცდენს; თუ შენ ის არ ხარ, ვისთანაც მე ვსაუზმობ ვსადილობ და ვვახშმობ, ვისი სუნთქვაც წამის მეასედით უსწრებს ჩემს სუნთქვას; თუ შენ ის არ ხარ, ვისაც ყოველდღამ ჩემი სიცოცხლისაგან მოპარული ათიოდე წუთით ადრე ვაძინებ და მერე ვიცდი, როდის აეკვრება მორფევსით გათანგული მისი სხეული ჩემს გრილ მკერდს;. თუ შენ ის არა ხარ, ვინც არ უნდა იყო, კარს არ გაგიღებ! ეხლა კი მითხარ, ვინა ხარ?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რა გაეწყობა, უნდა გადავწყვიტო! შენი მეუღლე ვარ!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. როგორ, ეს შენა ხარ, ამფიტრიონ? ძალიან წინდაუხედავად მოიქეც, ასე მოულოდნელად რომ დაბრუნდი.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ბანაკში არავის ეჭვი არ აულია.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. რა შუაშია ბანაკი? არასდროს გიფიქრია, რა მოელის ქმარს, რომელიც წასვლისთანავე უკან ბრუნდება?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ნუ ხუმრობ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. არ იცი, რომ სწორედ ამ დროს ყველა წესიერი ცოლი შიშითა და პატივით აცახცახებულ ოჯახის მეგობარს ეალერსება?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. შენი საწოლი ცარიელია და მთვარეზე უფრო გრილიც ჩანს.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. უბრალოდ, სანამ ვჭორაობდით, მე მას გაპარვის საშუალება მივეცი. ნახევრადშიშველი მირბის, ალბათ, თებეს შარაზე და თავდავიწყებით იწყევლება.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. გაუღე შენს ქმარს!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. შემოგიშვა მხოლოდ იმიტომ, რომ ქმარი ხარ ჩემი? საჩუქრები სადაა? სამკაულები?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. თავს სამკაულებისათვის მიჰყიდი ვინმეს?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ჩემს ქმარს? სიამოვნებით, სამწუხაროდ არაფერი გაქვს.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ვატყობ, აქედან უნდა წავიდე.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. დარჩი, დარჩი! მხოლოდ ერთი პირობით.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რა გინდა?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მოდი, ამაღამ გავიმეოროთ ის ფიცი, აქამდე რომ დღისით ვამბობდით. რახანია ველოდი ასეთ შემთხვევას. თანაც არ მინდა, რომ ღამის ცოცხალმა შემოქმედებამ — ვარსკვლავებმა, ზეფირმა, ღამის ფარვანამ — გაი

ეროვნული

ფიქროს, რომ საყვარელს ვმასპინძლობ. ფიზეიმოთ ჩვენი ღამის ქორწინება იმ დროს, როცა ამდენი უკანონო კავშირი ჩნდება.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ღამის წყვდიადში, უქურუმოდ, საკურთხევლის გარეშე რა საჭიროა ფიცის დადება?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. უბრალო მინაზეც შეიძლება წარუშლელი ფიცი ავგო. ასწი ხელი!

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რომ იცოდე, რა უბადრუკი მოჩანს ოლიმპოდან ადამიანი, მაღალფარდოვანი სიტყვებით ფიცს რომ ლუღლუღებს. შენი ფიცი ერთი ჩუმი გაელვებაა.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ისიც იკმარებს. ასწი ხელი! მოხარე საჩვენებელი თითი!

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. საჩვენებელი მოვხარო? ეს ხომ ყველაზე საშინელი ფიცია. ამ ფიცით თვით იუპიტერი სარგებლობს და დედამიწას უბედურებას უგზავნის ხოლმე.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მოხარე საჩვენებელი, ან წადი აქედან!

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რას მიშვება ეს დედაკაცი? კარგი გნებდები. (ხელს მაღლა სწევს, თან ჩუმად ამბობს) ო, ციურნო ძალნო! წარღვნავ და კირჩხიბო, შავო ჭირო და კუტკალია გაშქრით, გამშორდით. პატარა, გიჟი ალკმენე მაიძულებს ფიცის დადებას.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. აბა, გისმენ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მე, ამფიტრიონი, აწ განსვენებულ სარდალთა ძე და შთამომავალი, მომავალ თაობათა მამა და დიდპაპა, ომისა და დიდების თავმდაბალი მსახური...

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მე, ალკმენე, აწ განსვენებულ მშობელთა ასული და ჯერ უშობელ ყრმათა მშობელი, კაცობრიობის მძლავრი ჭაჭვიდან გარდმოხსნილი უმნიშვნელო ყულფი პატარა...

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ვფიცავ, რომ ჩემი ალკმენეს ნაზი სახელი ნეტარ იქნება მანამ, სანამ გრგვინავს ჩემი ძალა, ჩემი არსება.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ვფიცავ ჩემი ქმრის ერთგული ვიყო, ან მივიცვალო.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რაო, ან რაო?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მივიცვალო, მოვკვდე.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რად უხმობ სიკვდილს? რა უნდა აქ სიკვდილს? რად წარმოთქვამ ამ სიტყვას? ამოირჩიე რომელიმე კეთილხმოვანი სინონიმი და... ნუ ახსენებ სიკვდილს ასე პირდაპირ, ასე ხმამაღლა.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. უკვე ვახსენე! ეხლა კი, ჩემო კარგო, კმარა სიტყვები! ცერემონია დამთავრებულია და ამოსვლის ნებას გაძლევ. ისე უცნაურად კი მოიქეც დღეს! მე გელოდი, კარიც საგანგებოდ ღია დავტოვე. ერთი ხელის კვრა და შემოხვიდოდი. რა მოხდა, რატომ ყოყმანობ? იქნებ გინდა საყვარელი გეწოდო? არასდროს-მეთქი!

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მართლა შეგოვიდე, ჩემო ალკმენე? შენ გინდა რომ შემოვიდე?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. გიბრძანებ კიდეც, ჩემო სიყვარულო!

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲡᲪᲔᲜᲐ I

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის წყვდიადი. კმაყოფილი მერკური ავანსცენაზეა მხარ-თეძოზე წამოწოლილი.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. მაშ, ასე! ალკმენეს კართან რაზანია დარაჯად ვდგავარ. რა არ მოვისმინე — სამოთხისეული სიჩუმე, მორიდებული გაძალიანება, სუსტი გაბრძოლება. და, აღსრულდა კიდეც! ალკმენე პაწაწინა ნახევარღმერთს ატარებს თავის სხეულში... ერთი იუპიტერს დაიხედეთ, როგორ შეაგვიანდა! არც ერთ საყვარელთან არ დაყოვნებულა ამდენხანს! თქვენი არ ვიცი, მე კი მომბეზრდა სასახლის ირგვლივ ღამის ასე უსასრულოდ გაჭიმვა, თანაც ზაფხულში, როცა დილის შვიდ საათზე მთელი სამყარო მზის კაშკაშა სხივებში ნებივრობს. ციდან ნიაღვარივით მოედინება თვალისმომჭრელი შუქი და ათასფრად აციალებს მოკამკამე ზღვას და უკუნეთ უფსკრულს. ალიონით შევარდისფერებულ ქალაქში მხოლოდ ამფიტრიონის სასახლეა ავი სულივით ჩაშავებული, დროა იუპიტერი გავაღვიძო! ჩემს ბატონს სატრფიალო საბან-გობანი ნაჩქარევად არასდროს გადაუხდია! დღეს კი მით უმეტეს! აი, ნახეთ, გაღვიძებისთანავე, ალკმენეს სახოტბო სიტყვით მიმართავს და იქვე თავის ვინაობასაც გაუმხელს. თანაც ბავშვივით იზეიმებს მის გაოცებას და კეთილშობილ, ამპარტავან მედიდურობას. ისე, ვინ მოთვლის რამდენი გულის ვარდი განუცვიფრებია იუპიტერს მსგავსი სიურპრიზით. მეც, ჩემდა თავად, ამფიტრიონის დილაადრიან სასახლეში დაბრუნება შთავაგონე, ამ საქმისათვის ვერსად ვიშოვით უკეთეს მოწმეს და თავდებს. მე მგონი აზრიანად მოვიქეცი! მოტყუებული ქმრის მიმართ აუცილებელი თავაზიანობა გამოვიჩინე, თანაც მისი დროული ჩამოსვლა, უაზრო მითქმა-მოთქმას მოუღებს ბოლოს, ისე რომ ყველაფერი რიგზეა! წამიც და ჩვენი სარდალი თავის ბედაურს მოახტება და, თუ კარგი თოხარიკით ივლის, ერთ საათში აქ გვეახლება.

აბა, მზეო მესროლე შენი სხივები! ერთერთს ავარჩევ და ამ კუნაპეტს სულ ერთიანად ავაგიზგიზებ.

(მზე სათითაოდ ისვრის ნაირფერ სხივებს).

არა, ეს არ მინდა! მწვანე ფერი ახლადშეღვიძებულ საყვარლებს კანს გაულურჯებს. ერთმანეთისა შეეშინდებათ! იფიქრებენ წყალში დამხრჩვალ ცხედარს ვეფერებითო... არა, იისფერი და მეწამურიც არ მომწონს! ჩვენს დალოცვილ მიჯნურებს ვნებათა ღელვას აუშლის და ისევ სიყვარულის მორევში გადაუძახებს. ეს ფერები საღამოსთვის შემოვინახოთ. აი... ეს კი კარგია! მშვენიერია ზაფრანისფერი. ეხლა სილრმე მიეც! მეტი ზაფრანი, მეტი! კარგია!

ოო, ეს ფერი ფერობს, მხოლოდ მაშინ როცა ადამიანის სახებუნების ხარვეზები გინდა წარმოაჩინო. ყოჩაღ, მზეო! იქმნას ნათელი!!

## სცენა II

(ალკმენე უკვე ამდგარია იუპიტერს საწოლში ძინავს.)

ალკმენე. ადექი, ძვირფასო! მზე ამოვიდა.

იუპიტერი. სადა ვარ?

ალკმენე. იქ სადაც ქმრებს არც თუ ძალიან სიამოვნებთ გამოღვიძება. შენს სასახლეში, შენს საწოლში, შენს მეუღლესთან.

იუპიტერი. მისი სახელი?

ალკმენე. შენი მეუღლე დღეც და ღამეც ერთ სახელზე პასუხობს. ალკმენე ჰქვია.

იუპიტერი. ალკმენე? მაღალი, სიმსუქნისკენ მიდრეკილი, ქერა ქალი? სიყვარულის დროს რომ ჩუმდება ხოლმე?

ალკმენე. დიახ! და უთენია რომ ლაქლაქებს, ეხლა გაგდებას რომ გიპირებს, თუმც კი სანატრელი ქმარი ხარ მისი.

იუპიტერი. გაჩუმდეს, ჩემთან მოვიდეს და მომეფეროს.

ალკმენე. არც იფიქრო! სიმსუქნისკენ მიდრეკილი ქალები სიზმარივით ლამლამობით მოდიან ხოლმე საალერსოდ.

იუპიტერი. თვალები დახუჭე. დროებითი სიბნელე გამოვიყენოთ.

ალკმენე. სიბნელე და ღამე ერთი და იგივე არ არის. ადექი, თორემ ვინმეს დავუძახებ.

(იუპიტერი წამოდგება, ფანჯრიდან ბუნებას აკვირდება).

იუპიტერი. ღვთაებრივი ღამე იყო!

ალკმენე. ეპითეტიში მოისუსტებ, ჩემო ძვირფასო!

იუპიტერი. კი მაგრამ, მე ვთქვი „ღვთაებრივი?"

ალკმენე. შეგიძლია თქვა: „ღვთაებრივი ვახშამი", „ღვთაებრივი ტაფამწვარი" — ყოველთვის ახალ-ახალ საქებარ სიტყვას ხომ ვერ მოუგონებ ჩემს ნაზელავს, მაგრამ ჩვენს ღამეს რაღაც უფრო დახვეწილი შეეფერება.

იუპიტერი. უფრო დახვეწილი რა მოვიფიქრო?

ალკმენე. რაც გინდა ამ გაცვეთილი სიტყვის გარდა. თქვი შესანიშნავი, მიმზიდველი, საამური, მშვენიერი, სასიამოვნო.... ღმერთო, რამდენი რამის გადმოცემა შეუძლია ორ მარტივ სიტყვას „რა სასიამოვნო ღამეა".

იუპიტერი. მაშ, ჩვენს ღამეთა შორის ყველაზე სასიამოვნო ღამე იყო, არა?

ალკმენე. აი, ეს კი საკითხავია.

იუპიტერი. როგორ, თუ საკითხავი?

ალკმენე. დაგავიწყდა, ძვირფასო, ჩვენი ქორწინების ღამე? გახსოვს, რა მორჩილ და უსუსურ ტვირთად მოგეჩვენა შენს ძლიერ ხელებში მომწყვდეული ჩემი სხეული? გახსოვს, რა თანაბრად აგვიტოკდა გული, ჩვენი პირველი ღამის მწუხრი რომ ჩამოწვა და ჩვენს სხეულებს ერთობ სარეცელს გადაეფარა? ეს იყო ჩვენი უმშვენიერესი ღამე.

იუპიტერი. უმშვენიერესი იყო... გულახდილად, მაგრამ ყველაზე სასიამოვნო მაინც დღევანდელი მომეჩვენა.

ალკმენე. დარწმუნებული ხარ? აბა იმ ღამეს რაღას უწოდებ თებეში რომ ხანძარი მძვინვარებდა? ამომავალი მზის სხივებით განათებული დაბრუნდი გამთენიისას და ახლადგამომცხვარი პურივით თბილი და ხრუკუნა შემომიწექი ლოგინში, ის იყო ჩვენი ყველაზე სასიამოვნო ღამე, მხოლოდ ის!

იუპიტერი მაშ, დამეთანხმე, რომ ეს ღამე — საოცარი იყო.

ალკმენე. აბა რა ვიცი? გუშინწინდელ ღამეზე რა ვთქვა? გახსოვს, ბავშვი რომ გამოსტაცე ზღვის ტალღებს? წყალმცენარეებით შემკული და მთვარის შუქით განათებული დაბრუნდი შუაღამისას. მარილიანი წყლის წვეთები ისე გიციმციმებდა შიშველ სხეულზე, როგორც ზღვის ღვთაებას. შფოთიან ძილ-ბურანს მინებებული, მთელი ღამე ისე მეხვეოდი და მიკრავდი გულში, თითქოს იმ ბავშვივით მეც ვიღუპებოდი აზვირთებულ წყალში. აი, ის იყო სასწაული! აი, ის ღამე იყო გასაოცარი! არა, ჩემო კარგო, გუშინდელ ღამეს მე მოვნათლავდი, როგორც ცოლქმრულს! წუხელ ყველაფერი ისე უჩვეულოდ საიმედო და საფუძვლიანი მომეჩვენა, რომ გავმხიარულდი კიდეც. ეჭვიც არ შემპარვია, რომ დილით მოფერიანებული, დასვენებული და მოშიებული გაიღვიძებდი. ის ღვთაებრივი ხევდაც კი არ შემომაწვა, ასე მძაფრად რომ განვიცდი ხოლმე, როცა ერთად ვართ და ვფიქრობ, რომ თვით სიყვარულის ყოველი წამი სიკვდილს გვიახლოვებს.

იუპიტერი. თურმე ქალებიც ხმარობთ სიტყვას „ღვთაებრივი?"

ალკმენე. ძალიან ხშირად, მაგრამ ისეთ სიტყვებთან, როგორიცაა ხევდა, კაეშანი, დარდი, ნაღველი.

იუპიტერი (მცირე პაუზის შემდეგ). რა მშვენიერი ოთახია!

ალკმენე. ნეტავ, რატომ შეაფასე ჩვენი ოთახი მაინცა და მაინც დღეს, როცა ქურდივით შემოიპარე?

იუპიტერი რა ჭკვიანი და გამჭრიახია ადამიანი! მოიგონა სარკმელი, შიგ გამჭვირვალე მინერალი ჩასვა და ამ საკმაოდ ცუდად განათებულ პლანეტაზე, სახლში უფრო მეტი ნათელი შემოიყვანა, ვიდრე გალაქტიკის სხვა რომელიმე კუთხე-კუნჭულში.

ალკმენე. თავმდაბლობას ნამდვილად ვერ დაგაბრალებ, ჩემო კარგო! რას იქებ თავს! შენი საკუთარი გამოგონება მაინც არ იყოს!

იუპიტერი. და რა მშვენიერი ხედია!

ალკმენე. აი, ბუნება შენ არ გეკუთვნის. აქე და აქიქე რამდენიც გინდა.

იუპიტერი. მაშ ვის ეკუთვნის?



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალკმენე. ღმერთთა ღმერთს.

იუპიტერი.. სახელს ხომ არ მეტყვი?

ალკმენე. იუპიტერი.

იუპიტერი. რა საყვარლად წარმოთქვამ ღმერთთა სახელებს! ვინ გასწავლა ტუჩების ასე გემრიელად აცმაცუნება, თითქოს ამბროზიას მიირთმევო? პატარა ბეკეკას მაგონებ, თავაწეული ტირიფნარს რომ წიწკნის. ისე, შენს ბაგეში მოქცეული ტირიფნარიც კი დალოცვილი და კეთილსურნელოვანი უნდა იყოს. აბა, გაიმეორე! გამიგია, თითქოს ასე ტკბილად გამოძახებული ღმერთები სტუმრობაზე უარს არ ამბობენო! კიდევ გაიმეორე!

ალკმენე. ნეპტუნი, აპოლონი!

იუპიტერი. არა, არა, პირველი სახელი გაიმეორე!

ალკმენე. თუ ბეკეკა ვარ, ნება მომეცი მთელი ოლიმპოს ღმერთები მივირთვა ტირიფნარივით. თუმცა ღმერთების წყვილად ჩამოთვლა მირჩევნია: მარსი და ვენერა, იუპიტერი და იუნონა. თითქოს ვხედავ, როგორ მობრძანდებიან ხელიხელჩაკიდებულნი. საზეიმო სვლით. რა დიდებული სანახაობა იქნება!

იუპიტერი. სასეირო უფროა! ესე იგი, შენ მოგწონს იუპიტერის ნაღვაწი — ეს მთები, ბორცვები?

ალკმენე. ძალიან! მაგრამ განა მან განგებ შექმნა ეს ყველაფერი?

იუპიტერი. რა თქმა უნდა!

ალკმენე. შენ, ჩემო ძვირფასო, ყველაფერს შეგნებულად აკეთებ, მაშინაც კი, როცა ალუბალს აჭვარებ ქლიავს, ან ორპირიან სატევარს იგონებ. მაგრამ, ნუთუ გჯერა, რომ იუპიტერმა სამყაროს შექმნის პირველსავე დღეს იცოდა, რას გააკეთებდა?

იუპიტერი. ამბობენ, იცოდაო.

ალკმენე. რაღაც არ მჯერა! მან შექმნა დედამიწა, ამაში გეთანხმები, მაგრამ მიწიერი სილამაზე, მშვენიერება ხომ თავისთავად, ყოველ წუთს, ყოველ წამს იქმნება და იცვლება. ყველაზე დიდი სასწაული სწორედ ისაა, რომ მშვენიერება ცოცხალი და წარმავალია. იუპიტერი იმდენად სერიოზული, ჭკუადამჯდარი ღმერთია, რომ ეფემერულის შექმნას არც ისურვებდა და ვერც მოიფიქრებდა.

იუპიტერი. სამყაროს შექმნის სურათი საკმაოდ ბუნდოვნად გქონია წარმოდგენილი.

ალკმენე. ისევე ბუნდოვნად, როგორც მისი აღსასრული. ორივესგან თანაბარი მანძილი მაშორებს. ნათელმხილველობით არ გამოვირჩევი. შენ როგორ წარმოგიდგენია სამყაროს შექმნა, ძვირფასო?

იუპიტერი. დღესავით მახსოვს. დასაბამს იყო ქაოსი... მხოლოდ იუპიტერი თუ მოიფიქრებდა პირველქმნილი ქაოსის ოთხ სტიქიად დაყოფის გენიალურ გეგმას.

ალკმენე. მხოლოდ ოთხი სტიქია გვაქვს

იუპიტერი. დიახ, ოთხია! ოთხი!! და პირველი მათგანი წყალია. დამიჯერე, არც ისე ადვილი იყო წყლის შექმნა. ერთის შეხედვით, რა მარტივი, რა ბუნებრივი რამ არის წყალი, მაგრამ წყლის შექმნა, თვითონ წყლის იდეის წარმოდგენა ძალიან გაჭირდა.

ალკმენე. იმ დროს, ნეტავ რა ცრემლებს ღვრიდნენ ქალღმერთები ოლიმპოს მთაზე? ბრინჯაოს ცრემლებს?

იუპიტერი. ხელს ნუ მიშლი! მე მსურს შთაგაგონო ვინ არის იუპიტერი! ის ხომ მოულოდნელად შეიძლება გამოგეცხადოს. იქნებ გირჩევნია, რომ ყველაფერი მთელი სიდიადით თვითონ აგიხსნას?

ალკმენე. იუპიტერს ალბათ არა ერთხელ მოუყოლია ეს ამბები. შენი ინტერპრეტაციის მოსმენა მირჩევნია.

იუპიტერი. სად გავჩერდი?

ალკმენე. თითქმის დავამთავრეთ. უკვე პირველქმნილ ქაოსს შევეხეთ...

იუპიტერი. ჰო! ესე იგი იუპიტერს აზრად მოუვიდა მკვრივი და არაკუმშვადი სუბსტანციის შექმნის იდეა. სწორედ ეს სუბსტანცია შეავსებდა სიცარიელეს და ამ ცუდად ფიქსირებული პლანეტის უსასრულო ძაგძაგს შეამცირებდა.

ალკმენე. ზღვის ქაფის შექმნის იდეაც მასვე ეკუთვნის?

იუპიტერი. არა! მაგრამ ჰქმნა რა წყალი, იუპიტერმა უსწორმასწოროდ დაჩეხილი ნაპირის მოხაზვა მოისაზრა, რათა ქარიშხალი და წყალდიდობა გამოეწვია. იმისთვის კი, რომ მოკამკამე წყლის ერთფეროვან ზედაპირს მისი ღვთიური მზერა არ დაეღალა, მან აქა-იქ მიმოაბნია ქვისგან თუ მიწისგან ნაძერწი კონტინენტები. ამგვარად იშვა დედამიწა და მისი სამკაულ-მშვენებანი.

ალკმენე. კი მაგრამ ფიჭვნარი?

იუპიტერი. ფიჭვნარი?

ალკმენე. დიახ, ფიჭვნარი. ზღვისპირა ფიჭვი, კედარის ფიჭვი, კვიპაროსი, ნაძვი, პალმის ხეები — მთელი ეს ცისფერ-მწვანე ცოცხალი მასა, რომლის გარეშეც პეიზაჟი ულიმღამო იქნებოდა. და... და კიდევ ექო?

იუპიტერი. ექო?

ალკმენე. ექოსავით მეპასუხები. ჰო, მართლა, ფერებიც იუპიტერმა შექმნა?

იუპიტერი ცისარტყელას შვიდივე ფერი მისი ნახელავია.

ალკმენე. მე ჩემს საყვარელ ფერებს ვგულისხმობ: მოწითალო-ყავისფერს, აი, იმას, დღეს რომ ტერაკოტს უწოდებენ, ან მოალისფრო-მეწამულს, ან ფირუზისფერს.

იუპიტერი. ეს წვრილმანები მან მხატვრებს მიანდო. მოკლედ, გამოიყენა რა ეთერის ნაწილაკების არითმიული რხევადობის უნარი, გამოიყენა რა ტალღა, რომელიც წყვილად შეჯერებული მოლეკულების მეშვეობით წარმოიშვება და პირველადი რეფრაქციის შედეგად ქმნის კონტრრეფრაქციას, იუპიტერმა ბგერათა



ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხივთა კოსმიურ-უნივერსალური სისტემა შექმნა. ეს სისტემა, ხმაურად და ფერად გარდასახული, ზემოქმედებს ან არა, რაც მისთვის პრინციპში სულ ერთია, ადამიანთა გრძნობის ორგანოებზე.

ალკმენე. მეც ამას არ ვამტკიცებ?!

იუპიტერი. რას ამტკიცებ?

ალკმენე. იმას, რომ იუპიტერს სახარგებლო არაფერი გაუკეთებია. მან ამოგვქოლა შიშითა და ილუზიებით სავსე უშაერო სივრცეში, სადაც ჩვენ, მე და ჩემი ქმარი, მაგალითად, თვითონ ვიკვლევთ გზა-კვალს.

იუპიტერი. ნუ სცოდავ, ალკმენე! ღმერთებს ყველაფერი ესმით!

ალკმენე. კოსმიური აკუსტიკა იმდენად გადატვირთულია კონტრრეფრაქციით, როგორც პირველადი რეფრაქციის შედეგით, რომ ვერაფერსაც ვერ გაიგებენ. თანაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ალალმართალ ლაქლაქს, ჩემივე გულისცემა დაახშობს. არა, მაინც რას უნდა მერჩოდნენ ღმერთები? რას დამაბრალებენ? იმას, რომ იუპიტერს არ ვადიდებ? რატომ უნდა ვადიდო? მხოლოდ იმიტომ, რომ ოთხი სტიქია შექმნა ნაცვლად სულ მცირე ოცისა, რომელიც ჩვენ გვჭირდება! განა მარადისობის განმავლობაში მეტის გაკეთებას ვერ მოასწრებდა? თუ არ შეეძლო? ან იქნებ არც უნდოდა? სამაგიეროდ მთელი არსებით მადლიერი ვარ ჩემი ქმრის, ამფიტრიონის, რომელმაც მოიცალა და უსასრულო ომების მიუხედავად ხილნარის ერთმანეთზე დამყნობის ახალი სისტემა შეიმუშავა და ფანჯრის ახალმოდური საკეტებიც გამოიგონა. შენ მისაჩუქრე ალუბლის უჩვეულო გემო და დღის სინათლის სურვილისამებრ შეცვლის უნარი. ამიტომ, ჩემთვის შენა ხარ სასწაულების და მთელი სამყაროს შემქმნელიც. რაო, რად მიმზერ ასე დაჟინებით? ვიცი, ქათინაურები არ გიყვარს. შენ მხოლოდ ჩემი წარმატება გეამაყება. მაინც რა მოგივიდა? იქნებ ზედმეტად მიწიერი გეჩვენები?

იუპიტერი (წამოდგება, საზეიმო ტონით). გინდა ნაკლებ მიწიერი იყო, ჩემო ალკმენე?

ალკმენე. ო, არა! შენგან შორს წასვლა არ მინდა.

იუპიტერი. არასდროს გინატრია ქალღმერთი იყო?

ალკმენე. რა თქმა უნდა, არა! რატომ უნდა მენატრა?

იუპიტერი. რომ თაყვანი გცენ და გადიდონ.

ალკმენე. თაყვანს მცემენ და მადიდებენ კიდეც, როგორც უბრალო მოკვდავს. მე მგონი, ეს უფრო დიდი დამსახურებაა.

იუპიტერი. მაშ, იმისთვის, რომ სხეული ქალღმერთივით შეგიმსუბუქდეს და ღრუბლებსა თუ წყალზე იქროლო.

ალკმენე. ნებისმიერი ქალის ხვედრია უწონადობა, თუ ქმარი მას კარგად აწონასწორებს.

იუპიტერი. ნუთუ არ გინდა მოვლენათა არსი გაიგო და სხვა სამყაროთა ცხოვრება იხილო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალკმენე. მეზობლების საქმეებში ცხვირის ჩაყოფა არ მიყვარს.

იუპიტერი. მაშ, რომ უკვდავვყო შენი თავი!

ალკმენე. უკვდავვყო? რისთვის? რა გავაკეთო თუ არ მოვკვდები?

იუპიტერი. ვარსკვლავად გადაქცეული უსასრულოდ იარსებებ და თვით წარღვნამდე იციმციმებ ცის კამარაზე.

ალკმენე. წარღვნა მალე დადგება?

იუპიტერი. არასდროს.

ალკმენე. ო, რა უსასრულო ღამე მომელის შენ, შენ რაღას იზამ?

იუპიტერი. მე უჩუმარ ლანდად ვიქცევი და შავნისლიან ჯოჯოხეთში გადავეშვები სვებედნიერი რწმენით, რომ ჩემი ცოლი, იქ, მაღლა ცაში ანათებს მარად.

ალკმენე. დღევანდლამდე თანაბრად გაყოფილი სიამოვნება გვიყვარდა ორივეს, განცხრომასაც ჩემს მახლობლად ჰპოვებდი ხოლმე. არა, ძვირფასო, ღმერთებს ასეთ სამსახურს ვერ გავუწევ და ზედმეტ ვარსკვლავად ვერ გადავიქცევი, თანაც ქერათმიანებს ვნებთ ღამის ჰაერი, რად გინდა მომისაჯო სამარადისო ჰქნობა და უსასრულო დაბერება?

იუპიტერი. აბა სამარე გაგაცივებს, გაგაშეშებს და მტვრად გაქცევს.

ალკმენე. ვერ შემაშინებ! სიკვდილი სიცოცხლის ბუნებრივი დასასრულია. და, რადგან შენმა იუპიტერმა — სამართლიანად თუ უსამართლოდ — ის დედამიწას უსაჩუქრა, მეც საერთო ბედს უნდა დავემორჩილო. როგორ უარვყო სიკვდილი, თუ მთელი ჩემი არსებით — ადამიანებს, ყვავილებს, — ყოველივე სულიერს ვერწყმი და ვუკავშირდები. არც შემომთავაზო უკვდავება მანამ, სანამ დედამიწაზე თუნდაც ერთ მარადცოცხალ მცენარეს არ დავიგულებ. უკვდავება სიცოცხლის ღალატად მიმაჩნია. როგორც კი გავიფიქრებ, რომ სიკვდილი განზრახულ ყოველდღიურ წვრილმანებს თავიდან მომაშორებს და უსასრულო სამყუდროვეს მისაჩუქრებს, ვლოცავ და ვადიდებ მის უანგარო ბარაქას. იცი რა მძიმეა სამოცი წლის მანძილზე ურიგოდ შეკერილი ტანსაცმლის ან უგემურად შეკაზმული კერძის გამო ნერვების აშლა? დიდებული სიკვდილი, სიცოცხლის დასასრულს გვევლინება, როგორც ნეტარი შვება და გულუხვი საზღაური... რა მოხდა, რად შემომხედე პატივისცემით?

იუპიტერი. შენ ერთადერთი სრულყოფილი ადამიანი ხარ, სხვებს არა ჰგავხარ.

ალკმენე. დიახ ასეა, სხვებს არ ვგავარ. ნაცნობებს შორის მხოლოდ მე ვაფასებ და ვემორჩილები ჩემს ბედ-იღბალს. ნებისმიერი ცხოვრებისეული მოვლენა, დაბადება იქნება ეს თუ სიკვდილი, ყოველდღიური წვრილმანი, თუ აუცილებელი საოჯახო საქმე, ჩემთვის ნაცნობი და სასურველია. მე საღად ვაზროვნებ

და არასდროს ვნატრულობ იმას, რაც მიუწვდომელია. მე მჯერა, რომ ის ერთადერთი ქალი ვარ დედამიწაზე, რომელიც ყოფიერების ყველა ნიუანსს აღიქვამს და ზუსტად აფასებს, იქნება ეს უცხო ხილის გემო, თუ უმარტივესი ობობას ქცევა. მე ის ერთადერთი ქალი ვარ, სიხარულს სიხარულითვე რომ უპასუხებს, ხოლო უბედურებას ალალად თანაუგრძნობს. ასევეა მოწყობილი ჩემი გონება, რომელსაც ქარაფშუტობას ვერ დავაბრალებ. კარგი ღვინო, სიყვარულის სიამტკბილობა ან საინტერესო მოგზაურობა ისე არ დამიბნელებს აზრს და გონებას, რომ ხაზღაურად უკვდავება მოვთხოვო ღმერთებს.

იუპიტერი. ნუთუ არ გინდა, რომ შვილი მაინც გყავდეს უკვდავი?

ალკმენე. ალბათ მინდა. განა ადამიანური სურვილი არ არის შვილისთვის უკვდავება ინატრო.

იუპიტერი. ნუთუ არ გინდა გეყოლოს ვაჟი, რომელიც გმირთა გმირი იქნება და ჯერ კიდევ ბალღი ლომებსა და ურჩხულებს შეებრძოლება.

ალკმენე. ბალღობაში ჩემი შვილი კუსთან და პაწია ლეკვებთან ითამაშებს.

იუპიტერი. შენი შვილი აკვანშივე მოკლავს მის დასახრჩობად მოგზავნილ გველებს.

ალკმენე. შვილს მარტო არასდროს დავტოვებ! ეს ხათაბალა მზარეულის შვილს თუ დაემართება! არა, მე მინდა ხუსტი და მტირალა ბიჭუნა მყავდეს. ისეთი, რომელსაც ბუზის გაფრენისაც კი შეეშინდება. რა მოგივიდა, რამ გაგანერვიულა ასე?

იუპიტერი. კმარა ხუმრობა, ალკმენე! ერთი მითხარი, ქმარს თუ უღალატებ მართლა მოიკლავ თავს?

ალკმენე. რა ცუდად მიცნობ!

იუპიტერი. თავის მოკვლა დიდი ცოდვაა!

ალკმენე. ჩემთვის ძალიან მარტივია. გარწმუნებ, ჩემო მეუღლევ, რომ თვითმკვლელობაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. ვინ იცის? სიკვდილი იქნებ ამ ოთახში, ამავე საღამოს მიწერია. ეს იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, ომის ქალღმერთი დაგღუპავს, ან სხვა რამე ფათერაკს გადაეყრები. ჩემი აღსასრულის ჟამს იმგვარად გავალამაზებ, რომ დამსწრეთ კოშმარის ნაცვლად უშფოთველი სინანულის გრძნობა დაეუფლებათ. ცხედარსაც შეუძლია მოხდენილად გადააჯვაროს ხელები და ისე გაიღიმოს, რომ არც შეაწუხოს არავინ და არც დაადარდიანოს.

იუპიტერი. თავს თუ მოიკლავ, ჯერ არშობილ, ნახევრადცოცხალ პირმშოსაც მოუსწრაფებ სიცოცხლეს.

ალკმენე. ნახევრადცოცხალი სანახევროდ გარდაიცვლება. სანახევრო სიკვდილით მოგებულიც დამრჩება შვილი.

იუპიტერი. შენ ისე მარტივად და უშფოთველად მსჯელობ, ეტყობა არც გიფიქრია ამ საკითხზე

ალკმენე. როგორ თუ არ მიფიქრია? შენ თუ იცი, რას ფიქრობენ ახალგაზრდა, [illegible]რი და როგორც შენ ამბობ სიმსუქნისკენ მიდრეკილი ქალები შუა ღხინსა და დროსტარებაში? ისინი ღმერთს ევედრებიან: თუ სიყვარული არ გამიმართლებს, ან თუ მას ვინმე შეურაცხყოფს, მომკალ უჩუმრად, ზედმეტი ხმაურისა და ცრემლის გარეშე.

იუპიტერი. (წარმოდგება და მედიდურად). ყურად იღეთ ჩემი სიტყვები, ძვირფასო ალკმენე. თქვენ ღვთისმოსავი ქალი ბრძანდებით და ვგონებ, ამა ქვეყნის საიდუმლოს ღრმად გაიაზრებთ. საჭიროება მოითხოვს გამცნოთ, რომ...

ალკმენე. ო, არა ამფიტრიონ ძვირფასო! თქვენობით ნუ მომმართავ. კარგად ვიცი, რომ ეს მაღალფარდოვანი „თქვენ" შენი ჩემდამი საგულდაგულო სინაზის ნიშანია. ამაღლებული ტონი მაკრთობს და მაბნევს. ამიტომ ძალიან გთხოვ, ისევ შენობით მომმართე, ან ამ უჩვეულო სინაზის გამომხატველი, რამე ახალი, უფრო ინტიმური ნაცვალსახელი გამოიგონე, შენებურად.

იუპიტერი. ხუმრობა კმარა, ალკმენე! მე თქვენ მოგმართავთ ღმერთთა სახელით.

ალკმენე. ღმერთთა სახელით?!

იუპიტერი. მინდა ნათელვყო ღმერთებისა და ადამიანთა ურთიერთობა, მინდა განვმარტო ღმერთების ხელშეუვალი ძალა და ზეგავლენა.

ალკმენე. სულ მთლად გაგიჟდი?! რა მოსატანია ღმერთები დილის ამ ძვირფას წამებში, როცა მზემოკიდებული მოკვდავნი ყოველდღიური საქმიანობით გართულან. ერთი გახედე, ზოგი ბადეს ისვრის ზღვაში, ზოგი გუთნისდედას ღიღინებს, შენ ჯარი გელოდება. თუ არ იჩქარე, მტერს უზმოზე ველარ ჩაუსწრებ. არა და იცი, რა ძნელია მაძღარი მოწინააღმდეგის დამარცხება. წადი, ძვირფასო, დროზე წადი! წადი, რომ მალე დაბრუნდე. მეც საოჯახო საქმე მომელის. აბა, ჩემს მეტი ვინ ჩამოუვლის, სარდალივით, ჩვენს სასახლეს? თუ თქვენ, ჩემო ბატონო წაბრძანება ალარ ინებებთ, მეც მოვძებნი ამაღლებულ სიტყვებს, მაგრამ ღმერთებზე კი არ გაგიბავთ ბრტყელ-ბრტყელ საუბარს, არამედ ჩემს მოსამსახურეებზე. პატივი მაქვს მოგახსენოთ... საჭიროება მოითხოვს გამცნოთ, რომ მსახური ქალი, ნენეცია მხურს დავითხოვო, გარდა იმისა, რომ ნენეციას მოზაიკის მხოლოდ შავი ფილების წმენდა აუჩემებია, ის მინდობია, როგორც თქვენ ბრძანეთ, ღმერთების ნებას და დაორსულებულა.

იუპიტერი. ალკმენე, ძვირფასო ალკმენე! ღმერთები ცხადდებიან მაშინ, როცა მათ არ ელოდები.

ალკმენე. ამფიტრიონ, ძვირფასო ამფიტ-

როს! ცოლები კი ქრებიან მაშინ, როცა ქმრებს ისინი საიმედოთ უჭირავთ ხელში.

იუპიტერი. საშინელი იქნება ღმერთების რისხვა. ისინი მოკვდავის დაცინვას და მბრძანებლობას ვერ აიტანენ.

ალკმენე. სამაგიეროდ შენ იტან ყველაფერს, ჩემო კარგო, და ამიტომაც მიყვარხარ. დღეს კი შორიდან გამოგზავნილ ამბორსაც აიტან... საღამომდე. ნახვამდის.

## სცენა III

შემოდის მერკური

მერკური. რა მოხდა იუპიტერ? დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ოთახიდან ჩვეული დიდებით გამობრძანდებოდით. ამის მაგიერ, მოურიდებელი ჰკუისწავლებით გამოცუნცრუკდა მხიარული ალკმენე და მოჩვენებასავით გაქრა.

იუპიტერი. არც ისე იოლი ყოფილა ალკმენეს დაშინება.

მერკური. რას მოასწავებს ეს ვერტიკალური ღარი, წარბებს შორის რომ გაგჩენიათ? რისხვას თუ კაცობრიობისათვის მომზადებულ წყევლა-მუქარას?

იუპიტერი. რა ღარი? ჩვეულებრივი ნაოჭია!

მერკური. იუპიტერის ნაოჭი ვის გაუგია? ეტყობა ამფიტრიონის კანის ანაბეჭდი შემოგრჩათ შუბლზე.

იუპიტერი. ო, არა! ეს ნაოჭი ჩემი საკუთრებაა, ეხლა კი ვიცი, ჩემო მერკური, რომ ადამიანის პირისახეს მიამიტობა და სიყვარულით ჭარბი ტკბობა აბერებს.

მერკური. დაქანცული მეჩვენებით, იუპიტერ! თითქოს დადაბლდით და მხრებშიც მოიხარეთ.

იუპიტერი. მძიმე ყოფილა ნაოჭის ტარება!

მერკური. თუ გამოსცადეთ მაინც ის ნეტარგანთქმული მისავათება, სიყვარულის მერე რომ შეიგრძნობს თურმე ადამიანი.

იუპიტერი. მგონი თავად სიყვარული გამოვცადე, ჩემო მერკური.

მერკური. სიყვარული, როგორც ვიცი, არა ერთხელ გამოგიცდიათ.

იუპიტერი. პირველად, რაც თავი მახსოვს, ო, ჩემო მერკური, მე ვეფერებოდი ქალს, რომელსაც ვერა გავუგე რა, ამგვარად, მის გონებაში შეუღწევლად, შევაღწიე მხოლოდ მის სხეულში.

მერკური. რაზე ფიქრობდით?

იუპიტერი. არც არაფერზე! მართლაც ამფიტრიონად ვიყავ ქცეული! ალკმენემ გაიმარჯვა, ჩემო მერკური, რადგან მთელი ღამე სხვა კი არა მხოლოდ ქმარი ვიყავი მისი. გამთენიისას როგორც კი საშუალება მომეცა, სამყაროს შექმნის საიდუმლოს გამხელა ვცადე, ენა დამება. უაზროდ ვისროდი გაცვეთილ ფრაზებს. შენს წინაშე კვლავ დამიბრუნდა ჩემი საკადრი მეტრმეტყველება, მაგრამ რად გინდა? იქნებ, შენ მაინც მოგიყვე სამყაროს შექმნის ამბავი?

მერკური. არა, არ მინდა! ისე, გასართობად თუ ხელახლა შექმნით ყველაფერს..., უარს არ გეტყვით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუპიტერი. კაცობრიობა ისეთი არ ყოფილა, ჩემო მერკური, როგორც ჩვენ ღმერთებს წარმოგვედგინა. ზემოდან სასაცილო პაროდიად გვეჩვენებოდა მოკვდავთა მიერ ჩვენი ცხოვრების და ქცევის იმიტირება. ისე გვართობდა ადამიანის ამპარტავნობა. და მას ჩვენ თვითონ შთავაგონეთ, უთანხმოება ცასა და დედამიწას შორის. მართალია, დიდი დრო დაგვჭირდა, მაგრამ ცეცხლიც ისე მივართვით, რომ ის საწყლები დღემდე ამაყად იმეორებენ: „ღმერთებს ცეცხლი ჩვენ მოვტაცეთო!". გახსოვს, რად დამიჯდა მათი უმადური ტვინის რთული ხვეულებით გამდიდრება, რათა საქსოვი დაზგა, დაკბილული ბორბალი და ზეითუნის ზეთის გამოხდის წესი თვითონ აღმოეჩინათ და თანაც ერწმუნათ, რომ ღმერთებს აჯობეს და ძალით წაგლიჯეს ამქვეყნიური სიბრძნე-ბარაქა.

თურმე ამაოა ჩვენი მცდელობა! თურმე ადამიანს ალალად სწამს, რომ ის სამყაროს ყოვლისშემძლე მეუფეა. გამოდის, რომ უთანხმოება ჩვენს შორის შთაგონებული კი არ არის, არამედ მართლა არსებობს და მე, იუპიტერი ამ უთანხმოების პირველი მსხვერპლი ვარ.

მერკური. ხომ არ აჭარბებთ ალკმენეს ძალას?

იუპიტერი. არა, მერკური, ალკმენე მომხიბლავი, ნაზი ალკმენე, კლდესავით დგას და არც ერთ ჩვენს კანონს არ ემორჩილება. თუ ამქვეყნად, სადმე, მართლა არსებობს ვინმე პრომეთე, ეს პრომეთე უეჭველად ალკმენე არის!

მერკური. ყველაფერი გაცილებით მარტივად აიხსნება — ალკმენე მოკლებულია წარმოსახვის უნარს! ჩვენთან შეთამაშება მხოლოდ მდიდარი წარმოსახვის მქონე ადამიანს შეუძლია.

იუპიტერი. ალკმენე არც თამაშობს. მას, უბრალოდ არ ხიბლავს გარეგნული ბრწყინვალება და ყალბი დიდება. წარმოსახვის უნარი შეიძლება, მართლაც, არ ჰქონდეს და არც ძალიან ჭკვიანი იყოს, მაგრამ მის სულში ბუდობს რაღაც გაურკვეველი, ამოუცნობი სიმტკიცე, რომელიც ადამიანის ბუნების შესაშურ უსასრულობას ადასტურებს. ალკმენეს ცხოვრება იმ უნაკლო პრიზმად მესახება, სადაც ჩვენი და მოკვდავთა საერთო მემკვიდრეობა: — სიყვარული, სიმამაცე, ვნებანი — წმინდა ადამიანურ თვისებებად არის გარდაქმნილი: ერთგულებად, თავდადებად, სინაზედ. აქ ჩვენ უძლურნი ვართ, ჩემო მერკური! ალკმენე ის ერთადერთი ქალია, რომელიც ადამიანურ სამოსელში გახვეულიც მომეწონება. მასთან განშორება, მისი ხელახლა ნახვის სურვილს მიშმაგებს, მისი საზრუნავი მხიარულ ფუსფუსად მეჩვენება. ამიერიდან მომენატრება მასთან

ერთად დილაადრიან წასაუზმება... ჩვეული მოძრაობით გადაცემა მარილის, თაფლის... სისხლის ასახურებლად, ფარულ ღიმილით უცხო ხასმელის მიწოდება და... მისი თითების, მისი კოვზის, მისი ფინჯანის... მოულოდნელი შეხება ერთი სიტყვით, მიყვარს ალკმენე, ხოლო ძე მისი ნანატრი შვილი იქნება ჩემი.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ეს უკვე მთელმა სამყარომ იცის.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რას დამაკლებს მთელი სამყარო! დედამიწაზე, იმედია, არავის გაუგია.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. როგორ არა! ვისაც ხმენის ორგანო გააჩნდა, ყველას ჩავაწვეთე, რომ იუპიტერი ამაღამ ალკმენეს ესტუმრება. ეხლა, ვისაც ენა აქვს, ამას იმეორებს და მეზობლებსაც უყვება. თქვენი ამბავი გამთენიისას ვამცნე სამყაროს.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მოღალატე ხარ! საბრალო ალკმენე!

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. მოვიქეცი ისე, როგორც ყოველთვის. აბა მხოლოდ ამ ერთადერთ სამიჯნურო გმირობას ხომ არ დავუმალავდი სამყაროს? არც გაქვთ ამის უფლება და რად გინდათ ცხოვრების გართულება?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მაინც რა მოახსენე მთელ სამყაროს? ის რომ გუშინ ამფიტრიონის სამოსელით ვისარგებლე?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. რა თქმა უნდა, არა, როგორ ვაქცევდი მსჯელობის საგნად ღმერთისათვის შეუფერებელ ოინბაზობას? ალკმენესთან კიდევ ერთი ღამის გატარების სურვილმა ლამის დახეთქა სასახლის კედლები. ამიტომ ყველას ვაუწყე, რომ იუპიტერი თებეს დედოფალს ეწვევა დღეს, შებინდებისას.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ვის გაანდე ეს ამბავი?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ჯერ ქარს, მერე, როგორც წესია, წყალს, მიუგდეთ ყური, რას უჩურჩულებს მსუბუქი სიო ინტერესით აჭრილ ტალღებს.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. სულ ესაა? იჩურჩულონ რამდენიც უნდათ.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ორიოდ სიტყვა სასახლისაკენ მიმავალ ქალსაც ჩავაგონე.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. იმ ყრუ კარისმცველს? დაგიღუპეთ?!

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. არა, მაინც როდის ისწავლეთ კაცური მეტყველება? ოპერის პრიმადონასავით მელაპარაკებით! ალკმენემ შეგავედრათ, სანამ დედამიწიდან ცაში არ ამიყვან ხმა არ ამოიღოო, თუ რაშია საქმე?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. უბედურებაც ისაა, რომ ალკმენემ არაფერი იცის! ღამის განმავლობაში ასჯერ მაინც ვცადე ამეხსნა მისთვის ვინა ვარ. უშედეგოდ! ასჯერვე ისე მოხერხებულად დამამხობლავად ამიგდო ბანზე სიტყვა, რომ ჩემი ღვთაებრივი ჭეშმარიტება უმალ ადამიანურ სიმართლედ იქცა.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. არც არაფერმა დააეჭვა ალკმენე?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. არაფერმა... რომ დაეჭვდეს, ან რაიმე გაიგოს... დავიღუპები. გაფიქრებაც კი მზარავს, თუ რა შეიძლება მოხდეს.. რა ხმაურია?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. იმ ყრუ საფრთხობელამ თქვენი მოვალეობა პირნათლად შეასრულა. მთელი ქალაქი მზადაა, რათა ალკმენესთან თქვენი კავშირი იზეიმოს. დემონსტრაცია მოუწყვიათ და ეხლა სასახლისაკენ მოემართებიან.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. არ მსურს, რომ აქამდე მოაღწიონ. გააბრუნე, ზღვამ შთანთქას ყველა!

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ისინი ხომ თქვენი ქურუმები არიან.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მით უკეთესი. ჩემს არსებობას დაიჯერებენ.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. როგორ შეიძლება თქვენს მიერვე დაწესებული კანონის დარღვევა. მთელმა სამყარომ იცის, რომ დღეს იუპიტერი ვაჟით დაასაჩუქრებს ალკმენეს. ურიგო არ იქნება თვითონ ალკმენესაც მივაწოდოთ ეს ინფორმაცია.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ალკმენე ამას ვერ გადაიტანს.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ცოტა გაწვალდება, მაგრამ არა უშავს. ტანჯვა-წვალების შედეგი მშვენიერი საზღაური იქნება მისთვის.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ალკმენე თავს არ გაიწვალებს. ეჭვიც აღარ მეპარება, რომ ნამდვილად მოიკლავს თავს და მასთან ერთად დაიღუპება ჩემი ძე — ჩემი ჰერაკლე! მე კი იძულებული ვიქნები, როგორც მაშინ, შენი დაბადებისას, გარდავიხსნა ბარძაყი, ან კანჭი და რამდენიმე თვე ჩანასახი ასე ვატარო. დიდად მადლობელი ვარ! პროცესია გვიახლოვდება?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ნელა, მაგრამ საიმედოდ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ო, ჩემო მერკური! სამარცხვინო არ არის, რომ მე ასეთი პატიოსანი ღმერთი უპატიოსნო ადამიანის როლში აღმოვჩნდი. ეს რაღა გალობა ისმის?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ქალწულები მოიჩქარიან. მათთვის მხოლოდ თეორიულად ცნობილი ბედნიერება უნდა მოულოცონ ალკმენეს.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ეგებ, ქურუმები ზღვაში გადაგვეშვა, ხოლო ქალწულებისათვის პატარა მზის დაკვრა მოგვეწყო?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ბოლოს და ბოლოს, თქვენ თვითონ თუ იცით რა გინდათ?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რა ენდომება ადამიანს?! ათასი საპირისპირო სურვილი მახრჩობს. მინდა რომ ალკმენე ქმრის ერთგული დარჩეს და მეც სიამოვნებით დამნებდეს. მინდა რომ მოფერებისას სუფთა და უმწიკვლო იყოს, მაგრამ ჩემმა შეხედვამ არნახული ვნება მოჰგვაროს, მინდა რომ ვერასდროს ვერ გაიგოს ჩვენი ამბავი, მაგრამ მომიწონოს და ყველაფერზე თანახმა იყოს.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. თავგზა ამებნა... ჩემი მოვალეობა შევასრულე, ყველას გავაგებინე, რომ ამაღამ ალკმენეს სარეცელს დალაშქრავთ. სხვას რას მოითხოვთ ჩემგან, ვერ გამიგია.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ისე მოაწყვე, რომ იმ ნეტარ სარეცელს მართლა ვესტუმრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. გუშინ რომ ახსენებდით, ალბათ ის განთქმული თანხმობა და ურთიერთსიყვარულიც დაგჰქირდებათ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. დიახ, ჩემო მერკური! ჰერაკლეს დაბადების საკითხი მოგვარებულია, საქმე ეხლა მე მეხება. მე! შენ უნდა ნახო ალკმენე, ჩემი უსაზღვრო სიყვარული ამცნო და ჩემს შესახვედრად მოამზადო. გამოეცხადე მას. მართალია, შენ მეორეხარისხოვანი ღმერთი ხარ, მაგრამ სახელი და ძალა საკმარისი გაქვს იმისათვის, რომ ალკმენეს სხეულსა და სულში ადამიანური სისუსტე გამოაღვიძო. ეწვიე მას! მიუახლოვდი! შეეხე... ნებისმიერი ხერხი იხმარე, ოღონდ მოიგე მისი გული, აუდუღე სისხლი, შთააგონე პატივმოყვარეობა! და გახსოვდეს: ამ ქალაქს არ გავეცლები, ვიდრე შიშნარევი პატივისცემით აღვსილი ალკმენე თავისი ნებით ფიანდაზად არ დამეგება. ჰო, მართლა, გადაეცი მას, რომ ღმერთად ვეახლები — ადამიანის სამოსელმა თავი მომაბეზრა.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ბრავო, იუპიტერ! თუ ინკოგნიტოს გამხელა გადაწყვიტეთ, ალკმენეს იოლად დავიმორჩილებთ. თანხმობით და თქვენდამი სიყვარულით აღვსილ თებეს დედოფალს მალე აქ მოგგვრით, ჩემო მეუფევ. მოდის, კიდეც. მარტო დამტოვეთ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ეჰეი, ძვირფასო!

ᲔᲥᲝ. ძვირფასო!

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ვის ეძახის!

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ექოს. ამფიტრიონზე ესაუბრება. თქვენ კი მარწმუნებდით კლეუცი არ არისო! გაუთავებლად ეძახის ექოს. სიტყვების დასაჰერად სარკეც მოუტანია. წამოდით, იუპიტერ! გვიახლოვდება.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. „სალამი შენდა მკრთალო ნათელო! ამ წმინდა ადგილს გარს რომ დაჰყურებ!"

რას ხითხითებ? მელოდია ხომ არ გეცნობა?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. დიახ, მეცნობა! უხსოვარ დროიდან ვიცნობ!

მომავალმა წამიმღერა, გავეცალოთ აქაურობას.

ალკმენე შემოდის.

## ᲡᲪᲔᲜᲐ II

ალკმენე და ეკლისეა—ალკმენეს ძიძა, სხვადასხვა მხრიდან შემოდიან სცენაზე.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. რამ აგაღელვა, ეკლისეა?

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. ბზა მოვიტანე, ქალბატონო! მისი საყვარელი ყვავილმცენარეა.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ვისი? მე ვარდები მიყვარს.

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. როგორ? ამ ოთახის ვარდებით მორთვას გაბედავთ, დღეს?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. რატომაც, არა.

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. ყველამ იცის, რომ იუპიტერი ვარდებს ვერ იტანს. ისე არაფერი გეშლება, ჩემო ალკმენე. ღმერთებს ადამიანებივით უნდა მოექცე. ეს მათ ათვინიერებს. წითელი ბროწეული მოსასხამი გავამზადო?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. რა საჭიროა? თეთრი ტილოს მოსასხამი მომაწოდე!

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. სასახლის საზეიმოდ მორთვა რატომ აკრძალეთ? ტბილეული მზადაა, აბაზანაშიც ჩავყარე სურნელოვანი ამბრი.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. კარგი გიქნია. ჩემს ქმარს მოსწონს ამბრის სურნელი.

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. როგორ გაბედნიერდება თქვენი ქმარი! როგორ იამაყებს!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. რას ამბობ, ეკლისეა?

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. ო, ჩემო ქალბატონო, სამარადისოდ კურთხეულ არის თქვენი სახელი... იქნებ ჩემიც, რადგან მე გამოგზარდეთ. ჩემმა რძემ შეგითეთრათ პირისახე!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მაინც რა მოხდა ეკლისია? ამფიტრიონს რამე სასიხარულო შეემთხვა?

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. მას შეემთხვა ის, რაზეც ყველა მეფე ოცნებობს, ის, რაც მას ღირსებას და ბედნიერებას შემატებს.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ამფიტრიონმა გაიმარჯვა?

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. გაიმარჯვა?! რა თქმა უნდა, გაიმარჯვა! ღმერთთა ღმერთს მოუგო ბრძოლა. ფანჯარასთან მიდი, ალკმენე, და თებეს მოუსმინე!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. რაღაც შეძახილები და მუსიკა ისმის.

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. ასეა, ასე, ჩემო ქალბატონო! მთელმა ქალაქმა გაიგო სასიხარულო ამბავი. ყველა ზეიმობს და ერთმანეთის ბედნიერებას ულოცავს, თქვენი მადლით. ჩვენმა ქალაქმა მეზობლებს თვალი დაუბრმავა.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ჩემი კი არა, შენი ბატონის მადლით!

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. ჩემი ბატონიც ღირსია პატივის!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მხოლოდ ის არის ღირსი!

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. არა, ჯერ თქვენ! ჩემი ალკმენეს სახელი ზარივით წკრიალებს მთელ საბერძნეთში. მამლებიც კი ერთი ინტერვალით მაღლა იყივლებენ დღეიდან... აბა რა ვიცი, ქურუმებმაც ასე ბრძანეს! ჰო, მართლა! ლედასპარტის დედოფალი, გედად გადაქცეულ იუპიტერს რომ უყვარდა, გავლით ყოფილა თებეში და თქვენი ნახვის ნებართვას ითხოვს. უარს ნუ ეტყვით, მიიღეთ! მისი რჩევა-დარიგება სასარგებლო იქნება ჩვენთვის. უთხრა რომ მოვიდეს?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. რა თქმა უნდა.

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. ო, ჩემო ქალბატონო! ვინმეს რომ აბაზანაში შენი სხეული დაენახა, იმ წუთს მიხვდებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ღმერთები მათთვის განკუთვნილ განძეულს უსიკვდილოდ მოითხოვდნენ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ვერაფერი გავიგე! ამფიტრიონი ღმერთად იქცა?

ᲔᲙᲚᲘᲡᲔᲐ. არა, მაგრამ მისი შვილი ნახევრად ღმერთი იქნება (შეძახილები, მუსიკა) ქალწუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები არიან. ერთი შეხედე, როგორ მიიჩქარიან. ალმართზე ქურუმებსაც გაასწრეს. იმ ბებრუხანებს ჩიტირეკია ალექსია დაუჭერიათ და ალარ უშვებენ. ნუ ინებებთ გამოჩენას, ქალბატონო! უხერხულია! მე თვითონ გავცემ ხმას... რაო, ჩემო პატარებო, დედოფალი სად არისო? აქ არის, აქ! ნებიერად მიწოლილა თავის საწოლზე და მიბნედილი მზერით უშველებელ, ოქროს სფეროს ეალერსება. სფერო საიდან? ზემოდან დაეშვა მოულოდნელად! მარჯვენა ხელში ჩემს დედოფალს ბზის თაიგული უჭირავს, ხოლო მარცხენა ძვირფასი თვლებით გაუვსია და ფანჯრიდან შემოფრენილ უზარმაზარ არწივს ალმასებს აჭმევს.

ალკმენე. გეყო ხუმრობა, ეკლისეა! ნუთუ არ შეიძლება, მასკარადის გარეშე ვიზეიმოთ გამარჯვება?

ეკლისეა. გაინტერესებთ, რა აცვია? არა, შიშველი არ არის! აბრეშუმს რომ უწოდებენ, იმ ქსოვილისაგან შეკერილი მოსასხამი აცვია. ქობაზე ჯერ არნახული ენდროს ფერის არშია აქვს მოვლებული. ფრანგები ამ ფერს „გარანს" შეარქმევენ მომავალში. სარტყელი? რატომ არ უნდა ჰქონდეს სარტყელი? ეი, შენ ალექსია, რას ხითხითებ? ერთი დაგიჭირო! მისი სარტყელი პლატინისაა და მწვანე გიშრით არის მორთული. რაო? ვახშამს თუ უმზადებსო? მისი სუნამო?...

ალკმენე. მორჩი, ეკლისეა!

ეკლისეა. რა სუნამო გახლავთ?... (ალკმენე იმუქრება). ვერ გეტყვით, ჩემო კარგებო, საიდუმლოა! მაგრამ სალამოხანს თებე აივსება ამ სურნელებით. რაო? იმ ვარსკვლავად არ გადაიქცეს, ექვს თვეში ერთხელ რომ ვხედავთ ხოლმე? კარგი, კარგი, გავაფრთხილებ. ეს ყველაფერი როგორ მოხდება? არაფერს დაგიმალავთ, ჩემო ქალწულებო, პირობას გაძლევთ! ნახვამდის... უკვე მიდიან. ერთი შეხედე, რა კარგი სანახავი ყოფილა ღიმილით განათებული ზურგი. ჩემი გოგონები, ჩემი ლამაზმანები!

ალკმენე. ასე გადარეული არც მახსოვხარ ეკლისეა!

ეკლისეა. გადარეული, გაგიჟებული და შეწუხებულიც ვარ. ვინ უწყის როდის ან საიდან მოგვევლინება? ზეციდან, მიწიდან თუ წყლიდან? ვის გარეგნობას მიიღებს? — ღმერთის, ადამიანის თუ ცხოველის? რაც ეს ამბავი გავიგე, მწერსაც ვერ ვიგერიებ — ვშიშობ „ის" არ იყოს. აგერ ეხლახან ჩვენი ნებიერა შველი დამედევნა და დამრჩოლა! ხელი ვერ ვახლე. ეხლაც აქ არის, შემოსასვლელში, ჩემი ლამაზთვალება, ჩემი. კიკინებს და ჩლიქებს აბაკუნებს. რა ვქნა? იქნებ შემუშვა? ვაი, თუ „ის" ქარად იქცა და ფარდებიც ამიტომ ირხევა ასე მოუთმენლად. ეს რა ვქენი! წითელი ფარდები უნდა დამეკიდა. მე უბედურს! აი, აი დაუბერა! ვაი, თუ სწორედ „ის" შეეხო შენი მოხუცი ძიძის მხრებს! რა ახალგაზრდულად ამაღელვა ღვთაებრივმა ნიავმა! ღმერთო ძლიერო, უკვდავების ჩაკადში მოვხვდი!...

ო, ჩემო ქალბატონო! იუპიტერი ყოვლისშემძლეა. ის ნებისმიერ სულიერად, ნებისმიერ მოძრაობად შეიძლება გარდაისახოს. ერთი შეხედე, ფანჯარაში ვინ შემოგვიფრინდა?

ალკმენე. ფუტკარია! ფუტკარი! მოკალი ჩქარა!

ეკლისეა. როგორ მოვკლა? „ის" არის, „ის" მაინც როგორ გავიგო დედალია თუ მამალი? თუ დედალია „ის" არ იქნება, რომ იყოს? ყოველი შემთხვევისათვის ნუ მოიგერიებ, ალკმენე, გემუდარები! სალამი შენდა ღვთისნიერო, ჩემო ფუტკარო! ჩვენ მივხვდით ვინ ხარ!

ალკმენე. მოფრინავს! მიკბენს! მიშველე!

ეკლისეა. რა ლამაზი ხარ თავს რომ იცავ! სწორად მოიქცა იუპიტერი, შიშით რომ აგაცეკვა. ამ ხტუნაობაში უფრო გამოჩნდა შენი სიფაქიზე და ხიბლი. გიკბენს, აბა რას გიზამს!

ალკმენე. არ მინდა, რომ მიკბინოს!

ეკლისეა. დალოცვილია მისი კბენა! გიკბინოს, ჩემო ქალბატონო, გიკბინოს! ლოყა მიუშვირე მის კურთხეულ ნესტარს დახე! როგორ მიაგნო შენს მკერდს ო! ის არის! ნამდვილად „ის" არის! (ალკმენე გასრისავს ღაფეხით შორს მოისვრის ფუტკარს) ზეცავ გვიშველე! ეს რა ჰქენი, უმადურო?! როგორ? ჰექა-ქუხილი არ ისმის? არც ელვა? საძაგელო მწერო, რას დაგვიხეთქე გულები?

ალკმენე. ბოლოს და ბოლოს ეკლისეა, ამიხსენი რა ხდება?

ეკლისეა. უპირველეს ყოვლისა, მითხარით. მიიღებთ, თუ არა მოსალოცად მოსულ დეპუტაციას?

ალკმენე. ხვალ მივიღებთ მე და ამფიტრიონი.

ეკლისეა. კი, ბატონო, ახე აჯობებს კიდეც. წავალ, იმ ლედას მოვიყვან.

## სცენა V

ალკმენე, მერკური (საგონებელში ჩავარდნილი ალკმენე ოთახში მიდი-მოდის. როცა მიტრიალდება, მერკურის შენიშნავს.)

მერკური. ჩემი სალამი, დედოფალო!

ალკმენე. ისე მოურიდებლად და შეუმჩნევლად შემობრძანდით, რომ უთუოდ ღმერთი იქნებით.

მერკური. სახელი კი მაქვს გატეხილი, მაგრამ მაინც ღმერთი ვარ.

ალკმენე. თუ გარეგნობით ვიმსჯელებთ, მერკური უნდა ბრძანდებოდეთ.

მერკური. დიდი მადლობა! სხვები ფეხზე მიბმული ფრთებით მცნობენ ხოლმე. თქვენ ან მათზე ჭკვიანი ხართ, ან უკეთ პირფერობთ.

ალკმენე. ბედნიერი ვარ ღმერთის ხილვით.

მერკური. თუ ღმერთის შეხება მოგინდებათ, არ მოგერიდოთ. ასეთი ხელების პატრონს,

უფლებას გაძლევთ შემეხოთ და შემეხოთ რამდენიც გინდათ. (ალკმენე მორიდებულად ეფერება მერკურის შიშველ ხელებს, ეხება მის სახეს) ვატყობ, ღმერთები გაინტერესებთ.

ალკმენე. ბავშვობიდან. სულ ვცდილობდი წარმომედგინა, როგორები არიან, დღენიადაგ ვეძახდი და ვესაუბრებოდი მათ, როგორც იქნა ერთ-ერთი მესტუმრა! ცას ვეფერები! ო როგორ მიყვარს ღმერთები...

მერკური. ყველა ღმერთი გიყვართ? ჩემი სახელიც მიამატეთ საყვარელი ღმერთების სიას. არ დამივიწყოთ, ალკმენე!

ალკმენე. როგორ დამავიწყდებით? დედამიწა ნაწილ-ნაწილ უნდა უყვარდეს ადამიანს, ზეცა კი მთლიანად. რა ლამაზად ჟღერს თქვენი სახელი.... მერკური... თქვენზე ამბობენ მჭერმეტყველების ღმერთიც არისო... ერთი შეხედვით მივხვდი, რომ მართალია.

მერკური. რამ დაგარწმუნათ? ჩემმა სიჩუმემ, თუ გარეგნობამ? ისე, თქვენც მეტყველი სახე გქონიათ, ღმერთებს შორის უთუოდ გეყოლებათ ერთი, უსაყვარლესი.

ალკმენე. რა თქმა უნდა! ალბათ იმიტომ, რომ ადამიანებშიც მყავს ჩემი რჩეული.

მერკური. ღმერთებს მივხედოთ! რომელი გიყვართ განსაკუთრებით?

ალკმენე. მერიდება, სახელს ვერ გეტყვით.

მერკური. მე ღმერთებს ოფიციალური სიის მიხედვით ჩამოვთვლი, თქვენ საჭირო სახელზე შემაჩერეთ.

ალკმენე. უკვე გაჩერებთ. პირველია.

მერკური. რა ხართ ქალები?! წოდება გხიბლავთ, იმას კი ვერ ამჩნევთ, რომ ის თქვენი ღმერთთა ღმერთი მედიდურად ზარმაცია და სხვა არაფერი. სამყაროს მშენებლობაშიც უმაქნისი ზედამხედველის როლი იტვირთა, აქეთ იქით მიმოდიოდა და ბრძანებებს თავზე გვაყრიდა. მას არც პროფესია აქვს და არც ხელობა.

ალკმენე. მას ღვთაებრივი პროფესია აქვს — ის არის ღმერთი — ეს უკვე ბევრის მთქმელია.

მერკური. მას არც მჭერმეტყველება ეხერხება, არც ოქრომჭედლობა, არც ღვთაებრივი მუსიკა ესმის, არც კამეჩული, ძალიან უნიჭო ღმერთია.

ალკმენე. სამაგიეროდ ლამაზია და რომანტიკული. მის უზენაეს ნაკვთებს ის ნერვიული ტოკვა არ ეპარება, პოეტ-ღმერთებს და ნალბანდ-ღმერთებს რომ ამახინჯებს.

მერკური. მართალი ბრძანდებით , ლამაზია და აქედან გამომდინარე ლამაზ ქალებს ემუსუსება.

ალკმენე. როგორ არა გრცხვენია! ვინ გაბედავს იუპიტერის გამტყუნებას? თქვენ?რა უფლებით? ნუთუ გგონიათ, რომ არაფერი გამეგება და არ ვიცი, თუ რატომ უბიძგებს იუპიტერს ვნებათა ღელვა უბრალო მოკვდავის სარეცელზე. მშვენივრად ვიცი, რას ნიშნავს საპირისპიროს შეთავსება! დამყნობის მაგალითზე ამიხსნა ჩემმა ქმარმა. ეგებ გაიგეთ იქ, ზემოთ, რომ ამფიტრიონმა დამყნობის წესით ახალი ხილული გამოიყვანა. ჰოდა, იუპიტერიც ასეა! სკოლაშიც გვასწავლიდნენ, რომ მას მხოლოდ სილამაზით, დიდებით და სისპეტაკით გამორჩეული ქალები უყვარდა. აბა, სხვანაირად როგორ შეაჯვარებდა ღვთაებრივსა და მიწიერს? მარადიულსა და სწრაფმავალს? რაო? ჩემი სიტყვები არ გეჭაშნიკათ?

მერკური. პირიქით, აღფრთოვანებას ვერ ვფარავ, ისე მომეწონა თქვენი მონოლოგი. ეს იგი ყველა, ვინც იუპიტერს ერთ დროს უყვარდა, ან მომავალში შეიყვარებს, ლედა, დანაია და სხვანი, თქვენის აზრით ბედნიერები უნდა იყვნენ?

ალკმენე. უზომოდ ბედნიერები.

მერკური. გშურთ მათი?

ალკმენე. მე, პირადად, მშურს თუ არა? რად მეკითხებით?

მერკური. ვერ მიხვდით? როგორ ფიქრობთ, რატომ მოვედი თქვენთან? რა უნდა გაუწყოთ ჩემი ბატონის სახელით?

ალკმენე. არ ვიცი, მითხარით!

მერკური. მას უყვარხართ! იუპიტერს თქვენ უყვარხართ!

ალკმენე. იუპიტერი მე მიცნობს? მან იკადრა და ჩემი არსებობა შეამჩნია? უბედნიერესი ქალი ვყოფილვარ!

მერკური. იუპიტერი რახანია გითვალთვალებთ, მის ხხივოსან მზერას არც ერთი თქვენი მოძრაობა არ გამოპარვია.

ალკმენე. დღისით მითვალთვალებდა?

მერკური. დღისით და ღამით , რატომ გაფითრდით?

ალკმენე. სწორი ბრძანდებით, ამ შემთხვევაში გაწითლება უფრო უპრიანია, მაპატიეთ, მერკური, მაგრამ სირცხვილმა დამწვა. ყოველთვის ვერ ვიყავი მისი ღვთიური მზერის ღირსი, რატომ არ გამაფრთხილეთ?!

მერკური. რა გადავცე იუპიტერს?

ალკმენე. გადაეცით, რომ ამიერიდან ღირსეულად მოვიქცევი. სასახლეში უკვე შენდება მისთვის განკუთვნილი საკურთხეველი. ამფიტრიონის დაბრუნებისთანავე ოქროს სალოცავს ავუგებთ.

მერკური. რაში ჭირდება იუპიტერს თქვენი საკურთხეველი?!

ალკმენე. რაც რამ ძვირფასი გაგვაჩნია ყველაფერი მას ეკუთვნის. ინებოს და აირჩიოს, რაც უნდა.

მერკური. მან უკვე აირჩია და ამ საღამოს, მზის წასვლისას წასაღებად თვითონ გეახლებათ.

ალკმენე. რა ინება?

მერკური. თქვენი საწოლი. (ალკმენე გაკვირვებას არ იმჩნევს) მოემზადეთ! ღამეს უკვე მოველაპარაკე, დღევანდელი ღამე — მხოლოდ წყვდიადი როდი იქნება. ზეცასთან თქვენი ქორწინების ღამეს ურიცხვი ვარსკვლავი და

არაამქვეყნიური მუსიკა დაამშვენებს. ეს ღამე თქვენი მომავალი უკვდავების შესავალი იქნება მხოლოდ. მე ბედნიერი ვარ, რომ მარადისობის ეს მცირე მონაკვეთი შევქმენი და თქვენს სწრაფმავალ ცხოვრებაში სამუდამოდ ჩავბეჭდე. ხომ კარგი საქორწინო საჩუქარი მოგიმზადეთ? რას იღიმებით?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ვიღიმები, იმიტომ რომ მისამართი შეგეშალათ, ჩემო მერკური. მე ალკმენე ვარ, ხოლო ჩემი ქმარი — ამფიტრიონია.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. იქ, სადაც სამყაროს საბედისწერო კანონი ამოქმედდება, ქმარი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მე არარაობა ვარ! თებელებს შორის ყველაზე უსუსური ქალი ვარ, სკოლაში ცუდად ვსწავლობდი. რაც ვისწავლე, ისიც დამავიწყდა. ჩემზე ამბობენ, სულელიაო.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. მე სხვა აზრისა ვარ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. უნდა შეგახსენოთ, რომ, ამჯერად, საქმე თქვენ კი არა, იუპიტერს ეხება. მე მისი ღირსი არა ვარ. იუპიტერმა მხოლოდ იმიტომ შემამჩნია, რომ თვითონვე მომფინა შარავანდედი. ჩემი საკუთარი შუქნათება გაცილებით სუსტია.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ზემოდან მშვენივრად მოჩანს, როგორ აცოცხლებს ღამის წყვდიადს თქვენი სხეულის ელვარება.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ღიახ, მე უცხოური ფერუმარილი ვიშოვნე; მაქვს პუდრი, ნაირნაირი ნელსაცხებელი, ქლიბი, პინცეტი. გარეგნულ ეფექტს როგორღაც ვაღწევ, მაგრამ წერა-კითხვა არ ვიცი და აზროვნებაც მიჭირს.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. სამაგიეროდ, ლაპარაკი გეხერხებათ. წერა-კითხვის ამბავი ნუ აგაღელვებთ. დროთა განმავლობაში პოეტები იტვირთავენ ამაღამდელი საუბრის დახვეწა-შელამაზებას.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ეგებ დანარჩენიც იტვირთონ?!

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. რად გინდათ ყველაფრის გაუხამსება? ნუთუ იმედი გაქვთ, რომ ღმერთებს ხელიდან დაუსხლტებით, თუ თქვენს სილამაზეს და ღირსებას შეურაცხყოფთ. ეტყობა, თქვენთვის განკუთვნილი როლის მნიშვნელობა კარგად ვერ შეგიგნიათ!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. საქმეც მაგაშია, რომ შევიგნე და ვცდილობ დაგიმტკიცოთ, რომ ეს როლი საჩემო არ არის! მე ამქვეყნიური ცხოვრებით ვცხოვრობ. ჩემი გარემო დედამიწის ატმოსფეროა. რომელი ღმერთი შესძლებს ჩვენი ჰაერის ატანას და დედამიწაზე ლაღად სუნთქვას?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. იქნებ გგონიათ, რომ თქვენი და იუპიტერის კავშირი დიდხანს გასტანს? სულ რამდენიმე საათის ამბავია.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. დროს ნუ დავაზუსტებთ. ეს საკითხი თქვენ არ გეხებათ. იუპიტერი ერთგულებით ნამდვილად ვერ გამაკვირვებს, მაგრამ... ნეტავ რით მივიქციე მისი ყურადღება?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ალბათ თქვენი წერწეტა ტანით მოიხიბლა.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ დასაშვებია, თუ იცის, ნეტავ, ზაფხულობით რომ მზე მეკიდება და საშინლად ვიწვები.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. თქვენი ხელების სილამაზე ნებისმიერ ყვავილს დაჩრდილავს.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ხელები კი მაქვს ლამაზი, მაგრამ მხოლოდ ორი მაქვს, ორი! სამაგიეროდ, კბილი მაქვს ზედმეტი.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ამაღელვებელი და იმედის მიმცემი სიარული გცოდნიათ!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. იმედები გაუცრუვდება. სიყვარულში ზანტი და მოუქნელი ვარ.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. რატომ მატყუებთ! იუპიტერმა ამ ამპლუაშიც შეგამოწმათ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ვთვალთმაქცობდი.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. კმარა სიტყვები! კმარა კეკლუცობა! რას ვხედავ? ალკმენე ტირის?! იცრემლებით იმ დროს, როცა თქვენს სადიდებლად ბედნიერებისა და სიხარულის წვიმა მზად არის. დიახ წვიმა! ეს იუპიტერის გადაწყვეტილებაა. მან იცის, რომ თქვენ კეთილი ხართ და ოქროს ნიაღვარს სიკეთის წვიმას აჯობინებთ. ბედნიერი წელიწადი ელის თქვენს ქალაქს. მოისპობა შიმშილი, ომი ავადმყოფობა

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ესღა გვაკლდა!

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ამ კვირას სიკვდილს რვა ბავშვი უნდა მოეტაცა — ოთხი ვაჟი და ოთხი გოგონა, სხვათა შორის, თქვენი საყვარელი კარისაც ეხლა ისინი გადარჩებიან. ამის საფასურია იუპიტერთან გატარებული ერთადერთი ღამე.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ჩემი კარისა?! ეს შანტაჟია, მერკური!

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. ჯანმრთელობა და ბედნიერება — არც თუ ურიგოა ღმერთების შანტაჟი! გესმით? ეს სიმღერები, ეს მუსიკა და საყოველთაო აღფრთოვანება თქვენ გეკუთვნით. მთელმა თებემ იცის, რომ ამაღამ იუპიტერს მოეფერებით . თქვენით ხარობს და თქვენთვის ირთვება მთელი ქალაქი. ხეიბრები, ავადმყოფები სულ თქვენს ლოცვა-დიდებაში არიან. სხვათა შორის, სასახლისკენ მომავალი იუპიტერი ყველას განკურნავს და ბედნიერებას დაანათლებს. მათი სიცოცხლე და მომავალი თქვენს ჴელთაა. ალკმენე! მე გაგაფრთხილეთ! ეხლა გემშვიდობებით!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. აი, თურმე რა გამარჯვებას გულისხმობენ! უკვე მიდიხართ, მერკური?

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. მივდივარ. იუპიტერს ვეტყვი, რომ ელოდებით.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ჰოდა მოატყუებთ. იუპიტერს ვერ დაველოდები.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. რაღაც ვერ გავიგე? აბა, გაიმეორეთ!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მე მას არ დაველოდები. გემუდარებით, მერკური, დამეხმარეთ. ჩამომაშორეთ იუპიტერის კეთილგანწყობა.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. მაინც ვერაფერი გავიგე!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. იუპიტერის საყვარელი ვერ გავხდები.

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ. რატომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალკმენე. მერე თვითონ დამცინებს და შემიზიზღებს.

მერკური. ნუ მიამიტობთ, ბავშვი არა ხართ!

ალკმენე. არც ღვთისმოსავი ვარ. სიყვარულის დროს ღმერთებს ვაგინებ.

მერკური. სისულელეა... სულ ეს არის?

ალკმენე. დაღლილი ვარ! ავადმყოფი ვარ!

მერკური. სიცრუეა! მსგავსი ხრიკები ღმერთებთან არ სჭრის, მამაკაცების მოსატყუებლად გამოიყენეთ.

ალკმენე. მე ადამიანი მიყვარს.

მერკური. რომელი?

ალკმენე. ჩემი ქმარი.

(მერკური, რომელიც ალკმენესთან წახრილი იდგა, უცებ გაიმართება).

მერკური. მაშ, მხოლოდ თქვენი ქმარი გიყვართ?

ალკმენე. მხოლოდ ის მიყვარს!

მერკური. ძალიან კარგი, ესე იგი არ შევმცდარვართ, ადამიანებისგან განსხვავებით, იუპიტერი თავის საყვარლებს ერთგულ ცოლებში შეარჩევს ხოლმე. ისე, ზედმეტ კდემამოსილებასაც ნუ დაიბრალებთ, თქვენი სიზმრები კარგად გვაქვს შესწავლილი.

ალკმენე. ჩემი სიზმრები?

მერკური. სიზმრები და ოცნებებიც. ჩვენ ვიცით, რომ ოცნება გიყვართ. ხანდახან ერთგულ ცოლსაც წასცდება ფიქრი, ნეტავ სხვა მამაკაცი მეხვეოდესო.

ალკმენე. ალბათ იმ წუთში არავის მოფერება არ უნდოდა და იმიტომ.

მერკური. სწორედ ის სანაქებო ერთგული ცოლებია, კრიტიკულ მომენტში თავის ქმარს იუპიტერს რომ უწოდებენ. აბა! ერთხელ ესეც მოვისმინეთ!

ალკმენე. ჩემი ქმარი შეიძლება იყოს ჩემი იუპიტერი, მაგრამ იუპიტერი არასდროს გახდება ჩემი ქმარი.

მერკური. როგორ ამბობენ დედამიწაზე? სახელდარივით ჭიუტიათ, არა? ჰოდა, ზუსტად ასეთი ყოფილხართ. ნუ გამაბრაზებთ, თორემ უხეშად გეტყვით რის მაქნისია ეგ თქვენი, ეგრეთ წოდებული, სისპეტაკე და კდემამოსილება. ისე, თქვენც კარგად დამგესლეთ ცინიზმით და მკვახე საუბრით.

ალკმენე. აბა რა მექნა? შიშველს მომისწრით და შიშველი სიტყვით მოგიგერიეთ , დიახ, მე ცინიკურად გელაპარკეთ. ამ საუბარს არც შეეფერებოდა კეთილშობილად კაზმული სიტყვა.

მერკური. ჰოდა, მეც მოვრჩი მიკიბულ-მოკიბულს და მოურიდებლად ვამხელ ყველაფერს. არც არის აუცილებელი, ძვირფასო ალკმენე, იუპიტერი მამაკაცად ჩაგიწვეს ლოგინში.

ალკმენე. ზემოდან ვერ დაინახეთ, რომ არც ქალებს ვიწვევ?

მერკური. სწორია! სამაგიეროდ ნათლად ვხედავდით, რომ ბუნების ზოგიერთი მოვლენა, საყვარელი სუნამო, რაღაც დახვეწილი ფორმები თქვენს სულსა და ხორცს ალამაზებდა. ქმართან ალერსით გართულსაც შეგიმჩნევიათ რაღაც-რაღაცეები აი, მაგა[illegible]რვა გიყვართ. იუპიტერი წყლად გადაიქცევა. ირგვლივ შემოგევლებათ და ძალით დაგიპყრობთ. მოკლედ, ჩვენი მბრძანებლის წყალობა შეგიძლიათ მიიღოთ ნებისმიერი ფორმით ან, თუ გირჩევნიათ, მცენარის ან ცხოველის დახმარებით. ამგვარად, იქნებ ქმრის ღალატიც შეგიმსუბუქდეთ. თქვით, ალკმენე, გადაკრულად მაინც გვითხარით, რა გსურთ, რაზე ოცნებობთ და ჩვენ ყველაფერს მოვაწესრიგებთ. თქვენი საყვარელი ფისუნია რომელია?

ალკმენე. თავი დამანებეთ, მერკური! გამეცალეთ!

მერკური. ერთი სიტყვაც და მივდივარ. დღევანდელი პაემანი ბავშვს გააჩენს.

ალკმენე. სახელიც გექნებათ შერჩეული.

მერკური. რა თქმა უნდა, მას ჰერა...

ალკმენე. საწყალი გოგონა მას დაბადება არ უწერია.

მერკური. ბიჭია. ჰერაკლე ჰქვია. უეჭველად დაიბადება. თქვენი და იუპიტერის პირმშო დედამიწის ამაოხრებელ ურჩხულებს და სამყაროს განვითარების შემაფერხებელი ქაოსის ყველა ნამსხვრევს გაანადგურებს და მოსპობს. იუპიტერის და თქვენი კავშირი ოდითგანვეა გადაწყვეტილი, საფუძველია მისი მარადისობა.

ალკმენე. უარი რომ ვთქვა, რა მოხდება?

მერკური. ჰერაკლე უნდა დაიბადოს.

ალკმენე. თავი რომ მოვიკლა.

მერკური. იუპიტერი გაგაცოცხლებთ. ჰერაკლე მაინც დაიბადება.

ალკმენე. ჩემი შვილი — გარემამის ნაშობი?! ჩემი შვილი — ღალატის ნაყოფი?! არასდროს! თუნდ მთელი ოლიმპო დადგეს დარაჯად ჩემს სარეცელთან, ჰერაკლე მაინც დაიღუპება!

მერკური. ღმერთების მოთმინებასაც აქვს თავისი საზღვარი, ალკმენე. თქვენ ბოროტად იყენებთ მათ გალანტურ თავაზიანობას. ბოლოს და ბოლოს თქვენი თანხმობა არც არის საჭირო. ეხლა კი გამცნობთ, რომ გუშინ... (შემორბის ეკლისეა).

ეკლისეა. ქალბატონო...

მერკური. ამფიტრიონი ჩამოვიდა?

ეკლისეა. არა, ბატონო, დედოფალი ლედა სასახლეში მობრძანდა. თუ დრო არა გაქვთ, უკანვე მივაბრძანებ.

ალკმენე. არა! შემოიყვანე!

მერკური. სწორია, ალკმენე. ლედა ურიგოს არაფერს გირჩევთ. ყურადღებით მოისმინეთ ყველაფერი. მე კი წავალ. იუპიტერს უნდა მოვახსენო ჩვენი შეხვედრის შედეგი.

ალკმენე. ჩემს პასუხს თუ გადასცემთ?

მერკური. თებეს შავი ჭირი და ხანძარი ელის. თქვენს ქმარს დამარცხება და მონობა. ამიტომ იუპიტერს ვეტყვი, რომ თანახმა ხართ!

ალკმენე. და იცრუებთ?!

მერკური. არა უშავს, ქალი არა ხართ? დილის სიცრუე ღამის სიმართლედ გადააქციეთ! საღამომდე, ჩემო ალკმენე!

(მერკური გაქრება).

ალკმენე. როგორ გამოიყურება?

ეკლისეა. მისი კაბა გაინტერესებთ? ვერცხლისფერი ფარჩის კაბა აცვია. ქობაზე ოდნავ შესამჩნევი გედები ამოქარგული.

ალკმენე. გარეგნობა მაინტერესებს. როგორი თვალები აქვს — მტკიცე, სახტიკი, ამპარტავანი?

ეკლისეა. მშვიდი და კეთილშობილი.

ალკმენე. მაშ, იჩქარე და აქ მომიყვანე! ერთი აზრი დამებადა. დიდებული რამ მოვიფიქრე. ლედა დამეხმარება!

(ეკლისეა გადის.)

## სცენა VI

ლედა, ალკმენე

ლედა. დაუპატიჟებლად გეწვიეთ, ალკმენე!

ალკმენე. სასიამოვნო და სასურველია თქვენი სტუმრობა, ლედა!

ლედა. ეს არის ისტორიული ოთახი?

ალკმენე. ეს ჩემი ოთახია, ლედა.

ლედა. ზღვა და მთა... მშვენიერი შეხამებაა.

ალკმენე. და ზეცა.

ლედა. ზეცა მისთვის წვრილმანია. საღამო ხანს ელით?

ალკმენე. ასე ამბობენ.

ლედა. როგორ მიიქციეთ მისი ყურადღება? ალბათ, ლოცვის დროს თქვენს ხევდასა და კაეშანს ავედრებდით.

ალკმენე. პირიქით! ჩემს ბედნიერებას და კმაყოფილებას ვუზიარებდი.

ლედა. ყოჩაღ! ყურადღების მისაქცევად მშვენიერი ხერხი მოგიძებნიათ. უკვე ნახეთ?

ალკმენე. ჯერ არა. მან ხომ არ გამოგაგზავნათ?

ლედა. თებეში გავლით ვიყავი, თქვენი ამბავი შევიტყვე და სანახავად მოვედი.

ალკმენე. იქნებ მისი ხელახლა ნახვის სურვილმა მოგიყვანათ?

ლედა. მე ის არასდროს მინახავს! ეტყობა ჩემი თავგადასავლის წვრილმანებს არ იცნობთ?

ალკმენე. ნუთუ მართალია რასაც ლეგენდა უვება? ნუთუ მართლა გედად იყო გადაქცეული?

ლედა. აა! ესე იგი დაინტერესდით! გედად? ...მეტნაკლებად ასეც იყო. უფრო სწორად ფრინველის მაგვარ ლრუბელს წააგავდა... ერთგვარ გედისებრ კორიანტელს.

ალკმენე. ბუმბული თუ ჰქონდა?

ლედა. ალკმენე, გულახდილად გამოგიტყდებით. მეწყინება კიდეც თქვენთან რომ იგივე გარეგნობით მოვიდეს. ეჭვიანი არა ვარ, მაგრამ მისი უჩვეულო სიყვარული ჩემს კუთვნილებად უნდა დარჩეს. ამქვეყნად იმდენი ფრინველია! თანაც უფრო იშვიათი, უფრო მაზიდველიც.

ალკმენე. სხვა რომელია, გედივით კეთილშობილი და თანაც უკარება რომ იყოს?

ლედა. სწორი ბრძანდებით.

ალკმენე. არა მგონია გედი არწივზე ან ბატზე უფრო სულელი იყოს. ის მღერის მაინც.

ლედა. მართლაც მღერის...

ალკმენე. ისე, გედის სიმღერა ჯერ არავის მოუსმენია, მაგრამ ამბობენ მღერისო! ის... აი, ის... მღეროდა, თუ ლაპარაკობდა?

ლედა. ზუსტად ვერც გეტყვით. ჰიჭკჭიკის და ლაპარაკის აშკარად გამოკვეთილ ნაზავს უფრო წააგავდა მისი მეტყველება. აზრი, მართალია, ვერ გამოვიტანე, მაგრამ სინტაქსი იმდენად წმინდა და მკაფიო იყო, რომ ადვილად გაარჩევდით ფრინველთა ზმნებს და მიმართებით ნაცვალსახელებს.

ალკმენე მართალს ამბობენ, თითქოს მისი ფრთები აქნევისას ჰარმონიულად ჰრაჰუნობდაო.

ლედა. სრული ჭეშმარიტებაა. ფრთებს ჰრიჰინასავით აჰრაჰუნებდა, მაგრამ მჰახედ კი არა, რბილად და მღერადად. როცა თითებით მისი ფრთის წვერს შევეხე, ბუმბული ნაზი ქნარივით შემეხმიანა.

ალკმენე. წინასწარ თუ გაცნობეს მისი არჩევანი?

ლედა. რა თქმა უნდა. ცხელი ზაფხული იდგა. მზის მოქცევის დღიდან, მაღლა ცაში, ვარსკვლავებს შორის დიდი გედები დაცურავდნენ. ისინი სულ თავს დამტრიალებდნენ და ჩემი ქმარი ხშირად ხუმრობდა: შენი ბედი არის ერთი ფარფატა გედი.

ალკმენე. თქვენი ქმარი ხუმრობს კიდეც ამის შესახებ?

ლედა. ჩემს ქმარს ღმერთების არ სწამს, ამიტომ ეს ამბავი მან შეაფასა, როგორც ჩემი მდიდარი წარმოსახვის შედეგი და მოხდენილი კალამბურის საბაბად გამოიყენა.

ალკმენე. მოულოდნელად დაგესხათ თავს, თუ ძალით დაგიპყროთ?

ლედა. თავს დამესხა, უფრო სწორად ბუმბულით შემმოსა და შემომესია. მოულოდნელად შევიგრძენი არა ჩლუნგი ხელების და მატლებივით დაკლაკნილი თითების უაზრო ფათური, არამედ ჰაეროვით მსუბუქი შეხება და არაამქვეყნიური ვნებისმომგვრელი ალერსი, რომელსაც წამიერი დაყოვნება და თავბრუდამხვევი ძლიერი მოძრაობა მოჰყვა. მერე კი რხევა, უსასრულო, ნეტარი რხევა, რხევა... ერთი სიტყვით, ზღაპრული მოგზაურობა გამომივიდა! რისთვის მოვყევი? მალე თქვენ თვითონ განცვიფრდებით მისი შეძლებით.

ალკმენე. როგორ დაგშორდათ?



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლედა. ლონემიხდილი ვიწექი. მან ახლოს ჩამიქროლა და ცაში ავარდა. წამით არაადამიანური მხედველობით დამაჯილდოვა და მის ფრენას ცის კამარამდე თვალი ვადევნე. შემდეგ კი გაქრა!

ალკმენე. მას აქეთ არაფერი ისმის?

ლედა. როგორ არა! მისი წყალობა, ქურუმთა პატივისცემა და მოქალაქეთა მოკრძალება არ მომკლებია. აბაზანაში რომ შევდივარ, შიშველ ტანზე გედის ჩრდილი მედება ხოლმე, თანაც ისე მჭიდროდ, რომ საპნითაც ვეღარ ვიცილებ! ჰო, მართლა! ამ ამბის შემსწრე მსხლის ხე, გვერდს რომ ჩავუვლი, პატივით მიხრის ტოტებს. უნდა გამოვტყდე, რომ ხანგრძლივ კავშირს თვით ღმერთთანაც ვერ ავიტანდი. მეორე შეხვედრა მეტნაკლებად დასაშვებია, მაგრამ მან სასიყვარულო ეთიკის ტრადიცია რატომღაც უარჰყო.

ალკმენე. მის შეცდომას მგონი გამოვასწორებთ! იმ ამბის შემდეგ, ალბათ, სულ ნეტარებას გრძნობთ?

ლედა. ნეტარებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბედნიერად კი ვცხოვრობ. ამაში თქვენ თვითონ დარწმუნდებით. სიცოცხლის ბოლომდე გასტანს უშფოთველი სიმშვიდე, რომელიც ამ ვნებათაღელვის შემდეგ თქვენს სულში დაისადგურებს

ალკმენე ჩემი ცხოვრება არც ეხლა არის შფოთიანი და დაძაბული. თანაც, დარწმუნებული ვარ, რომ იუპიტერს ვერასდროს ვიხილავ.

ლედა. მაშ, შეიგრძნობთ, დამიჯერეთ, ალკმენე, მასთან შეხვედრა ძირფესვიანად შეცვლის ყველაფერს. თქვენ სამუდამოდ განთავისუფლდებით იმ გარდაუვალი აუცილებლობის და ამაზრზენი მოვალეობის შეგრძნებისაგან, ცოლ-ქმრულ კავშირს ხიბლსა და სიამოვნებას რომ აკლებს.

ალკმენე. რა კარგად გაგიცნიათ იუპიტერი! როგორ ფიქრობთ, შეიძლება მისი გულის მოგება?

ლედა. მე იუპიტერს არ ვიცნობ, ალკმენე! მე ვიცნობ ჩიტს.

ალკმენე. ჩიტის თვისებებითაც შეიძლება ღმერთის ხასიათის ამოცნობა.

ლედა. იუპიტერი ლოგიკურად მსჯელობს. მაგრამ ქალისა არ გაეგება რა. ისე, გულისხმიერად ეკიდება ყველა შენიშვნას და უსაზღვროდ მადლიერია, თუ ცოტას მაინც წაეხმარები. რაში გაინტერესებს იუპიტერის ბუნება?

ალკმენე. მისი წყალობა უნდა უარვყო. გემუდარებით, ლედა, დამეხმარეთ! გადამარჩინეთ!

ლედა. დიდებისაგან გადაგარჩინოთ?!

ალკმენე. დავიწყოთ იმით, რომ ამ დიდების ღირსი არა ვარ. ვინ შეგედრებათ თქვენ დედოფალთა შორის უმშვენიერესს და უჭკვიანესს? თქვენს გარდა ვინ გაიგებდა ფილოსოფოსთა სინტაქსს, ვინ აღმოაჩენდა დამწერლობას?

ლედა. ჩემს ნიჭთან ღმერთებს [illegible] ბათ! რა აზრი აქვს ადამიანმა წერა-[illegible], თუ ღმერთები მას კითხვას არ ასწავლიან.

ალკმენე. თქვენ ასტრონომიაშიც ერკვევით. თქვენ იცით, სად არის ზენიტი, რას ნიშნავს ნადირი. მე კი ამ ცნებებს ერთმანეთში ვურევ. თქვენ, როგორც ვარსკვლავს, უკვე ადგილიც მოგიმზადეს ცის კამარაზე. განსწავლულობამ ისე გაამკვრივა თქვენი სხეული, რომ ღმერთებიც გიყდებიან და ადამიანებიც. ერთი შეხედვაც კმარა იმის მისახვედრად, რომ თქვენ ქალი კი არა, ის იშვიათი, ცოცხალი ქანდაკება ხართ, რომელსაც მომავალში გაამრავლებენ, რათა დედამიწის ყველა კუთხე გაალამაზონ.

ლედა. თქვენზე ამბობდნენ ლამაზი სახის და ახალგაზრდობის მეტი არაფერი გააჩნიაო?! აბა გამოტყდით, რა ჩაიფიქრეთ, ჩემო პატარავ.

ალკმენე. თავს მოვიკლავ, იუპიტერს კი არ დავნებდები. მე ქმარი მიყვარს.

ლედა. იუპიტერის საწოლიდან წამომდგარი სხვას ვერც შეიყვარებთ. ვერცერთი მამაკაცი, ვერცერთი ღმერთი ამიერიდან თქვენს შეხებას ვეღარ გაბედავს.

ალკმენე. და მე იძულებული ვიქნები მიყვარდეს ქმარი. ჩემი სიყვარული თავისუფალ არჩევანს ვეღარ შეეთვისება. ამფიტრიონი ამას არასდროს მაპატიებს

ლედა. ნუ აზვიადებთ! მოგვიანებით ვნახოთ რა მოხდება, ხომ იცით, ჯერ ქმარი, მერე ღმერთი... მერე..

ალკმენე. დამეხმარეთ, ლედა! სამაგიერო გადაუხადეთ იუპიტერს, რომელმაც ერთადერთხელ გასიამოვნათ და მას შემდეგ მსხლის ხის კენწეროს ქნევით გაკმაყოფილებთ.

ლედა. როგორ ვიძიო შური საწყალ თეთრ ბედზე?

ალკმენე. შავი გედის დახმარებით. ეხლავე აგიხსნით. დაიკავეთ ჩემი ადგილი!

ლედა. თქვენი ადგილი?

ალკმენე. ეს კარი ჩემს საძინებელ ოთახში გადის. იქ ბნელა და ყველაფერი მზადაა მოსასვენებლად. მოიხვიეთ ჩემი მოსასხამი, დაისხით ჩემი სუნამო. იუპიტერი, თავისდასაბედნიეროდ, ვერაფერს მიხვდება. ნუთუ არ გამიწევთ ამ პატარა სამსახურს? ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

ლედა. მართალი გითხრათ... საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. რა მომხიბლავი ყოფილხართ!

ალკმენე. რატომ იღიმებით?

ლედა. ვეთანხმები თქვენს გადაწყვეტილებას. გათვალიერებთ, გაკვირვებით, გისმენთ და სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ თქვენ მხოლოდ დედამიწის სამკაული ხართ. იუპიტე-

რის სტუმრობა შეიძლება მართლაც საბედისწერო აღმოჩნდეს თქვენთვის, უსინდისობაც იქნება ჩვენს დიდებულ ასამბლეაზე რომ იძულებით აგიყვანოთ. გეცოდინებათ, ალბათ, რომ ქალები, რომლებიც იუპიტერს უყვარდა, ყოველ ნაკიან წელს იმ მაღალ კონცხზე იკრიბებიან და ზეიმობენ.

ალკმენე. ეს ის განთქმული თავყრილობაა, სადაც ღვთაებრივი ორგიები ეწყობა ხოლმე?

ლედა. ღვთაებრივი ორგიები? რა ცილისწამებაა! ჩვენი ასამბლეა განყენებულ იდეათა ორგიას წარმოადგენს, ჩემო პატარავ. ყველა შინაურები ვართ, უცხოს არავის ვუშვებთ.

ალკმენე. არ შეიძლება ვიცოდე იქ რას აკეთებთ?

ლედა. გაგება გაგიძნელდებათ, ჩემო კარგო! აზროვნების აბსტრაქტული ენა — თქვენი ხვედრი არ უნდა იყოს! მაგრამ მაინც ვცადოთ. აბა, დაფიქრდით და მითხარით, რას ნიშნავს სიტყვა ეტალონი, არქეტიპი, დომინანტური იდეა ან გულმუცლის ცენტრი?

ალკმენე. გულმუცლის ცენტრი მგონი გავიგე. ჭიპლარს უნდა ნიშნავდეს.

ლედა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, მჯკნარი ბალახითა და ნარცისებით მორთულ კლდეზე გადაწოლილნი როგორ ვისვენებთ? ან, როგორ გვატბობს პირველადი კონცეფციით წარმოქმნილი მუქწაოება, რომელიც ჩვენს სხეულებს ზესილამაზის ღვთაებრივ კრებულად აქცევს? ნუთუ შეაფასებთ იმ ნეტარებას, როცა სხეული ჩვეულებრივი წესით კი არ ნაყოფიერდება, არამედ ივსება კოსმიური ქარიშხლის მოსწრაფებით. ნუთუ გასწვდებით და შეიგნებთ რა ბედნიერებაა, როცა ერთდროულად მთელი სამყაროს ღედაფუძე და ნაშიერიც ხართ? აულეთ ალდო ჩემს მონაყოლს?

ალკმენე. ერთ რამეს ნამდვილად მივხვდი: თქვენი ასამბლეა მეტად სერიოზული თავყრილობა ყოფილა.

ლედა. ყოველ შემთხვევაში ძალიან სპეციფიურია! თქვენს ღირსებათა დიდი ნაწილი, ჩემო მშვენიერო ალკმენე, იქ, ჩვენთან, ეშხს დაკარგავს და გაცამტვერდება. თქვენ ისეთი ცოცხალი, მხიარული და ეფემერული ბრძანდებით, რომ გაგიჭირდებათ კიდეც განყენებულ სიმბოლოდ ქცევა. ამიტომ დარჩით დედამიწის ცოცხალ მშვენებად!

ალკმენე. მადლობელი ვარ, ლედა! ეფემერულის გადარჩენა კეთილშობილური საქმეა.

ლედა. მეც ასე მგონია და, რა თქმა უნდა, დაგეხმარებით! გადაწყვეტილია! მაგრამ რად დამიჯდება ჩემი თავგანწირვა?

ალკმენე. რად დაგიჯდება?

ლედა. მინდა ვიცოდე როგორი იქნება იუპიტერი? ნეტავ იმ გარეგნობით შეიმოსოს, მე რომ მხიბლავს და მომწონს!

ალკმენე. რაც არ ვიცი, არ ვიცი.

ლედა. აბა ვინ უნდა იცოდეს? იუპიტერი იმ ქმნილებად ვადაიქცევა, რომელიც თქვენს სიზმრებსა და ოცნებებს ხშირად წვევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალკმენე. ვერაფერს ვიხსენებ!

ლედა. ქვეწარმავლებზე, იმედია, არასდროს გიოცნებიათ. მე, პირადად, მეშინია მათი. ამ შემთხვევაში, ჩემს იმედს ნუ იქონიებთ... ისე, თუ ლამაზი გველი იქნება და ბევრ ძვირფას რგოლსაც წამოიცვამს...

ალკმენე. არც ცხოველს, არც მცენარეს არ აუშლია ჩემთვის ვნებათა ღელვა.

ლედა. ძვირფას ქვებზე რა აზრისა ხართ? ბოლოს და ბოლოს მეტყვით თუ არა, სად არის თქვენი სუსტი წერტილი?

ალკმენე. არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს. მე მხოლოდ ჩემი ქმარი მიყვარს!

ლედა. როგორც იქნა! სუსტი წერტილიც მოიძებნა. ეჭვიც არ მეპარება სწორედ აქ დამარცხდებით. ქმრის გარდა არავინ გყვარებია?

ალკმენე. არასდროს!

ლედა. როგორც იქნა მივხვდი რაშია საქმე! იუპიტერი ხომ სწორედ თქვენმა ადამიანურობამ მოხიბლა. თქვენ ისეთი მიწიერი, ისეთი ცვალებადი ბრძანდებით, რომ ბოლომდე თქვენი შეცნობა მხოლოდ დედამიწაზე, თქვენს ჩვეულ ინტიმურ გარემოშია შესაძლებელი. ამიტომ მიზნის მისაღწევად იუპიტერი უმარტივეს ხერხს მიმართავს. ის თქვენი ქმრის იერსახეს მიიღებს. ყველაფერი გასაგებია! ორი აზრი აღარ არსებობს! თქვენი ბედი — ამფიტრიონია!

ალკმენე. ნუ მაშინებთ! ამფიტრიონი სახლში არ არის?

ლედა. ქალაქიდან არის წასული!

ალკმენე. გუშინ საღამოს გავისტუმრე. ომში წავიდა.

ლედა. როდის დაბრუნდება? არც ერთი ისტორიული ბრძოლა ორ დღეზე ნაკლები არ გაგრძელებულა.

ალკმენე. სამწუხაროდ, სწორი ბრძანდებით.

ლედა. ჰოდა, მოემზადეთ, ჩემო ალკმენე! ამფიტრიონად ქცეული იუპიტერი სასახლის კარებს ნებისმიერ წუთს მოადგება და თქვენ მას სიხარულით მიიღებთ.

ალკმენე. შეუძლებელია! მე მას ვიცნობ.

ლედა. ნუ მიამიტობთ, ჩემო ალკმენე! ღმერთმა ერთხელ მაინც ხომ უნდა შექმნას ადამიანი! უეჭველად შეცდებით!

ალკმენე. სწორი ბრძანდებით. უნდა შექმნას! ესე იგი ეს იქნება სრულქმნილი, გაუმჯობესებული და უნაკლო ამფიტრიონი, უფრო ჭკვიანი და კეთილშობილი, ვიდრე ჩემი ქმარი. ერთი შეხედვისთანავე შემზიზღდება.

ლედა. ჩემო ძვირფასო, ციდან უზარმაზარი გედი დაეშვა. მაგრამ ჩემი ტბის პატარა გედებში ვერ გამოვარჩიე...

(შემოდის ეკლისეა)

ეკლისეა. ახალი ამბავი, ჩემო ქალბატონო! მოულოდნელი ახალი ამბავი.

ლედა. ამფიტრიონი ჩამოვიდა?!

ეკლისეა. თქვენ საიდან იცით? დიახ, მეფე ჩამობრძანდა და ისე გადმოაფრინა ცხენი წყლით სავსე თხრილს, რომ გაოცებისგან ყველა გავშეშდით.

ალკმენე. ეს დაბრკოლება არც ერთ მხედარს არ გადმოულახავს.

ეკლისეა. მან კი ერთი ნახტომით სძლია.

ლედა. მარტოა?

ეკლისეა. მარტოა, მაგრამ თითქოს მთელი ლეგიონი მოხდევსო. ნაირფერ სხივებს ისვრის მისი სხეული. არც დაღლილი ჩანს, თითქოს ბრძოლის ველიდან კი არა, ნადიმიდან ბრუნდებაო. მისმა გამოჩენამ ამომავალი მზეც დააბნელა. არ ადამიანური ჩრდილი კი მოჰყვება თან, მაგრამ თვითონ ისეთია — ჯით სვეტი შუქმფენი. რა ვქნა, რა მოკიმოქმედო — იუპიტერი სადღაც აქვე ტრიალებს. ჩემი ბატონი რომ შეეფეთოს, უბედურება არ აგვცდება. სადაზვერვო ბილიკს რომ დაადგა ამფიტრიონის ცხენი, შორეული ჭექა-ქუხილიც ჩამესმა... ვაი, ჩემს თავს!

ალკმენე. წადი ეკლისეა, დაკეტოდე

(ეკლისეა გადის).

ლედა. ახლა ხომ დარწმუნდით? ესეც იუპიტერი, ესეც ყალბი ამფიტრიონი.

ალკმენე. ძალიან კარგი! მას ყალბი ალკმენე დაუხვდება. ო, ჩემო ლედა! ღმერთებმა საზარელი ტრაგედია მოგვიმზადეს. მაგრამ ჩვენ, ქალებმა, მოვატყუოთ ისინი. ტრაგედია პატარა დივერტისმენტად ვაქციოთ. შური ვიძიოთ, შური!

ლედა. როგორ გამოიყურება თქვენი ქმარი? სურათი თუ გაქვთ?

ალკმენე. აი სურათი.

ლედა. ურიგო მამაკაცი არ უნდა იყოს. თვალებიც ლამაზი აქვს. თვალის გუგა, ქანდაკებასავით, ოდნავ შესამჩნევად ჰქონია მონიშნული. ო, როგორ შემიყვარდებოდა რომელიმე განთქმული ქანდაკება, მას რომ ლაპარაკი შეძლებოდა, ან გრძნობა გასჩენოდა. თქვენი ქმარი შავგვრემანია? თმახუჭუჭა ხომ არ არის?

ალკმენე. ყორანივით შავი და სწორი თმა აქვს.

ლედა. სიმაღლეს არა უშავს... კანი დაკოჟრილი ხომ არა აქვს?

ალკმენე. რას ამბობთ ლედა! სხეული დაკუნთული აქვს, მაგრამ მოქნილი.

ლედა. არ იეჭვიანებთ, თქვენი საყვარელი სხეულის ორეულს რომ მოვეფერები.

ალკმენე. ვფიცავ, რომ არა!

ლედა. არ გამიბრაზდებით, არასასურველი, მაგრამ მაინც ღმერთს რომ წაგართმევთ.

ალკმენე. აქეთ მოემართება, მი[illegible]და!

ლედა. ოთახი იქითაა?

ალკმენე. იქით არის.

ლედა. კიბე სადაა? მეშინია სიბნელეში ფეხი არ დამიცდეს.

ალკმენე. იატაკი სწორია და მოპრიალებული.

ლედა. საწოლის ზურგი, ალბათ, მარმარილოთია მოპირკეთებული, ყინულივით ცივი იქნება.

ალკმენე. სუფთა მატყლის ხალიჩა მაქვს დაფარებული. ნუთუ ყოყმანობთ, ლედა?

ლედა. სულაც არა, ალკმენე, მეგობრობაში ძალიან ერთგული ვარ. აი მოდის! ხანამ შემომიგზავნით, ცოტა გაერთეთ. ჯავრი იყარეთ ყალბ ამფიტრიონზე იმ გულისტკივილის გამო, რომელსაც ახლო მომავალში უთუოდ შეგახვედრებთ ნამდვილი.

## სცენა VII

ალკმენე, ამფიტრიონი.

მონის ხმა. რა ვუყო თქვენს ცხენებს, ჩემო ბატონო? სიქა აქვთ გაცლილი.

ამფიტრიონი. მიმიფურთხებია ცხენებისათვის! ეხლავე უნდა გავბრუნდე უკან.

ალკმენე. ცხენებს არაფრად აგდებს, მართლაც არ არის ამფიტრიონი.

(ამფიტრიონი უახლოვდება.)

ამფიტრიონი. ეს მე ვარ!

ალკმენე. ვხედავ, რომ შენ ხარ. სხვა ვინ უნდა იყოს?

ამფიტრიონი. არ მაკოცებ, ძვირფასო!

ალკმენე. მოიცა, ცოტახანს აქ სინათლეა. მოჰყვიანებით... იქ, სიბნელეში!

ამფიტრიონი აქვე და ახლავე! ამ წუთზე ფიქრმა შენსკენ ისარივით მომისროლა ჩემო, სიცოცხლევ!

ალკმენე. და გაიძულა კლდის დალაშქვრა, მდინარის გადმოცურვა, ზეცის გადმობიჯება. არა, არა! მოდი ერთი, ფანჯარასთან, კარგად შეგხედო. მოსიყვარულე ცოლს ხომ არ დაუმალავ შენს პირისახეს, ზეპირად ვიცი, სად რამდენი ნაოჭი და ხალი გაქვს?

ამფიტრიონი. აი, ჩემი სახე! გუშინდელის ორეულია.

ალკმენე. მართლაც რომ ორეულია. სხვა ქალი, ალბათ, მოტყუვდებოდა... თითქოს ყველაფერი ადგილზეა. ამ ორ მოწყენილ ნაოჭსაც ვიცნობ, ღიმილის დროს რომ ცოცხლდება ხოლმე და ამ სახაცილო ფოსოებსაც მოვეფერებივარ. აი, აი ცრემლის მიერ გაკვალული

ორი ბილიკი. თვალის უპეც ძველებურად დაღარულია, თითქოს ჩიტის თათმა დატოვა ანაბეჭდიო. იუპიტერის არწივს ხომ არ გადაუვლია შენს თვალებზე, ჩემო ძვირფასო?

ამფიტრიონი. ადრე გიყვარდა მათი კოცნა.

ალკმენე. ეს ყველაფერი ჩემს ქმარს ეკუთვნის. გუშინდელი იარა სად არის? რა უცნაური ქმარი მყავს: ომიდან დაბრუნებულს ერთი ჭრილობა დააკლდა.

ამფიტრიონი. ჭრილობას ჰაერი კურნავს.

ალკმენე. ბრძოლის ჰაერი განსაკუთრებით უხდება თურმე. ერთი თვალებს ჩავხედოთ! ეჰე, ძვირფასო ამფიტრიონ, წასვლისას ორი დიდი, ალალი და მხიარული თვალი გქონდა. ეხლა რას ვხედავ? მარჯვენა თვალში ხიმძიმე მოჩანს, მარცხენა კი თვალთმაქცობს!

ამფიტრიონი. ასე პირდაპირ ნუ მიყურებ! უსიამო ალმოჩენები რომ თავიდან აიცილო, მეუღლეს იშვიათად უნდა ჩააცქერდე თვალებში. მოდი ჩემთან...

ალკმენე. ეხლავე... შენს თვალებში თითქოს უცხო ღრუბელი დაციალებს. არ ვიცი რა შეიცვალა, ჩემო ძვირფასო, მაგრამ გიყურებ და თავბრუ მეხვევა. ყველაფერი ერთმანეთში აშერია. შორეულ მოგონებათა აჩრდილი მათრობს და მომავლის ბურუსი მიხშობს გონებას. სხვა სამყაროთა ხილვანი მაწუხებს და ფარული აზრის შეცნობა მიმძიმს.

ამფიტრიონი. სიყვარულამდე ასე იცის ხოლმე, ჩემო ალკმენე. მეც იგივეს ვგრძნობ. მალე გაგივლის.

ალკმენე. ნეტავ, რას ფიქრობს ბუნებაზე უფრო მაღალი შუბლი?

ამფიტრიონი. ფიქრობს მშვენიერ ალკმენეზე, რომელიც ყოველთვის ერთგულია საკუთარ თავის.

ალკმენე. ნეტავ, რას გამოხატავს სიახლოვისას ასე უზომოდ გაზრდილი სახე?

ამფიტრიონი. ტუჩებზე კოცნის სურვილს...

ალკმენე. რატომ ტუჩებზე? სხვა დროს მათზე არაფერი გითქვამს.

ამფიტრიონი ბუნებაზე უფრო მაღალი შუბლი კი ფაფუკ კისერზე ნაზად კბენის გეგმას აწყობს.

ალკმენე ჰკუას მოუხმე, ამფიტრიონ! ადრე ჩემი ნაკვთების სათითაოდ ჩამოთვლას ერიდებოდი.

ამფიტრიონი. ძალიანაც ვცდებოდი. ეხლა მათ სათითაოდ დავასახელებ. მე მგონი მშვენიერი აზრია. დღეს მოვიფიქრე, როცა ჯარი ხმენაზე მედგა და სიას ვკითხულობდი. შენი ნაკვთებიც შეეხმიანონ ჩემს გადაძახილს: ქუთუთოებო! მკერდო! კეფავ! კბილებო! და ბაგევ, სანატრელო ბაგევ!

ალკმენე. ჯერჯერობით ხელი იკმარე.

ამფიტრიონი. რა მოგივიდა? რამე ხომ არ გატკინე?

ალკმენე. ღამე სად გაატარე?

ამფიტრიონი. მაყვლის ბუჩქებში, თავქვეშ ვაზის ყლორტები მქონდა, ბალიშივით, ამოდებული. ერთ საათში უკან უნდა გავბრუნდე. დღეს ბრძოლა მაქვს დანიშნული. წამო... რას აკეთებ?

ალკმენე. თმებზე მოფერების უფლება მაქვს თუ არა? შენი თმა ასეთი მბზინავი და მშრალი არასდროს ყოფილა.

ამფიტრიონი. ქარის ბრალია!

ალკმენე. შენი მონაა ქარი! რამხელა თავი გქონია! ნუთუ ყოველთვის ასე მოზრდილი იყო!

ამფიტრიონი. სიბრძნე, ჩემო ალკმენე...

ალკმენე. შენი ქალიშვილია სიბრძნე.

ამფიტრიონი. აი ეს თუ გინდა იცოდე, არის ჩემი წარბები, ეს კეფაა, ეს კი საძილე არტერია... რატომ ცახცახებ, ალკმენე? რა მოხდა? თითქოს ცოლი კი არა, სატრფო ხარ ჩემი. რას ნიშნავს ეს მოკრძალება.... რამ შთაგაგონა? რა უცხო და მიმზიდველი ხარ... დღეს, რასაც შენს სხეულსა და სულში ვხედავ, ყველაფერი უცხო და მიუწვდომელია ჩემთვის.

ალკმენე. ემვიც არ მეპარება..

ამფიტრიონი. მითხარ რა გინდა, ინატრე რამე და საჩუქრებით აგავსებ, ნებისმიერ სურვილს შეგისრულებ...

ალკმენე. სანამ იმ ოთახში შევალთ, ჩემს თმას ემბორე!...

ამფიტრიონი. (ეხვევა მას და ყელზე კოცნის). აი ასე...

ალკმენე. რას აკეთებ? მე ერთი ჩვეულებრივი ამბორი გთხოვე, აი აქ, თმაზე!

ამფიტრიონი (ლოყაზე კოცნის). აი ასე?

ალკმენე. არ გესმის რას გეუბნები? თმაზე, მეთქი. თუ მელოტი გგონივარ.

ამფიტრიონი (ტუჩებზე კოცნის). და აი, ასე! ეხლა კი ხელში აგიტაცებ და ისე წაგიყვან.

ალკმენე. არა, მე თვითონ შემოვალ. წამით დაყოვნდი. როგორც კი დაგიძახებ შემოდი, ჩემო საყვარელო!

ამფიტრიონი. რა ცოლი მყავს! რა კარგია სიცოცხლე, თუ ის მშვიდად მიედინება; რა ნეტარებაა სიყვარული, თუ მას ეჭვი არ შეხებია; რა ტკბილია ოჯახური ბედნიერება, თუ ის ღალატსა და ავხორცობას არ წაუბილწავს. ყოველთვის გულდამშვიდებული ვბრუნდები სასახლეში. ვიცი, რომ დამხვდება მხოლოდ ის, ვინც წასვლისას შინ მე თვითონ დავტოვე. არასდროს ეჭვიც არ შემპარვია, რომ ჩემი უეცარი ჩამოსვლა სასახლეში მხოლოდ სიჩუმისა და მყუდროების გარდა ვინმეს დააფრთხობს. მოვიდე, ალკმენე? არ მპასუხობს... ჩუმად არის, ესე იგი უკვე მზადაა. რა მორიდებული, რა თავაზიანი ცოლი მყავს. დუმილით მანიშნებს, რომ მელოდება... მაგრამ დუმილს გააჩნია... ყური მიუგდეთ სიჩუმეს. ზარივით მეძახის და მიხმობს! აქა ვარ, ძვირფასო, მოვდივარ!

(როგორც კი ამფიტრიონი ოთახში შევა, ალ-





ეროვნული ბიბლიოთეკა

კმენე გამოვა და ღიმილით თვალს გააყოლებს. შემდეგ ფარდებს ხსნია და ავანსცენას უახლოვდება).

**ალკმენე.** ესეც ასე, საქმემ იმარჯვა! ეხლა მას ლედა ეფერება. აღარ მიხსენოთ ამა ქვეყნის უკეთურობა. პატარა ცელქი გოგონას ოინბაზობამ უშიშარჰყო იგი. არც ბედისწერა მიხსენოთ! მას მხოლოდ უძლურნი ნებდებიან. ერთგული ქალის სიყვარულს ვერას დააკლებს ადამიანთა ცბიერება და ღმერთების ავხორცობა... მართალი ვარ, ექო? შემეხმიანე... შენ ხომ ყოველთვის ჩემი კეთილმრჩეველი იყავი. რამ უნდა შემაშინოს? მე ხომ მტკიცე და შეუპოვარი ვარ. რას უნდა შევუშინდე? ღმერთებს, ადამიანებს, თუ არაფერს? არაფერს? არაფერს...

**ექო.** ყველაფერს, ყველაფერს.

**ალკმენე.** რათ, რას ამბობ?

**ექო.** არაფერს, არაფერს.

ფარდა.

## მესამე მოქმედება

სასახლის ტერასა

### სცენა I

სოზია, მებუკე, ეკლისეა, მოცეკვავენი.

**მებუკე.** რას შეეხება შენი დღევანდელი დეკლარაცია, სოზია?

**სოზია.** ქალებს.

**მებუკე.** მშვენიერია! ისე, ალბათ, ქალთა მავნებლობაზე ილაპარაკებ!

**სოზია.** პირიქით, ნაბრძანები მაქვს განვიხილო ქალთა ერთგულების მაღალზნეობრივი დონე საომარი მოქმედების პერიოდში. გაგიკვირდებათ, მაგრამ ამჯერად სრულ სიმართლეს მოისმენთ. ჩვენი ომი ერთ დღეში დაიწყო და დამთავრდა კიდეც.

**მებუკე.** წაიკითხე, ჩქარა!

(მებუკე საყვირს ჩაბერავს.)

**სოზია.** ო, თებელებო, ძირითადი უპირატესობის გარდა, ომი...

**ეკლისეა.** ჩუმად!

**სოზია.** როგორ თუ ჩუმად? ომი დამთავრდა ეკლისეა. შენს წინაშე ორი გამარჯვებული მეომარია. თხუთმეტი წუთით წინ უსწრებთ ჯარს.

**ეკლისეა.** სიჩუმე, მეთქი! მოუსმინეთ!

**სოზია.** შენს სიჩუმეს მოვუსმინოთ? ეს რაღაც ახალია.

**ეკლისეა.** მე კი არა, ზეცას უსმინეთ, ზეცას! ციური ხმა უცხო რაინდის საგმირო ამბებს უყვება თებელებს.

**სოზია.** უცხო რაინდის კი არა, პატარა ჰერაკლეს ამბებს, დიახ, დიახ, იმ ბიჭუნას თავგადასავალს წინასწარმეტყველებს, ალკმენეს იუპიტერისგან რომ ეყოლება.

**ეკლისეა.** შენ ყველაფერი გცოდნია!

**სოზია.** ეს ამბავი მთელმა ჯარმა იცის. აბა, მებუკეს შეეკითხე.

**მებუკე.** უმორჩილესად გთხოვთ დამიჯეროთ, ეკლისეა, რომ ყველა ხარობს თქვენი ქალბატონის ბედნიერებით. ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ჩვენი ესოდენ უმტკივნეულო გამარჯვება სწორედ ამ ბედნიერ შემთხვევას მიაწერეს. ომი ისე დამთავრდა, ქალბატონო, რომ არც ერთი მსხვერპლი არ მოუტანია. ასე განსაჯეთ და ცხენებიც კი არ დაშავებულან. მხოლოდ რამდენიმე ფაშატი დაიჰრა უკანა მარცხენა ფეხში. ამფიტრიონილა დარჩა გაუფრთხილებელი, მაგრამ ციურმა ხმამ, ალბათ, მის ყურამდეც მიაღწია.

**ეკლისეა.** ჩვენი მეფე დაბლობიდან მოისმენდა ციურ ხმას.

**მებუკე.** პირადად მე, არც ერთი სიტყვა არ გამომპარვია და განა მარტო მე? ხალხი სასახლის ზღურბლთან შეჯგუფდა და გაფაციცებით იჰერდა ყოველ სიტყვას. მეტად შთამბეჭდავი გახლდათ ციური ხმის ქადაგება. განსაკუთრებით იმ ადგილმა განმაცვიფრა, ახალგაზრდა გოლიათის და ჩვენი სულთამხუთავი ხარისთვალიანი ურჩხულის მომავალ ბრძოლას რომ შეეხებოდა. გახსოვს ეს ადგილი, სოზია: „ჰერაკლემ ურჩხულზე იმარჯვა, მაგრამ სიკვდილს ძლივს გადაურჩაო.“ ყურადღება! აი, გაგრძელებაც!

**ციური ხმა.** ო, თებელებო! როგორც კი მინოტავრი დამარცხდება, თქვენი ქალაქის კედლებთან საშინელი, ოცდაათთავიანი ურჩხული დაიდებს ბინას. ოცდაათთავიანი ურჩხულის თავები, ერთი ბალახისმძოველი თავის გარდა, ადამიანის ხორცით იკვებებიან, თქვენი ხორცით იკვებებიან, ო, თებელებო!

**ბრბო.** ოჰოჰო!!

**ხმა.** მაგრამ ჰერაკლე, ალკმენესა და იუპიტერის ვაჟი, ოცდაათივე თავს, ოცდაათისრიანი მშვილდით განგმირავს.

**ბრბო.** ეჰეჰე!

**მებუკე.** ბალახისმძოველ თავს რაღას ერჩოდა?

**სოზია.** შეხე, ალკმენე აივანზე გამოსულა და სმენად ქცეულა. რა შორსმჭვრეტელია იუპიტერი! მან იცის, რომ ჩვენი დედოფალი შვილზე ოცნებობს, ამიტომაც უქებს და უქებს ჰერაკლეს. მომავალი გმირის ხოტბა-დიდებით იუპიტერი ჩვენს დედოფალს გადმოიბირებს და თავსაც შეაყვარებს.

**ეკლისეა.** ჩემი საწყალი ქალბატონი! როგორ იტანჯება, როგორ განიცდის... შვილი — გოლიათი გარს ისე შემოხვევია, თითქოს დედამისს მუცლით ის ატარებსო და არა პირიქით,

**მებუკე.** იუპიტერის ადგილზე, ჰერაკლეს თვითონ ავალაპარაკებდი. მაშინ ვნახოთ, რა მოუვა შენს ქალბატონს.

**სოზია.** გაჩუმდი, ხმა ისევ ქადაგებს.

**ხმა.** მამაჩემი, იუპიტერი, კრიალა კანს და გრუზა კულულებს გადმომილოცავს.

**ბრბო.** ოჰოჰო!!

**ეკლისეა.** ღმერთებიც თქვენსავით აზ-

როვნებენ, თურმე მებუკევ! თვითონ ჰერაკლე ამეტყველეს.

**მებუკე.** ჩემსავით ვერა, ეკლისეა, ჩემზე გაცილებით ნელა.

**ხმა.** დედაჩემი ალკმენე ნაზი და ალალმართალი მზერით დამასაჩუქრებს.

**ეკლისეა.** დედაშენი აქ არის, პატარა ჰერაკლე, თუ ხედავ მას?

**ხმა.** ვხედავ. ვიხიბლები და აღტაცებული ვარ.

**ბრბო.** აჰაჰა!

**სოზია.** რა ბზიკმა უკბინა შენს ქალბატონს? ასე უტიფრად რას მოგვიკეტა ფანჯარა? ზეცის მოციქულს ხმა როგორ გააკმენდინა! რა ხდება ჩვენს თავს, ეკლისეა? ალკმენეს პირისახე რად ჩამოსტირის? სასახლის ფანჯრებიც ჩაუბნელებია, თითქოს გლოვობსო. ნუთუ ვერ ხედავს, ქალქში რომ ყველა ჩირაღდანი საზეიმოდ ააგიზგიზეს. ჯარში ხმა გავარდა, რომ დღეს შენმა ქალბატონმა ლედა სასახლეში მოიპატიჟა და რჩევა-დარიგება სთხოვა. სიამოვნებით გაუზიარა თავისი გამოცდილება სპარტის დედოფალმაო, მთელი დღე ერთად გაატარეს ქალბატონებმა და მათი სიცილ-ტკრციალი ზეცას წვდებოდაო? მართალია, ეკლისეა, აბა გამოტყდი!

**ეკლისეა.** მართალია, მართალი. ერთი საათიც არ იქნება, რაც სპარტის დედოფალი სასახლიდან გავისტუმრეთ. ლედა წავიდა თუ არა, ციურმა ხმამ გვამცნო, რომ იუპიტერი მწუხრისას ესტუმრება ალკმენეს და დააფეხმძიმებს.

**სოზია.** ქურუმებმა თუ დასტურჰყვეს და აკურთხეს ეს ამბავი?

**ეკლისეა.** რა თქმა უნდა. აგერ სასახლიდან მობრძანდებიან.

**სოზია.** მაშ, ალკმენე უკვე მზადებაშია!

**ეკლისეა.** აბა, რა ვიცი.

**მებუკე.** მადამ, თქვენსა და თქვენს ქალბატონზე ქალაქში გამალიზიანებელი ჭორები დაქრის, ამბობენ, თითქოს დედოფალი ბავშვური სიჯიუტით უარყოფს იუპიტერის პატივწყალობას და იმახლა ფიქრობს, თუ როგორ დაუბნელოს ჩვენს მხსნელ გმირს ჯერარნახული დღის სინათლე.

**სოზია.** დიახ, დიახ. იმასაც ამტკიცებენ, ჩემო ეკლისეა, თითქოს შენ ჩვენს დედოფალს შვილის მკვლელობაზე აქეზებო.

**ეკლისეა.** მომიკვდა თავი! რა ტყუილუბრალოდ დამწამეს ცილი!ო, რომ იცოდეთ, რა მოუთმენლად მოველი იმ ბავშვის დაბადებას! სანამ დედამიწას გადაარჩენდეს, ის ბიჭი მე შემებრძოლება. ათი წლის მანძილზე მე ვიქნები მისი ძიძა და მინოტავრი. ო, ნეტავ მომასმენია, როგორ ღმუიან და ღრიალებენ ის ცხოველები და მერე მე ვიცი! ჩემს ჰერაკლეს ისე გავწაფავ, ისე გამოვწვრთნი და გავაგულიხებ, რომ ძალა და შემართება გაუასკეცდეს.

**სოზია.** კარგი დამშვიდდი! ისე, ალკმენეს რა აწუხებს მაინც ვერ გამიგია?! როგორ შევთავაზოთ ღმერთს წარბშეკრული და უხასიათო შეყვარებული? შევრცხვებით და ესაა. ნუთუ ალკმენე მართლა ზურგს შეაქცევს ღმერთთა ღმერთს?

**ეკლისეა.** ვშიშობ, რომ ასე მოხდება.

**სოზია.** ჰოდა მისი უგუნურობა ყველას გაგვწყვიტავს და გაგვანადგურებს. თებეს ჭირი და შიმშილი დალუპავს, ამფიტრიონს აჯანყებული ბრბო ჩაქოლავს. ყველა ერთგული ცოლი ერთნაირია: თავის განთქმულ ერთგულებას ანანავებს, ქმრის კეთილდღეობას კი ივიწყებს.

**მებუკე.** დამშვიდდით, სოზია! ალკმენე მაინც ვერას გახდება. იუპიტერი ასე იოლად არ დათმობს თავის სიყვარულს. სიკერპე ღვთაებრივი ხასიათის გამორჩეული თვისებაა. ადამიანს რომ სიჯიუტის უკიდურეს წერტილამდე მიყვანა შეძლებოდა — რახანია ღმერთად იქცეოდა. აი, სწავლულები ავიღოთ მაგალითისთვის. ჰაერის და ლითონის საიდუმლო იმიტომ გამოსტაცეს ღმერთებს, რომ თავგამეტებით იჯიუტეს და შეუპოვრად იჯინიანეს. იუპიტერიც კერპი და ჯიუტია. ალკმენეს სულის საიდუმლოს უეჭველად ამოიცნობს. დედამიწაზე ყველაფერი მზადაა მის შესახვედრად. სხივმფენის მობრძანება ისევე გარდაუვალია, როგორც მზის დაბნელება. მზის დაბნელება კი უკვე გამოცხადებულია, ღმერთის ციდან ჩამოფრენის მოლოდინში თებეს ბიჭბუჭებმა მინის ნამსხვრევები შებოლეს დაბრმავების შიშით და თითები სულ ერთიანად დაიფუფქეს. არა, სოზია, ალკმენე ვერას გახდება.

**სოზია.** მუსიკოსები და მზარეულები თუ გააფრთხილე?

**ეკლისეა.** რა თქმა უნდა. საუკეთესო ღვინო და ნამცხვრები უკვე მზადა მაქვს.

**სოზია.** მაინც რა ხართ ძიძები, როცა ღალატის სუნი გცემთ! გაიგე, ეკლისეა, ალკმენეს ფარული სასიყვარულო პაემანისთვის კი არ ამზადებ, არამედ საქორწინოდ რთავ! ზეცასთან საქორწინოდ! სახალხო თავყრილობა, დეპუტაცია თუ მოამზადეთ? ხომ იცით, იუპიტერს ასეთ დროს მაყურებელი უყვარს, ურიცხვი მაყურებელი! უკვე ჩამოღამდა, ეკლისეა, ეხლა ვიღას მოძებნი?

**ეკლისეა.** თქვენ დამაყოვნეთ, თორემ ქალაქში მივდიოდი, რათა ყველა ხეიბარი, დავრდომილი, ღარიბ-ღატაკი და საზიზარი მომეძებნა და აქ მომეყვანე. ჩემი ქალბატონის სურვილია, რომ ის საცოდავები იუპიტერს გზად შემოხვდნენ და ჩვენი მეუფეს სიბრალული და თანაგრძნობა გამოიწვიონ.

**მებუკე.** იუპიტერის სადიდებლად კუზიანების და კოჭლების შეკრება ვის გაუგია? ეს როგორ მოიფიქრეთ, ეკლისეა? მეგონა ბრძენი ქალი ბრძანდებოდით. როგორ შეიძლება ადამიანთა ნაკლოვანება ასე შეუნიღბავად წარმოაჩინო ღმერთის წინაშე. იუპიტერს მსგავსი რამ არასდროს უნახავს. ნუთუ ამ სისულელეს ჩაიდენ?

ეკლისეა. სხვა გზა არა მაქვს, ალკმენემ ბრძანა.

სოზია. ალკმენე ცდება, მებუკე სწორია.

მებუკე. როგორ შეიძლება ასე პირდაპირ მიუთითო ღმერთს, რომ სამყაროს შექმნისას მან ბევრი შეცდომა დაუშვა. იუპიტერი ადამიანს იმიტომ წყალობს, რომ მის სრულყოფაშია დარწმუნებული. ამდენი ფეხმოქცეული და ცალხელა, ამდენი გაყვითლებული და ჭაჭებში ქვებდაგროვილი ადამიანი ერთად რომ ნახოს, იუპიტერი განრისხდება და უფრო დაგვწყევლის. მით უმეტეს, რომ მას პრეტენზია აქვს განაცხადოს ადამიანი ჩემს ხატად და მსგავსად შევქმენიო. ჰოდა, მრუდე სარკეში საკუთარი თავის დანახვა იუპიტერს კი არა, მეც მაღიზიანებდა.

ეკლისეა. ციური ხმის მეშვეობით იუპიტერმა თვითონ მოითხოვა სახიჩრებს თავი მოუყარეთო...

მებუკე. რაკი თვითონ მოითხოვა, მოვუყრით კიდეც. მეც გავიგე მისი ბრძანება და სათანადო ზომები მივიღე. ჩვენი ქალაქის უძლურებმა ადამიანთა მოდგმის უიღბლობის იდეა უნდა შთააგონონ ჩვენს მეუფეს. ნუ ღელავთ, სოზია. სახიჩართა საგანგებოდ შერჩეული პარტია უკვე აქა მყავს.

ეკლისეა. კი, მაგრამ, უფეხო კაცი, სასახლის ბორცვზე როგორ ამოვა?

მებუკე. ამოვა კი არა, ამოფრინდება, ჩემო ეკლისეა! თქვენ თვითონ ნახავთ! აბა, შემოდით პატარებო, შემოდით! უჩვენეთ ღმერთთა ღმერთს თქვენი დამახინჯებული სხეულები.

(შემოდიან ახალგაზრდა მოცეკვავე ქალები).

ეკლისეა. ეს ხომ მოცეკვავენი არიან!

მებუკე. ცდებით, ძვირფასო ეკლისეა, დამბლადაცემულები არიან. ყოველ შემთხვევაში იუპიტერს სწორედ ამ ამპლუაში უნდა წარუდგინოთ ისინი. მთელი სიცხადით დავანახოთ ჩვენს მეუფეს, თუ როგორ დაკნინდა და დაუძლურდა კაცობრიობა. ბუჩქებში თორმეტამდე მომღერალიც გადავმალე. ისინი მუნჯებს განასახიერებენ და მერე სასულიერო ჰიმნებს შემოსძახებენ. ამათ ორიოდ გოლიათიც შევმატოთ. ესენი კი ჯუჯები იქნებიან. მოკლედ, იუპიტერს უბედურთა ისეთ სრულ კომპლექტს დავახვედრებ, რომ საკუთარი თავი შეეცოდება, ეს რა დიდი შრომა გამიწევია სამყაროს შექმნის პროცესშიო. ამგვარად, თავის შემოქმედის ალარ შერცხვება და შენი ქალბატონის ნებისმიერ თხოვნას უმალ შეიწყნარებს. სიტყვასავით წამოვა მისი წყალობა! რომელი მხრიდან მოელით მამათა მამას?

ეკლისეა. ქურუმებმა ბრძანეს მზისკენ ზურგშექცეული გეახლებათო. როგორც დაბნელდება, ორ რიგად სანიშნე კოცონებს დაანთებენ თებეს შარაზე.

მებუკე. მაშ, მეფუნთუშე ქალების ცეცხლითშეფერილი სახეები დამჭირდება. აქ მოიყვანეთ ქალები. ცეცხლთან ახლოს! რამ გაგაკვირვა, სოზია! ესენი კეთრით დაავადებულებს განასახიერებენ.

მოცეკვავე. ჩვენ რის გაკეთებას დაგვავალებთ, ბატონო ფილოსოფოსო?

სოზია. იცეკვეთ! სხვა ხელობა, იმედია, არც გაქვთ.

მოცეკვავე. რომელ ცეკვას ისურვებდით? სიმბოლური ხომ არ გვეცეკვა — მაღალი, ჰაეროვანი ნახტომებით?

სოზია. ნუ გადააჭარბებთ! არ დაივიწყოთ, რომ თქვენ იუპიტერისთვის ხეიბრები ხართ.

მოცეკვავე. თუ იუპიტერისთვის გვაცეკვებენ, „კალმახის ცეკვა" ავირჩიოთ. წყვეტილი, ახლეტილი მიხვრა-მოხვრა ღმერთთა ღმერთს გაელვებას მოაგონებს და წააქეზებს კიდეც.

მებუკე. ამის იმედი ნუ გექნებათ! არავითარი ილუზია! ნუ გავიწყდებათ, რომ ღმერთები მოცეკვავე ქალებს ზემოდან დაჰყურებენ, ადამიანისაგან განსხვავებით თქვენი ელვისებური მოძრაობა მათში იოტისოდენ ემოციასაც არ გამოიწვევს. იუპიტერი უფრო წყალში მობანავე ქალებით მოიხიბლება.

მოცეკვავე. ეხლახან შევისწავლეთ „ტალღების ცეკვა". ზემოდან მშვენივრად გამოჩნდება: მუცელზე დაწოლილები, თეძოებს ისე ვარხევთ, მონანავე ტალღები გეგონებათ.

მებუკე. ვინ არის ის მხედარი, სოზია, ცხენს რომ მოაგელვებს? ამფიტრიონს ჩამოჰგავს თითქოს...

ეკლისეა. მართლაც ამფიტრიონია, ღმერთო ჩემო, შიშმა ამიტანა.

სოზია. კარგია, რომ ჩამოვიდა. ამფიტრიონი სიმართლის მოყვარული და ღვთისმოსავი კაცია. ადვილად დაითანხმებს თავის ცოლს.

მოცეკვავე. როგორ მოჰქრის!

მებუკე. გასაგებია! უნდა იჩქაროს! ღმერთს რომ უსულო და ქანცგაწყვეტილი სხეული შეატოვოს ხელში, ზოგი ქმარი საგანგებოდ წინასწარ მოღლის ხოლმე ცოლს შმაგი სიყვარულით. აბა, გასწით აქედან, ჩემო პატარებო! ჩვენც გამოგყვებით და მუსიკა ერთად შევარჩიოთ. ჩვენი წყალობით, ჩემო სოზია, საზეიმო ცერემონია ღვთური სტუმრის საკადრისი იქნება. მაინც რა დროულად ჩამოვედით. შენი დეკლარაციის წაკითხვა არ დაგავიწყდეს, სოზია...

(მებუკე საყვირს ჩაბერავს.)

სოზია. ო, თებელებო! ძირითადი უპირატესობის გარდა, რაც იმითაც არის მიმზიდველი, რომ ჩვენი ერთგული ცოლების სხეულს ტყვიაგაუმტარ ფოლადის აბჯარს შემოაკრავს, ამ აბჯარს ვერ გატეხს ვერც ბილწი თვალი და ვერც ჟინმორეული ხელის ფათური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სცენა II

(ამფიტრიონი ერთი ხელის აქნევით მოიცილებს სოზიას და მებუკეს.)

**ამფიტრიონი.** ქალბატონი შინაა, ეკლისეა?

**ეკლისეა.** შინ გახლავთ, ბატონო.

**ამფიტრიონი.** თავის ოთახშია?

**ეკლისეა.** დიახ, ბატონო.

**ამფიტრიონი.** მოახსენეთ, რომ აქ ველოდები.

(სიჩუმეში კვლავ გაისმის ციური ხმა.)

**ხმა.** ისევ ქალების შესახებ! ვაჟი, რომელიც ალკმენეს შეეძინება, ცხოვრებისეულ გზაზე მრავალ ქალს ნახავს. ეს ქალები პატივის, დიდებისა და პირფერობის მოყვარულნი აღმოჩნდებიან, ისინი უღალატებენ და უორგულებენ უძლეველ გმირს.

**ბრბო.** აჰაჰა!

**ხმა.** ჰერაკლე მათ მოაჯადოებს, დაიპყრობს, შეაცდენს, მიატოვებს, მოტყუებულ ქმრებს შეურაცხყოფს და საბოლოოდ ქალის გულისთვის დაიღუპება.

**ბრბო.** ოჰოჰო!

### სცენა III

ალკმენე, ამფიტრიონი.

**ალკმენე.** რა გვეშველება ამფიტრიონ?

**ამფიტრიონი.** რა გვეშველება, ალკმენე?

**ალკმენე.** გულს ნუ გავიტეხთ. შეხვედრის უფლება ხომ მოგვცა...

**ამფიტრიონი.** რომელ საათზე გამოჩნდება?

**ალკმენე.** როგორც კი მზე ჩავა, ესე იგი ძალიან მალე. ზევით ახედვას ველარ ვბედავ. შენ არწივზე ბასრი თვალი გაქვს. გაიხედე! ხომ არაფერი მოჩანს ზეცაზე?

**ამფიტრიონი.** თითქოს ერთი ვარსკვლავი შექანდა...

**ალკმენე.** მან ჩაუქროლა! იღონე რამე, ამფიტრიონ!

**ამფიტრიონი.** ხმის ამოღების უფლება ხომ მექნება. ბოლოს და ბოლოს ლაპარაკიც მეხერხება. მეტყველებაც კარგი მაქვს. დავარწმუნებ იუპიტერს, დავიყოლიებ მას!

**ალკმენე.** ჩემო ძვირფასო მეგობარო! ამ ქვეყნად ჩემს მეტი ჯერ არავინ დაგირწმუნებია. ისიც მჭევრმეტყველებით კი არ მომხიბლე, არამედ სხვა კაცური ღირსებით. არა, მე სწორედ თქვენი საუბარი მაშინებს! ისე დაგამარცხებს იუპიტერი, რომ ჩემს თავს მერკურისაც დაუთმობ.

**ამფიტრიონი.** მაშ, მართლა გათავებულა ყველაფერი, ჩემო ალკმენე!

**ალკმენე.** მისი კეთილგანწყობის და სიკეთის იმედი ვიქონიოთ. დაველოდოთ აქ, ამ ტერასაზე, სადაც დიდგვაროვან სტუმრებს ვმასპინძლობთ და მის სადიდებელ დღესასწაულებს ვაწყობთ. რატომღაც მჯერა, რომ ჩვენი სიყვარულის შესახებ მან არაფერი იცის. ერთი გადმოგვხედოს ოლიმპოს მთიდან და მიხვდეს, რა ერთგული ცოლ-ქმრობა გვაქვს. ეგებ ჭეშმარიტი სიყვარულის ხილვამ გაუნელოს ქალის სხეულის ფლობის სურვილი. მომეხვიე! ძლიერად, თავდავიწყებით მომეხვიე! მერე რა მოხდა, რომ დღეა და ყველა ჩვენ შემოგვყურებს. დაე, იუპიტერმაც დაინახოს, როგორ გარდაიქცევა მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ერთსულად, ერთსხეულად. კიდევ ერთხელ გაიხედე რა ხდება ცაზე?

**ამფიტრიონი.** ზოდიაქო გადახრილია, ეტყობა თავისსავე მკედს წამოედო, ხელი მომკიდე, ალკმენე!

**ალკმენე.** ყალბ მოძრაობას ნუ გავაკეთებთ. პირიქით, ცოტა გაიწიე კიდეც. შევინარჩუნოთ ის პაწაწინა ჭეშმარიტად თბილი და მყუდრო ადგილი, მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ბავშვებს, ფისოებს და ჩიტებს რომ უტოვებს მოსაკალათებლად.

(ისმის მუსიკა და ბრბოს შეძახილები).

**ალკმენე.** აი ქურუმებმაც ნიშანი მოგვცეს. ეტყობა გვიახლოვდება...

**ამფიტრიონი** ერთმანეთს ეხლა დავემშვიდობოთ, თუ მერე, მის თვალწინ? ყველაფერი უნდა განვსაზღვროთ, ჩემო ალკმენე!

**ციური ხმა.** ალკმენესა და ამფიტრიონის გამოთხოვება!

**ამფიტრიონი.** გაიგე?

**ალკმენე.** გავიგე.

**ციური ხმა.** ალკმენესა და ამფიტრიონის გამოთხოვება!

**ამფიტრიონი.** არ გეშინია?

**ალკმენე.** ო, ძვირფასო, ნუთუ სხვა დროს ასეთსავე მნიშვნელოვან წუთს არ ჩაგესმენია უცხო ხმა, რომელიც ბედნიერების წამიერ გაელვებას აჩერებდა და ახათაურებდა. პირველი შეხვედრის დღეს, ზღვაში ბანაობისას, ნუთუ არ გაგიგია შეძახილი: ამფიტრიონის ნიშნობა! ალკმენეს პირველი განბანვა! დღესაც იგივე ხდება. ღმერთის მოახლოვებამ ისე გააწკრიალა ჰაერი, რომ ამ წამის ენითუთქმელი სახელწოდება ზარის ხმასავით გაისმა. დავემშვიდობოთ ერთმანეთს.

**ამფიტრიონი.** ყველაფერი, რაც ჩვენ დღეს თავზე დაგვატყდა, მოულოდნელი არ იყო ჩემთვის. შენთან შეხვედრის პირველსავე წუთიდან დღევანდელ გამოთხოვებას მოველოდი. ეს წუთი სამუდამო განშორების მანიშნებელი არ არის. დღევანდელი გამოთხოვება ჩვენი უსაზღვრო სინაზის და მომავალი სიყვარულის კიდევ ერთი სრულქმნილი საფეხურია. შემთხვევამ ასე ინება, ალკმენე, ჩემი აღსარება სწორედ დღეს, გამოთხოვების ჟამს უნდა მოისმინო. მინდა იცოდე, ჩემო სიყვარულო, რომ

მაშინაც კი, როცა ჩვენს გრძნობას არაფერი ემუქრებოდა, გამოსათხოვარი სიტყვები უკვე მზად მქონდა, რადგან ჩემი გული, შენდამი უსაზღვრო სიყვარულით გამთბარი და ათასგვარი შენთვის უცნობი ალერსით გადავსებული, მუდამ მზად იყო ნამსხვრევებად ქცეულიყო.

ალკმენე. ათასგვარი ჩემთვის უცნობი ალერსი... ო, ამფიტრიონ...

ამფიტრიონი. მე ვგრძნობდი, რომ რაღაც დიდი საიდუმლო უნდა გამენდო ამ ნაზი და კრიალა სახისთვის, მე ვგრძნობდი, რომ უჩვეულო ვნებით უნდა დამეკოცნა შენი მუდამ მოღიმარი თვალები; მე ვიცოდი, რომ განსაკუთრებული სინაზით უნდა შევხებოდი შენს წამწამებს, რათა ერთი მაინც ჩამოგვარდნოდა და ჩემი სურვილი წაეღო თან. დღესღა მივხვდი, რომ მე სიყვარულის ის დიდი საიდუმლო მახრჩობდა, რომელსაც ჩვენი გამოთხოვების ჟამი თუ ახდიდა ფარდას.

ალკმენე. ჩემო ძვირფასო. ყველაფერს ნუ ჩამომითვლი. ჩემი სხეულის ყოველი ნაწილი, რომლის დასახელებას ან მოფერებას დღეს ვერ მოასწრებ, სამუდამოდ გაიტანჯება და ცივ სამარეში ჩაიფერფლება.

ამფიტრიონი. ნუთუ გჯერა, რომ იუპიტერი სიკვდილს გვიმზადებს?

ალკმენე. არა, იუპიტერი არ მოგვკლავს, ის ჩვენ უფრო სასტიკად დაგვსჯის. ჯიშსა და აისხლს შეგვიცვლის, ჩვენს შეგრძნებებსა და სიხარულს გამოგვასალმებს. ალბათ კვლავინდებურად დავრჩებით საქვეყნოდ განთქმულ სამაგალითო წყვილად, მაგრამ შინაგანი სხვაგვარობა საერთო ენას დაგვაკარგვინებს და სიძულვილზე უფრო მეტად დაგვაშორებს. ჩვენ ერთმანეთს ვერას გავუგებთ, ისევე როგორც ბულბულსა და გომბეშოს, ტირიფსა და თევზს არ ესმის ერთმანეთისა... მიჯობს გავჩუმდე... რამე აზრი არ მივაწოდო.

ამფიტრიონი. ყველგან მოგძებნი, სულ შენს მახლობლად ვიტრიალებ: ერთად ყოფნა უტყუარი საფუძველია სიყვარულის განმტკიცებისთვის.

ალკმენე. ერთად ყოფნა? ჩემს გვერდით ყოფნა უსასტიკეს ტანჯვად რომ გექცეს? ხვალ აქვე რომ შევხვდეთ ერთმანეთს? შენ — უცვლელი, მე კი ღმერთის წყალობით იმ უმწიკვლობას მოკლებული, რომელიც ქმრის ალერსს შეჩვეულმა ქალმაც კი უნდა შეინარჩუნოს? როგორ იცხოვრებ ღმერთის მიერ პატივაყრილ ცოლთან, თუ მას, ყველა სიკეთესთან ერთად, უკვდავებაც დაემუქრება? როგორი იქნება ჩვენი მომავალი, თუ ენის წვერზე სულ მუდამ მესამე სახელი იტრიალებს და ნაღველივით დაგვიშხამავს ამბორსა და სადილ-ვახშამს? რა გრძნობით შეათბობ შენს გამოხედვას, როდესაც გაზაფხულზე პირველად დაიქუხებს და ათასფრად აელვარებული სამყარო გადაკრულად გაგახსენებს ჩემს სამარცხვინო თავგადასავალს; მიწიერ სილამაზეს როგორღა შეხედავ? ისიც ხომ მის მიერ არის შექმნილი, ისიც ხომ ჩვენს უბედურებასა და სირცხვილს მოგვაგონებს. არა! უმჯობესია უმარტივეს, მაგრამ წმინდა ქმნილებად გვაქციოს ორივე. შენ იმდენი ჭეშმარიტად ადამიანური და ჩემთვის მახლობელი თვისება გაგაჩნია, რომ უთვალავ თევზებსა და ხეებში იოლად ამოგიცნობ. მე ამოვიცნობ შენს სიმამაცეს, როცა პირისპირ შეხვდები გრიგალს, შენს მადას, როცა ნადავლს ხარბად დაეწაფები, შენს ერთგულებას, როცა დინების წინააღმდეგ ჩემკენ გამოცურავ.

ამფიტრიონი. თხის რქა შეტრიალდა, მგონი გვიახლოვდება.

ალკმენე. საწყენია, სიბერემდე რომ ვერ მივაღწიე და შენ წელშიმოხრილი და დაბეჩავებული რომ ვერ გიხილე? ვერც ის გავიგე, მოხუცი ცოლ-ქმარი მართლა ემსგავსება თუ არა ერთმანეთს: ჩვენ ვერც კერის სიმყუდროვით დავტკბით, ვერც საერთო მოგონებები გაგვამხიარულებს, ვერც ერთი სიკვდილით გარდავიცვლებით. ო, ამფიტრიონ, მოდი ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ უკვე მოვხუცდით და კორწინების თორმეტიოდე თვე კი არ გვაკავშირებს, არამედ მრავალი, მრავალი წელი... გიყვარდი, ჩემო მოხუცო?

ამფიტრიონი. უსაზღვროდ! მთელი სიცოცხლე!

ალკმენე. ვერცხლის ქორწილის შემდეგ ჩემზე ახალგაზრდა, თექვსმეტი წლის ქალწულებზე ხომ არ გრჩებოდა თვალი? ხომ არ მოგხიბლა, შენი ვაჟკაცური იერით და წარსული დიდებით აღელვებულმა მორცხვმა და თამამმა ქალიშვილმა, რომელიც ფეხმარდ ცხოველს უფრო წააგავდა, ვიდრე გოგონას?

ამფიტრიონი. თვით სინორჩეზე უფრო ნორჩი იყავი ჩემთვის.

ალკმენე. გახსოვს, უმიზეზო სიცილ-ტირილი და ნერვიულობა, რომ დამჩემდა ორმოცდაათს რომ მივუკაკუნე? ის თუ გახსოვს, როგორ გიბიძგებდი, გაგდებდი კიდეც მხუბუქი ყოფაქცევის ქალებთან იმ საბაბით, რომ მათთან შეხვედრის შემდეგ ჩვენი სიყვარული უფრო ცოცხალი და მხურვალე გამხდარიყო? შენ არაფერი მითხარი მაშინ, არც შემეპასუხე, მაგრამ ხომ არ დამიჯერე, ხომ არ წახვედი მათთან?

ამფიტრიონი. რა თქმა უნდა არა, ჩემო ალკმენე. მე მინდოდა, რომ შენ ჩვენი სიყვარულით გეამაყა, როცა დავბერდებოდით.

ალკმენე. მართლაც რა დიდებულ სიბერეს მოვესწარით. მოვიდეს სიკვდილი, მე აღარ მეშინია მისი!

ამფიტრიონი. მაინც რა ცოცხლად გვახსოვს შორეული წარსული. მაგალითად, დღევანდელი დილა. გახსოვს გამთენიისას ომიდან მოულოდ-

ნელად დაბრუნებულმა ჩვენი ოთახის სიბნელეში რომ შემიტყუე?

ალკმენე. გამთენიისას? შენ გინდოდა გეთქვა მწუხრისას.

ამფიტრიონი. რიურაჟი..., მწუხრი... რა მნიშვნელობა აქვს... იქნებ შუადღეც იყო. მე ისლა მახსოვს, რომ ჩემი ცხენი ისარივით გადაევლო უზარმაზარ თხრილს და იმ მზიან დილას გამარჯვებაც კი უკან მოვიტოვე. რა მოგივიდა, ძვირფასო, რატომ გაფითრდი?

ალკმენე. გემუდარები, ამფიტრიონ, გაიხსენე გამთენიისას მოხვედი, თუ საღამო ხანს?

ამფიტრიონი რასაც გინდა იმას გავიხსენებ, ჩემო ძვირფასო, ოღონდ შენ ნუ ღელდები.

ალკმენე. მაშ, ღამე იყო, არა?

ამფიტრიონი. ჩვენს ოთახში, რა თქმა უნდა. უკუნეთი სიბნელე იყო. შენ მართალი ხარ! მოვიდეს სიკვდილი.

ციური ხმა. მოვიდეს სიკვდილი.

(გაელვება, ქუხილი. იუპიტერი მერკურის, თანხლებით.)

## სცენა IV

ალკმენე, იუპიტერი, მერკური. ამფიტრიონი

იუპიტერი. სიკვდილს იხმობდით? მის მაგიერ მე გეახელით.

მერკური. ნება მომეცით, ჩემო მეუფევ, ალკმენე წარმოგიდგინოთ, ქირვეული და თავნება ალკმენე.

იუპიტერი. ეს მამაკაცი ვინ არის?

მერკური. ქმარია მისი, ამფიტრიონი.

იუპიტერი. ამფიტრიონი?! კორინთოს ბრძოლის განთქმული გმირი?

მერკური. მოვლენებს ისევ წინ უსწრებთ. კორინთოს ბრძოლას მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ მოიგებს, მაგრამ ეს სწორედ ის ამფიტრიონია.

იუპიტერი. აქ რა უნდა? ვინ მოიწვია?

ამფიტრიონი. ჩემო მეუფევ!

მერკური. ეტყობა, ცოლის ხელიდან ხელში გადმოცემა აქვს განზრახული. ზემოდანაც მოჩანდა, როგორ ეხვეოდა და ეფერებოდა თავის ცოლს. თქვენს შესახვედრად ამზადებდა, თქვენი და ალკმენეს პაემანი უფრო მიმზიდველი და შედეგიანი რომ ყოფილიყო, ამფიტრიონმა სპეციალურად აალევა და გაამშვენიერა თავისი ცოლი.

ამფიტრიონი. მერკური ცდება, ღმერთთა მეუფევ!

იუპიტერი. როგორ თუ ცდება? შენ რა მართლაც არ გჯერა, რომ ცოლი უნდა დამითმო? ამფიტრიონ, თქვენ თავისუფალი ბრძანდებით, რადგან ამაღამ თქვენს კუთვნილ მისიას მე შევასრულებ.

ამფიტრიონი. ძალიან გთხოვთ მომისმინეთ, მბრძანებელო.

მერკური. კამათის დრო აღარა გვაქვს! იუპიტერ, მზე თვალებს ხუჭავს.

იუპიტერი. დახუჭოს და დაიძინოს, სადაც უნდა. ეს მისი პირადი საქმეა.

მერკური. ღმერთებმა ადამიანებთან პირისპირ მოლაპარაკება რომ წესად დაიდონ, ჩვენი საქმე წასულია...

ამფიტრიონი. მე მზად ვარ ალკმენე დავიცვა, ან სიკვდილს ვეზიარო.

იუპიტერი. ყურადღებით მომისმინე, ამფიტრიონ, კაცურად ვილაპარაკოთ. შენ იცი ჩემი შეძლება. შენს ლოგინში დასაწოლად ნებართვა არ დამჭირდება. მე შემიძლია გავუჩინარდე და ისე გაგიყო სარეცელი, რომ ვერც გაიგებ. მე შემიძლია შენსავე ბალში დაკრეფილი ბალახ-ბულახით სასიყვარულო ნაყენი შევამზადო და ორივეს დაგალევინოთ. ალკმენე ჩემდამი სიყვარულით დაიწვება, ხოლო შენ ხაოცჩებო მეტოქედ დამსახავ. ჩვენი უთანხმოება სიღრმისეული არ არის, ის უფრო ფორმალურია. ზუსტად ისეთია, ძველი რელიგიის ორ ახალ განშტოებად გაყოფის დროს რომ წარმოიშვება ხოლმე. მთავარი ის კი არ არის, დავეუფლები თუ არა შენს ცოლს, მთავარია როგორ დავეუფლები, რა ფორმით გადმომცემ მას და როგორ მიმიღებს თავად ალკმენე. ერთადერთი მოკლე ღამის გულისთვის ღმერთებთან ურთიერთობას ნუ გაიფუჭებ, ბრძენო სარდალო.

ამფიტრიონი. ალკმენეს ვერ დაგითმობთ, ამიტომ სხვა ფორმალობას — სიკვდილს ავირჩევ.

იუპიტერი. დააფასე ჩემი სათნოება, ნუ გამაბრაზებ! მხოლოდ ალკმენე რომ მყვარებოდა, სხვა ხერხს მივმართავდი და შენი თანხმობის გარეშე გავხდებოდი მისი საყვარელი. არა, ამფიტრიონ, მე თქვენ ორივენი მიყვარხართ! მე მიყვარს და მომწონს თქვენი ერთგული ცოლ-ქმრობა. კაცობრიობის გარიურაჟზე თქვენ მესახებით, როგორც ადამიანთა ცხოვრების წინახაზზე გამოკვეთილი ორი უნაკლო ქანდაკება. ამიტომ მინდა მოვთავსდე თქვენს შორის, როგორც მეგობარი და თქვენი ბედნიერების მფარველი.

ამფიტრიონი. ჩვენი სათაყვანებელი მეგობარი უკვე ხართ, ღმერთთა მეუფევ. დანარჩენზე ვერ დამითანხმებთ.

იუპიტერი. მით უარესი! ზეიმს ნუ აგვიანებ, მერკური! მოიწვიე მთელი ქალაქი! ყველას აუწყე გუშინდელი ღამის და დღევანდელი დღის ჭეშმარიტება! ჩვენ მრავალი სასწაულმოქმედი საშუალება გვიპყრია ხელთ და ამ წყვილს იოლად დავიმორჩილებთ.

ამფიტრიონი. გამოცდილ სარდალს სასწაულებით ვერ გააკვირვებთ.

იუპიტერი. ეს არის შენი უკანასკნელი სიტყვა? გადაწყვიტე ჩემთან შებრძოლება?

ამფიტრიონი. თუ დამჭირდა, შეგებრძოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მე ვფიქრობ საკმაოდ გამოცდილი მეომარი ბრძანდები და ჩემი ხაკადრისი იარაღიც მოიმარაგე. ეს ჭეშმარიტება სამხედრო ტაქტიკის ანბანია.

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. დიახ, საიმედო იარაღიც გამაჩნია!

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მაინც რომელი?

ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲝᲜᲘ. მე მყავს ალკმენე.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ძალიან კარგი, შენი იარაღის არ მეშინია. დროს ნუ დავკარგავთ.

გთხოვ კიდეც მასთან მარტო დამტოვო. მომიახლოვდი, ალკმენე!

თქვენ. ორივე — გადით აქედან.

## ᲡᲪᲔᲜᲐ V

ალკმენე. იუპიტერი

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მადლობა ღმერთს, ძლივს მარტო დავრჩით!

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მშვენიერი და. თანაც სიტუაციის შესაფერი სიტყვებია. სწორედ ის სასურველი წამი დაგვიდგა, როცა შენ ჩემი გახდები.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ესე იგი სიცოცხლის უკანასკნელი წამი დამდგომია!

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. კმარა შანტაჟი! შენი საქციელი ორთავეს გვარცხვენს. მარტონი მართლაც პირველად დავრჩით. მე შენი უმანკო ხათნოება ვიწამე, შენ—ჩემი გულის თქმა იცი. როგორც იქნა მარტონი ვართ, ერთად, პირისპირ...

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ლეგენდებს თუ დაუჯერებთ, არაერთხელ ყოფილხართ ასე მარტო და თანაც პირისპირ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ასე უსაზღვროდ შეყვარებული და, თანაც მორჩილი, რაც თავი მახსოვს, პირველად ვარ. ამდენ ზიზღს, რაც მე შენგან ვიწვნიე, არც ერთ ქალს არ ვაპატიებდი.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ვერ წარმომედგინა ღმერთთა ლექსიკონში თუ იყო სიტყვა „შეყვარებული". მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ღმერთებს რაღაც ზებუნებრივი წესდება უბიძგებს დედამიწაზე, ქალის სხეულისა და სულის მოსაპოვებლად.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ზებუნებრივი წესდება უხეში სიტყვაა. ჩვენს შემთხვევაში „ბედისწერის" ხმარება უფრო უპრიანია.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ნუთუ ხინდისი არ შეგაწუხებთ, თუ ბედისწერა ასეთ ჩვეულებრივ. არასაბედისწერო ქალს დაემუქრება, ნუთუ არ დაგენანებათ ეს პატარა ქერა თავი საბედისწერო შავი ღრუბლით რომ დაიჩრდილება?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ეს პატარა ქერა თავი საბედისწერო შავ ღრუბელსაც ანაზდეულად შეაფერადებს. ბედისწერას კალმახივით უსხლტები. ჩემო ალკმენე.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. და უსუსურ თოჯინასავით ხელში გივარდებით. ო. იუპიტერ, სიმართლე თქვით, ნუთუ ოლიმპოდან ჩემი მზერით მართლა ტკბებოდით?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. იხევი, როგორც დამფრთხალი ფურ-ირმის და აყვავებული ნუშის ხის მზერით ტკბებიან ხოლმე. მაგრამ ტკბობა მხოლოდ მზერით ტკბობას როდი ნიშნავს.. ჩემო ალკმენე. მე შეყვარებული ვარ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. სწორედ ეს არის ჩემი უკანასკნელი იმედი. თქვენ რომ შეყვარებული არ ბრძანდებოდეთ, აქამდე არ დამაყოვნებდით, ურჩობისათვის დამსჯიდით და პატივს ამხდიდით.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ოდნავ მაინც თუ მოგწონვარ?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. როგორ? აქამდე ვერ მიხვდით, რომ ძალიან, ძალიან მომწონხართ? რომ მძულდეთ, ღალატის გამო თავს ასე დამნაშავედ აღარ ვიგრძნობდი, რომ არ მიყვარდეთ, მხოლოდ სხეულს მოგყიდდით ჩემსას, სული და პატივ-ღირსება შეუბღალავი დამრჩებოდა. მომწონხართ. იუპიტერ. ვაი, რომ მომწონხართ!

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ესე იგი გამწირე იმიტომ, რომ გიყვარვარ? მეწინააღმდეგები იმიტომ, რომ ჩემი ხარ?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. სწორედ ეს არის სიყვარული.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რა უჩვეულოდ ნატიფი ენით ამეტყველე ოლიმპო.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ოლიმპოს ბინადართა ლექსიკონის ნებისმიერი მარტივი სიტყვა იმდენად სასტიკია, რომ დედამიწას და მთელ სამყაროს ანადგურებს. ისე, რომ ენის სინატიფე თქვენთვის უსარგებლო არ უნდა იყოს.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. კარგად იცით, ალკმენე, რომ თებეს არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ალკმენეს რად ემუქრება ოლიმპოს საფრთხე? რატომ ინებეთ ჩემი გაწვალება, რატომ გასწირეთ მოსიყვარულე ცოლ-ქმარი, რას გარგებთ ჩემთან წამიერი ბედნიერება, თუ მერე უღიმღამოდ ჩავიფერფლები?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. სწორედ ეს არის სიყვარული.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ნება მომეცით და მე სიყვარულზე უფრო სპეტაკ გრძნობას შემოგთავაზებთ. სიყვარულით სიამტკბილობა სხვებს მოთხოვეთ, მე კი გამომართვით ის, რისი მოცემაც მხოლოდ მე შემიძლია. ის ერთადერთი უწმინდესი და უძლიერესი გრძნობა, რომელიც მხოლოდ მე შემიძლია შემოგთავაზოთ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რა ჰქვია ამ გრძნობას?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მეგობრობა!

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რას ნიშნავს მეგობრობა? ამიხსენი. ეს სიტყვა პირველად მესმის.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ნუთუ მართლა? ო, რა ბედნიერი ვარ! აღარ ვყოყმანობ. ჩემს მეგობრობას უეჭველად შემოგთავაზებთ. ჩემი მეგობრობა უმწიკვლოა და თქვენ მას პირველი დაეუფლებით.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მეგობრობა... რას გულისხმობს ეს სიტყვა? დედამიწაზე ხშირად ხმარობენ?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ხშირად, ძალიან ხშირად.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მეგობრობა... ადამიანთა მოდგმის ზოგიერთი წეს-ჩვეულება ოლიმპოს მთიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაურად გვეჩვენებოდა. ამიტომ ყურადღებით მოვისმენ შენს განმარტებას. ჯერ ის მითხარი, როცა მოკვდავნი, ჩვენსავით, განზე გადგებიან და დაძონძილი ტანსაცმლის ჯიბენაკერებიდან ოქროს ფულს ხელის ცახცახით ამოიღებენ, დათვლიან, მოეფერებიან და ისევ დამალავენ — ეს მეგობრობას ნიშნავს თუ არა!

ალკმენე. არა, ეს სიძუნწეა.

იუპიტერი. პირბადრი მთვარე რომ ცაზე ანათებს, ზოგიერთი დედიშობილა გამოდის გარეთ, მთვარეს დაჟინებით მიაშტერდება და ხელებით თავისსავე სხეულს ეფერება, თითქოს მთვარის შუქში ბანაობდეს. ვინ არიან ისინი, მეგობრები?

ალკმენე. არა, მთვარეულები.

იუპიტერი. ცოტა გარკვევით ამიხსენი. აი, ქალის მაგიერ, მის ხელთათმანს ან ფეხსაცმელს რომ ეფერებიან და ეამბორებიან, არც ისინი არიან მეგობრები?

ალკმენე. არა.

იუპიტერი. მაშ, რა არის შენი ეს მეგობრობა? ვნება?

ალკმენე. დაუცხრომელი.

იუპიტერი. ძალიან დამაინტერესა ამ თქვენი მეგობრობის არსმა და დანიშნულებამ.

ალკმენე ამ გრძნობას ისეთი თავდავიწყებით მიეცემი, რომ მისი არსიც გავიწყდება და დანიშნულებაც.

იუპიტერი. ძალა ჩვენს ხელთაა. ერთიც შევძინოთ და მეორეც. რა მიზანს ისახავს მეგობრობა?

ალკმენე. ერთიმეორისაგან განსხვავებულ პირებს აწყვილებს და ათანაბრებს.

იუპიტერი. მგონი გავიგე. ოლიმპოს ობსერვატორიიდან ხშირად მინახავს როგორ განცალკევებულა ორი, ერთმანეთისათვის უცხო არსება. მაგალითად, მინისტრი ყოველ ცისმარე დღეს ერთ უბრალო მებაღეს მოინახულებდა, გალიაში დამწყვდეული ლომი პატარა ლეკვს ეფერებოდა, მეზღვაური სწავლულს ესაუბრებოდა, ხოლო გარეული კატა, აი ის, ავსტრალიაში ოცელოტად რომ მონათლავენ მოგვიანებით, ტახს ეთამაშებოდა. თითოეულ მათგანს მართლაც ტოლუფლებიანი იერი ჰქონდათ. პირისპირ ისე იდგნენ, მოსისხლე მტრები კი არა, ძმები გეგონებოდა. ხშირად გვიფქრია ღმერთებს, რომ ეს არსებანი სხეულის რომელიღაც იდუმალი ნაწილით უებდნენ და უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

ალკმენე. დასაშვებია. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ეს არის მეგობრობა.

იუპიტერი. რა გავაკეთოთ, მეგობრები რომ გავხდებით?

ალკმენე. მე, მაგალითად, რწმენის მაგიერ, ვიფიქრებ თქვენზე. რწმენა, მოგეხსენებათ, წინაპართაგან მიღებული ჩვეულებაა, ფიქრი კი თავისუფალი და ალალმართალია. ამგვარად ჩემი ლოცვა ცოცხალი და თბილი სიტყვით შეიმოსება, ხოლო წირვა მეგობრულ მისალმებად გადაიქცევა.

იუპიტერი. მეგობრობა, ალბათ, ბევრ დროს წაგართმევს და დაგღლის.

ალკმენე. ღმერთთან მეგობრობა რა დროს წამართმევს? თქვენ ყოვლისშემძლე ხართ და შეგიძლიათ ააშენოთ და გაანადგუროთ ყველაფერი. თქვენი ძლევამოსილება სწორედ ის მინიმუმია, რომელსაც ჩემნაირი ქალი მეგობრისაგან მოითხოვს. ო, იუპიტერ, მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ძლიერი მეგობარი მეყოლება!

იუპიტერი. მე რა მევალება? რა უნდა მოვიმოქმედო?

ალკმენე. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ადამიანთა საზოგადოება თავს მომაბეზრებს, თქვენ სხვების უჩუმრად, ჩემთან მოხვალთ და სავარძლის სახელურზე, მშვიდად ჩამომიჯდებით. ოღონდ ლეოპარდის ტყავს, რომელიც სავარძელზე მაქვს გადაფარებული, კუდი ნერვიულად არ დააწიწკნოთ, თორემ ვიფიქრებ, რომ ისევ სიყვარულის ჟინმა მოგიარათ. უბრალოდ მომიჯექით გვერდით, ცოტა ხნის შემდეგ ასევე უსიტყვოდ გაუჩინარდებით. თქვენი თანაგრძნობა გამახალისებს და ძალას მომცემს. თუ გაიგეთ, რისი თქმა მინდოდა?

იუპიტერი. მგონი გავიგე. სულ გაჩუმებული უნდა ვიყო? არ შეიძლება, რომ ხანდახან დაგელაპარაკო?

ალკმენე. როგორ არ შეიძლება. ჩვენ ხშირად ვისაუბრებთ. თქვენ თქვენს მწუხარებას და სიხარულს გამიზიარებთ, თქვენი საქმიანობის შესახებ მომიყვებით. მაგალითად, სამყაროს შექმნის შესახებ.

იუპიტერი. სამყაროს შექმნა? შენ სამყაროს შექმნა გაინტერესებს?

ალკმენე. ძალიან! მით უმეტეს, რომ ამის შესახებ არაფერი ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთ მშვენიერ დღეს წყლის შექმნის გენიალური იდეა დაგებადათ. ამას მოჰყვა ეთერის ნაწილაკების რხევა, მერე კონტრრეფრაქცია და პირველადი რეფრაქცია... ჩემი ცოდნა ამით ამოიწურება. დანარჩენი იდუმალებით არის მოცული და მოუთმენლად მოველი, რომ სწორედ თქვენ ამიხსნით ყველაფერს. რა მოხდა, იუპიტერ, ასე ალმაცერად რად იღიმებით? თავი ხომ არ მოგაბეზრათ ჩემმა ლაქლაქმა? თუ მიხვდით მაინც, რას გულისხმობს მეგობრობა?

იუპიტერი. მგონი მივხვდი. აბა გამომცადე! შენ ჩამოთვალე რა შემთხვევაში გამომიძახებ სამეგობროდ, მე კი გიპასუხებ, როგორ მოვიქცევი. შევამოწმოთ, რა ერთგული მეგობარი დადგება ჩემგან.

ალკმენე. დიდებული აზრია! მზადა ხართ?

იუპიტერი. მზადა ვარ.

ალკმენე. წარმოიდგინეთ, რომ ჩემი ქმარი შორსაა წასული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მეგზურად კომეტას ავადევნებ შენ ხმასა და მხედველობას გაგიორმაგებ, რომ ქმარს რჩევა-დარიგება მიაწოდო და შორიდან უთვალთვალო.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. სულ ესაა?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. უკაცრავად! რა თქმა უნდა, ქმარს დაგიბრუნებ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ნათესავ-მეგობართა ხანგრძლივმა და მოსაწყენმა სტუმრობამ თავი ამატკივა.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. შენს სტუმრებს ისეთ ჭირ-ვარამს ავკიდებ, რომ თვალები გადმოუბრუნდეთ, ისეთ ტკივილს მოვგვრი, რომ ღვიძლი გაუსივდეთ და სიმწრით თავ-პირი დაიგლიჯონ; ჭერს ჩამოვაქცევ, იატაკს დავშლი... მგონი კარგად ვერ მოვიქეცი, ისევ რაღაც შემეშალა!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. რაც ჩამოთვალეთ ზედმეტიცაა და... არც იკმარებს.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მაპატიე, თავთავიანთ სახლებში მივაბრძანებ, იმ საცოდავებს.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ბავშვი რომ ავად გამიხდეს, რას იზამთ?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მთელ სამყაროს ძაძებს ჩავაცმევ, ყვავილებს სურნელებას დავაკარგვინებ, ცხოველები მწუხარებით თავებს დახრიან.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. როგორ, შვილს არ მომირჩენთ?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. აბა რას ვიზამ! ზეცავ, რა სულელი ვყოფილვარ!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ყოველთვის ასე იქცევით ღმერთები. ავადმყოფები გეცოდებათ, ბოროტებს გძულთ, მაგრამ მათი განკურნვა და დასჯა რატომღაც გავიწყდებათ ხოლმე. არა უშავს, საბოლოო ჯამში მაინც ყველაფერი გაიგეთ. გამოცდა ჩაბარებულად ჩავთვალოთ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ჩემო ძვირფასო ალკმენე!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ნუ დამცინით, იუპიტერ! ნუ მექცევით ასე სასტიკად. ნუთუ არასდროს, არავისთვის, არაფერი არ დაგითმიათ?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. არ მახსოვს... ამის საშუალება არც მქონია.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ჰოდა, დღესა გაქვთ ეს ერთადერთი საშუალება და ნუ გაუშვებთ ხელიდან.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. წამოდექი, ალკმენე! შენი დაჯილდოების დროც მოვიდა! დილიდან შემოგცქერი და გამოგიტყდები, რომ აღტაცებაში მომიყვანა შენმა თავდადებამ და შეუპოვრობამ. ოინებიც ისე დახლართე, რომ თავი არ შეგირცხვენია, ტყუილიც კი ალალმართალი გამოგივიდა. გული ამიჩუყე, ჩემო ალკმენე! თებელების წინაშე თავს თუ იმართლებ, ჩემთან ღამის გატარებას აღარ დაგაძალებ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ო, იუპიტერ, თებელებთან რა მესაქმება! დაე, მთელმა სამყარომ ირწმუნოს, რომ მე თქვენი საყვარელი ვიყავი. ასეთ პატივს მე და ჩემი ქმარი სიამოვნებით დავეთანხმებით. მართალია, მოშურნენი მოგვემატება, მაგრამ თქვენს საკეთილდღეოდ რას არ ავიტანთ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მოდი, ჩემო ალკმენე, მომეხვიე და გამომემშვიდობე!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მეგობარს მოეხვიო?! ო, იუპიტერ, მოვქრივარ.

ᲪᲘᲣᲠᲘ ᲮᲛᲐ. ალკმენესა და მისი საყვარლის, იუპიტერის, გამოთხოვება.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. გესმით?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მესმის...

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ჩემი საყვარელი იუპიტერი?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. შენ თვითონ არ ამიხსენი, რომ „მეგობრულად“ იგივეა, რაც „სიყვარულით?“ ჰოდა, რატომ არ შეიძლება საყვარელი ნიშნავდეს მეგობარს, რჩეულს? ციურ ხმასაც აქვს უფლება ხანდახან ამაღლებული, ნატიფი სტილით ილაპარაკოს.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მეშინია, იუპიტერ! ამ ერთმა სიტყვამ ამაღელვა და უამრავი ეჭვი წამომიშალა.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. დამშვიდდი, საგანგაშო აქ არაფერია!

ᲪᲘᲣᲠᲘ ᲮᲛᲐ. იუპიტერის და მისი შეყვარებული ალკმენეს გამოთხოვება.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. დამშვიდდი, უეჭველად მერკურის უკბილო ხუმრობა იქნება, სხვა არაფერი. ეხლავე წესრიგს დავამყარებ, იქ... ზემოთ! რა მოგივიდა, ალკმენე? რატომ გაფითრდი? რამდენჯერ გაგიმეორო, მე შენი მეგობარი ვარ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ნამდვილად.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. წყალი არ გაუვა.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. რაღაც იოლად კი დაგითანხმეთ მეგობრობაზე... ფარული კმაყოფილებაც შეგამჩნიეთ...

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. იმიტომ, რომ მართლა კმაყოფილი ვარ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. კმაყოფილი? რით? იმით, რომ ჩემი საყვარლობა არ დაგცალდათ?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მე... მე სულ სხვა რამის თქმა მინდოდა... მე...

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მეც სულ სხვა რამე მქონდა მხედველობაში. იუპიტერ, თქვენ ეხლა ჩემი მეგობარი ხართ, ამიტომ გულახდილად უნდა მელაპარაკოთ. პირდაპირ მითხარით, ხართ თუ არა დარწმუნებული, რომ ჩემი საყვარელი არასდროს ყოფილხართ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ალკმენე, თუ გესმის მაინც რას მეკითხები?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. რომ არ მესმოდეს, არც ამ დაკითხვას მოვაწყობდი. ახლახანს ამფიტრიონი აბუჩად აიგდეთ, თითქოს წაეთამაშეთო მის თავდადებას.. თქვენ სურვილსა და ჩემი ქმრის სიყვარულს შორის ნამდვილი ბრძოლა არც გააჩაღეთ, თითქოს იმთავითვე დარწმუნებული იყავით, რომ უარს იტყოდით ჩემზე... არა, იუპიტერ, მამაკაცთა ბუნებას კარგად ვიცნობ. ასე იოლად, იმიტომ დამთმეთ, რომ სასიყვარულო ჟინი ადრევე დაიამეთ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ადრევე? ალკმენე, რატომ მაყენებ შეურაცხყოფას?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. დაიფიცეთ, რომ არასდროს მი-

გილიათ ჩემი ქმრის იერი: დაიფიცეთ, რომ მის მაგიერ ჩემს სიზმრებშიც კი არ სწვევიხართ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ვფიცავ! (თავისთვის) ერთი გამაგებინა ვის მაფიცებს?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ხომ არ გეშლებათ რამე? არც გამიკვირდება. ამდენ სატრფიალო თავგადასავალში ერთი პატარა უმნიშვნელო ამბავი რომც დაგავიწყდეთ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ალკმენე!!!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. არა, ვეღარ დაგიჯერებთ, რომ თავდავიწყებით გიყვარდით. რა თქმა უნდა, თავიდან არ უნდა ვიწყებდე ყველაფერს... ისიც უნდა ვაღიარო, რომ ხანგრძლივ კავშირს ვერავისთან ავიტანდი, მაგრამ... ო, იუპიტერ, გამოგიტყდებით, რომ თქვენთან გატარებული ერთი ღამე ბედნიერ მოგონებად დამრჩებოდა. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ ერთი საწყალი, სუსტი ქალი ვარ. უკვე გვიან არის. რას იზამ, მით უარესი...

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ალკმენე, ხაფანგს რად მიგებ?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ხაფანგს?! ესე იგი ხაფანგში გაბმის გეშინიათ?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. წიგნივით ვკითხულობ შენს სულში, ჩემო ალკმენე, ვხედავ შენ შიშს, ვგრძნობ შენს განცდებს... მე ვიცოდი, რომ, თუ შენი საყვარელი გავხდებოდი, თავს აღარ იცოცხლებდი. ამიტომ დაგთმე ასე სწრაფად. ახლა მაინც ირწმუნე, რომ შენი საყვარელი არ ვყოფილვარ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მომეხვიეთ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. სიამოვნებით. თავს როგორა გრძნობ? ასე კარგია?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. დიახ.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. დიახ! ვინ „დიახ?“ ვის მიმართავ?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. დიახ, იუპიტერ, ძვირფასო. ასე შინაურულად რომ მოგმართეთ, რატომ არ შეცბით?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ძალიან ბუნებრივად გამოგივიდა.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ჰოდა, მეც ის მაინტერესებს, ეს ორი სიტყვა ასე ბუნებრივად რატომ წამომცდა, ასე უშფოთველად რატომ მიიღო ჩემმა სხეულმა თქვენი ალერსი? საიდან მოდის ჩვენი ურთიერთნდობა, ურთიერთმიმზიდველობა? თქვენი შეხება მათბობს და მე ვგრძნობ, რომ ეს სითბო პირველად არ მეღვრება სისხლში.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ეტყობა, კარგად გავუგეთ ერთმანეთს.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. პირიქით, ერთმანეთისა არ გვესმის. მე თქვენს აზრებს ვერასდროს გავიზიარებ, ვერც სამყაროს შექმნის საკითხზე, ვერც ჩაცმა-დახურვის თაობაზე. მაგრამ... ჩვენს სხეულებს რატომღაც ესმით ერთმანეთისა. ისინი მიილტვიან ერთმანეთისაკენ და ისე შეხმატკბილებულად მოძრაობენ, თითქოს არა ერთი რთული ვარჯიში შეუსრულებიათო ერთად. გამოტყდით, იუპიტერ, ერთად როდის ვივარჯიშეთ?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ვფიცავ, არასდროს!

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. მაშ, რის მომასწავებელია ჩემი ხულიგური შფოთვა, ჩემი ფორიაქი?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. ალბათ იმის ბრალია, რომ მოხვევისთანავე ჩემდაუნებურად ამფიტრიონად ქცევა მომინდა, ან..., იქნებ ჩემდამი სიყვარული ღვივძებს შენში?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. არა, იუპიტერ. ჩემი გრძნობა დასაწყისს არ ჰგავს, პირიქით, რაღაცის დასასრულია. აბა, გაიხსენეთ, დიდი ხანძრის ღამეს ხომ არ მოსულხართ ალმოდებული და სხეულმხურვალე?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. არა! და არც იმ ღამეს გწვევივარ, როცა შენმა ქმარმა ბავშვი დახრჩობას გადაარჩინა.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. თქვენ რა იცით, როდის რა გააკეთა ჩემმა ქმარმა.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. შენს შესახებ ყველაფერი ვიცი! სამწუხაროდ, იმ ღამესაც ქმარი გყავდა გვერდით. აბრეშუმივით რბილი თმა გქონია.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ამ კულულის გასწორებას მგონი შეჩვეული ხართ! ეს მოძრაობაც მეცნობა... გამოტყდით, იუპიტერ, როდის მოხვედით ჩემთან? გამთენიისას, თუ საღამოხანს?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. კარგად იცი, რომ დღეს, დილაადრიან გეახელი. მაინც, როგორ იფიქრე, რომ შენი და ლედას ოინბაზობა გამაცურებდა. შენს საამებლად მოვიტყუე თავი და ვიკმარე ლედა.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ო, ღმერთთა მბრძანებელო, დავიწყებით დასაჩუქრება თუ შეგიძლიათ?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. შემიძლია. დავიწყებას ოპიუმივით ვარიგებ, სიცრუეს — ვალერიანის წვეთებივით. ბუნების ღმერთებზე ნაკლებ ძლევამოსილნი როდი ვართ ზეცაში მაცხოვრებელი ღმერთები. რისი დავიწყება გსურს?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. დღევანდელი დღის. მინდა ვირწმუნო, რომ დღეს ყველა პატიოსნად მომექცა. რაღაც საეჭვო სული ტრიალებს ირგვლივ. მე ის ქალი არა ვარ, რომ თუნდაც ერთი ყალბი, ან ორაზროვანი დღე ავიტანო. სწორედ დღეს, თქვენი გაცნობის შემდეგ, ჩემი სული შფოთავს და მოუსვენარია. ჩემი სული შფოთავს, სხეული კი ხარობს და კმაყოფილია. არა და პირიქით უნდა ყოფილიყო. ამიტომაც გთხოვთ, დაგვავიწყეთ მე და ჩემს ქმარს დღევანდელი ორომტრიალი. დაგვავიწყეთ ყველაფერი, თქვენი მეგობრობის გარდა.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. დაე, აღსრულდეს ნება შენი, ჩემო ალკმენე. მომიახლოვდი, მომეხვიე, მაგრამ ამჯერად უფრო მხურვალედ, უფრო ძლიერად.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. სიამოვნებით, მით უფრო თუ ყველაფერი დამავიწყდება.

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. სხვა გზა არცა გაქვს. ამბორის გარეშე არაფერი გამოგივა. დავიწყებას მხოლოდ კოცნით ვარიგებ.

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ამფიტრიონსაც უნდა აკოცოთ?

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. მაინც ყველაფერი დაგავიწყდება და ხომ არ გინდა დაინახო შენი მომავალი?

ᲐᲚᲙᲛᲔᲜᲔ. ღმერთმა დამიფაროს!

ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘ. რატომ? გარწმუნებ. უბედნიერესი მომავალი გელის.

**ალკმენე.** კარგად ვიცი, რას უწოდებთ ბედნიერ მომავალს ღმერთები. ჩემი საყვარელი ქმარი დაბერდება და გარდაიცვლება. ჩემი საყვარელი ვაჟი დაიბადება, გაიზრდება, დაბერდება და გარდაიცვლება. მეც დავბერდები და გარდავიცვლები.

**იუპიტერი.** უკვდავებაზე უარი განაცხადე და სხვას რას უნდა მოელოდე ცხოვრებისაგან?

**ალკმენე.** უარი ვთქვი იმიტომ, რომ უსასრულო სიცოცხლესაც ვერ ავიტანდი. უკვდავება ჩემი აზრით ავანტიურაა.

**იუპიტერი.** ალკმენე, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ძალიან გთხოვ, ერთი წამით მაინც შეავლე თვალი ღმერთთა ცხოვრებას, ერთი წუთით მაინც ეზიარე ნექტართა ხვედრს. მაინც ყველაფერი დაგავიწყდება და ნუთუ არ გინდა ელვის სისწრაფით მოგატარო მთელი სამყარო და გაგაგებინო მისი არსი?

**ალკმენე.** ცნობისმოყვარე არა ვარ, იუპიტერ!

**იუპიტერი.** ნუთუ არ გინდა დაგანახო რა სიცარიელე, სიცარიელეთა რა წარმოუდგენელი თანმიმდევრობა, სიცარიელეთა რა უსასრულო სიმრავლე შეადგენს უსასრულობას? სამოთხისეულ კარიბჭეთა უთვალავმა სიმრავლემ რომ არ შეგაშინოს, მარადისობის ერთ-ერთ კუთხეში შენს საყვარელ ყვავილს, ვარდს ან ციხიას, გავაჩენ და ერთფეროვან გზაზე საგანგებოდ შევქმნი ცოცხალ წერტილს.

**ალკმენე.** არ მინდა.

**იუპიტერი.** შენ და შენმა ქმარმა დღეს ყველაფერი წყალში ჩამიყარეთ. არამც და არამც არ მიიღეთ ჩემი წყალობა. რა შემოგთავაზო, რით გაგაკვირვო? როგორ დაგიმტკიცო ჩემი ძალა და ერთგულება?

ეგებ კაცობრიობის ისტორია დაგანახო დასაბამიდან აღსასრულამდე? ეგებ გაგაცნო ის თეთრმეტი ღვაწლმოსილი, დიდი ადამიანი, რომლებიც ისტორიას დაამშვენებენ, ზოგი დიდებული ებრაული სახით, ზოგი ლოტარინგული ნატიფი ცხვირით?

**ალკმენე.** არა.

**იუპიტერი.** უკანასკნელად გაფრთხილებ, ჩემო ჯიუტო ქალბატონო. ორიოდ წუთში ყველაფერი დაგავიწყდება. არ გინდა იცოდე, რა ცრუ იმედებზე არის აგებული თქვენი ბედნიერება, რა ილუზიებით საზრდოობს თქვენი სათნო ზნეობა?

**ალკმენე.** არა.

**იუპიტერი.** არ გინდა ნახო, როგორია ვარსინამდვილეში? არ გინდა გაიგო, რა იმალება შენს სხეულში, ამ კურთხეულ, ძვირფას სხეულში?

**ალკმენე.** იჩქარეთ, იუპიტერ!

**იუპიტერი.** მაშ დაივიწყე რაც კი რამ იყო.. ამ ამბორის გარდა. (იუპიტერი ალკმენეს კოცნის, ალკმენე ერთხანს გაოგნებულია, შემდეგ გონს მოდის).

**ალკმენე.** ამბორი? რა ამბორი?

**იუპიტერი.** ალკმენე, ნუ ცელქობ. მე ვიზრუნე და ეს ამბორი შენი მეხსიერების მიღმა მოვათავსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სცენა VI

ალკმენე. იუპიტერი, მერკური.

**მერკური.** მთელი ქალაქი სასახლის კარს მოაწყდა. ყველა მოუთმენლად მოელის თქვენი და ალკმენეს გამოჩენას. აბა, იჩქარეთ! მოეხვიეთ ერთმანეთს და ისე ეჩვენეთ ხალხს.

**ალკმენე.** აქეთ მოიწით, იუპიტერ, აქედან უკეთ დაგვინახავენ. ყველას ერთად გააბედნიერებს ჩვენი გამოჩენა.

**მერკური.** ორიოდ სიტყვით მიმართეთ ხალხს, იუპიტერ! თქვენი ხმის მოსმენა ოცნებად აქვს ყველას ქცეული. მთელი ხმით ილაპარაკეთ, ნუ გეშინიათ! თქვენი გრგვინვა არავის ავნებს, მოქალაქენი გვერდულად ჩავამწკრივე. არც ყურის აპკი დაუზიანდებათ, არც სმენა დაეკარგებათ.

**იუპიტერი.** (ხმამაღლა) როგორც იქნა შეგხვდი, ჩემო ალკმენე.

**ალკმენე.** (ჩუმად) — დიახ და დროა დავშორდეთ კიდეც ერთმანეთს, ჩემო იუპიტერ!

**იუპიტერი.** ჩვენი ღამე იწყება! მისი ნაყოფი მთელ სამყაროს დაამშვენებს.

**ალკმენე.** ჩვენი დღე იწურება, არა და თითქმის შემიყვარდით.

**იუპიტერი.** ძლევამოსილი და მამაცი თებელების წინაშე...

**ალკმენე.** რომლებიც ჩემს სირცხვილს ადიდებენ, მაგრამ უმწიკვლობა რომ დამეცვა, აბუჩად ამიგდებდნენ, უბადრუკი არაკაცები!

**იუპიტერი.** მე შენ პირველად გეხვევი, ჩემო სასურველო.

**ალკმენე.** მე კი მესამედ და უკანასკნელად

(გაისერნეს. შემდეგ ალკმენემ იუპიტერი პატარა კარამდე მიაცილა).

**იუპიტერი.** ეხლა რა ვქნათ?

**ალკმენე.** ღმერთების სურვილის თანახმად თქმულება მოვაწესრიგეთ, ეხლა კომპრომისზე წავიდეთ და ადამიანების სურვილისამებრ, ისტორიასაც მოვუაროთ. ალარავინ გვითვალთვალებს, მგონი გადავურჩით საბედისწერო, გარდაუვალ კანონმდებლობას. ამფიტრიონ, სადა ხარ?

(ამფიტრიონი პატარა კარს აღებს.)

**ამფიტრიონი.** აქ ვარ, ალკმენე.

**ალკმენე.** მადლობა გადაუხადე იუპიტერს. ჩვენი მბრძანებელი ხელიდან ხელში ხელშეუხებლად გიბრუნებს ჩემს თავს.

**ამფიტრიონი.** მხოლოდ ღმერთებს სჩვევიათ ასეთი სულგრძელობა.

**ალკმენე.** იუპიტერს თურმე ჩვენი ერთგულების შემოწმება უნდოდა. ეხლა იმასღა გვთხოვს, რომ ვაჟი გაგვიჩნდეს.

**ამფიტრიონი.** ცხრა თვის შემდეგ გაგვიჩნდება კიდეც, ჩემო მეუფევ, პირობას გაძლევთ.

**ალკმენე.** თქვენს საამებლად ჰერაკლეს

დავარქმევთ. …ამჯერე და ჭკვიანი იქნება ჩვენი ვაჟი.

**იუპიტერი.** იმედი მაქვს. გემშვიდობები, ალკმენე, ყავ ბედნიერი. აბა, მერკური, განცხრომის ღმერთო, სანამ აქაურობას გავეცლებოდეთ, ალკმენესა და ამფიტრიონს ჩვენი ალალი მეგობრობა დავუდასტუროთ და მოსიყვარულე ცოლ-ქმარს ჩვენებურად გამოვეთხოვოთ.

**მერკური.** ახლადშეყრილ ცოლ-ქმარს დავემშვიდობოთ?! კეთილი! უმარტივესი დავალებაა. ერთგული ცოლ-ქმრის სატრფიალო ცელქობას ყველა სიამოვნებით დაესწრება. უპირველეს ყოვლისა ვიწვევ ოლიმპოს ღმერთებს! შენც გიწვევ, ლედა, რათა ბევრი რამ უნდა ისწავლო მათგან. შემოგვიერთდით, მოწყალეო ქვეშევრდომნო! თქვენ ხომ ამა დღის სასიყვარულო და საბრძოლო მოქმედების მოწმენი გახდით. აქეთ მოიწით მეჯინიბევ, მეომარო, მებუკევ! ფართოდ გაახილეთ თქვენი თვალები, სატრფიალო სარეცელს ამოუდექით და ნეტარების გმინვა ხმაურით და შეძახილებით დაახშეთ, იქმნას მუსიკა, სიმღერა, ჭექა-ქუხილი!

(მერკურის მიერ მოწვეული პერსონაჟები სცენას ხმაურით ავსებენ).

**ალკმენე.** ო, იუპიტერ, მოგვეშველეთ! კიდევ ერთი მოწყალება, კიდევ ერთი სიკეთე! შეაჩერეთ აურზაური. მე ალკმენე ვარ!

**იუპიტერი.** ისევ ალკმენე? დღეს თითქოს ყველამ პირი შეკრა და მხოლოდ ალკმენეს სახელი მესმის. თუმცა, მართალი ხარ, ჩემო ალკმენე! მერკური შეცდა! დავტოვოთ მარტო მოსიყვარულე ცოლ-ქმარი...... სიჩუმე, სრული სიჩუმე! გავქრეთ ყველანი! ღმერთებო, ცაზე აბრძანდით! მსახიობები კულისებს ამოეფარეთ, მოკვდავნო, დედამიწაზე მიმოიფანტეთ! თქვენ კი, მაყურებელნო, სცენას მოჩვენებითი გულგრილობით პირი უბრუნეთ და მოკრძალებით წადით აქედან.

ალკმენესა და მის ქმარს ვუბრძანებ უკანასკნელად გამოჩნდნენ სინათლის სვეტში, რათა ჩემმა მარჯვენამ მათ ბედნიერების გზა მიუთითოს. დაე, ამ წყვილს, რომელსაც მრუშობის ჭუჭყი არ შეხებია და ვერც შეეხება... რომელსაც მიწიერი კოცნა არ უგემია და ვერც იგემებდა, დაე, ამ წყვილს, რომელსაც ამიერიდან ერთგულების ნათელ სიმბოლოდ ვსახავ, გადაეფაროს ერთი საათით შეგვიანებული ღამის ხავერდოვანი ფარდა.

ფარდა.

ფრანგულიდან თარგმნა
ირინე ღოღობერიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა